

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს
სახელმწიფო მინისტრის აპარატი



შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და
2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი

თბილისი
2014

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
მისამართი: თბილისი, 0134, ინგოროყვას ქუჩა №7, მთავრობის კანცელარია, მე-5 სართული
ტელეფონი: + 995 32 2922632
ელფოსტა: tinagog@hotmail.com
ვებგვერდი: www.smr.gov.ge

სარჩევი

- შესავალი _____
- კვლევის შესახებ _____
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი _____
- ძირითადი მიმართულებები _____
 - კანონის უზენაესობა _____
 - განათლება და სახელმწიფო ენა _____
 - მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა _____
 - პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა _____
 - სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია _____
 - კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება _____
- რეკომენდაციები
- რეზიუმე _____

შესავალი

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი ეფექტური განხორციელება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ეს პოლიტიკა მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვას, საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის უზრუნველყოფას, ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებისა და განმტკიცების ხელშეწყობას.

საქართველო შეუერთდა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპულ ჩარჩო კონვენციას და, შესაბამისად, საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აიღო ის ვალდებულება, რაც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვას და მათი ღირსეული მონაწილეობის უზრუნველყოფას ქვეყნის განვითარებაში.

„შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 აგვისტოს №639 განკარგულების საფუძველზე საქართველოს მთავრობის 2009 წლის 8 მაისის №348 განკარგულებით დამტკიცდა „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა“. ამ აქტით რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაევალა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავება, კოორდინირება და საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტთან არსებული საბჭოს წინაშე ანგარიშის წარდგენა. ამ პროცესების კოორდინირებულად განხორციელების მიზნით რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2009 წლის 3 ივლისის №14 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ როგორც რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები, ისე შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების, სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების, თბილისის საკრებულოსა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სამი სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზანი დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ხელშეწყობაა, რომელიც მრავალფეროვნებას თავისი ძლიერების წყაროდ მიიჩნევს და ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობით.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის მისაღწევად შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყო ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა. დოკუმენტი მომზადდა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული საბჭოს მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, საქართველოს სახალხო დამცველი, ეთნიკური უმცირესობების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია განსაზღვრავს სახელმწიფო სტრატეგიასა და ამოცანებს ექვსი ძირითადი მიმართულებით: კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. სამოქმედო გეგმა, ეროვნული კონცეფციის სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად, ითვალისწინებდა კონკრეტულ ღონისძიებებსა და პროგრამებს, რომლებიც ხუთი წლის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო. სამოქმედო გეგმის შესაბამისი კომპონენტების შესრულება ევალებოდათ მასში მითითებულ კონკრეტულ სახელმწიფო უწყებებს.

სამოქმედო გეგმის განხორციელებას კოორდინირებას უწევდა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N362 დადგენილებით რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს სახელწოდება შეეცვალა და ეწოდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ცვლილება 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

კვლევის შესახებ

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებას. დოკუმენტში განხილულია კონცეფციის ექვსი პრიორიტეტული მიმართულება, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში განხორციელებული პროგრამების რეალური გავლენა ზოგადად სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებზე, მიღწეული შედეგები, ასევე ის პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში შეინიშნებოდა. კონცეფციის ამა თუ იმ მიმართულებით მიღწეული შედეგების წარმოჩენა მოგვცემს შემდგომში ახალი პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობას. არსებული ტენდენციების ანალიზის საფუძველზე სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში ჩართული ძირითადი აქტორებისათვის მომზადებულია რეკომენდაციები. წარმოდგენილი რეკომენდაციები ეფუძნება კვლევის დროს მიღებული ინფორმაციის ანალიზს და ბოლო წლებში სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებში გამოთქმულ მოსაზრებებს; აგრეთვე წარმოდგენილია თითოეული მიმართულების ფარგლებში არსებული კანონმდებლობა.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შეფასების დოკუმენტი მომზადებულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაკვეთით. შეფასების დოკუმენტის მომზადების ორგანიზაციულ და ფინანსურ უზრუნველყოფაში საქართველოს ხელისუფლებას აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს გაერო-ს ასოციაცია (UN Association of Georgia) პროექტ „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

შეფასების დოკუმენტის მომზადებაში მონაწილეობდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: შალვა ტაბატაძე, გიორგი სორდია, მამუკა კომახია, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი ამარიაძი.

შეფასების დოკუმენტის გამოქვეყნებასა და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ახალი კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე არსებულ პერიოდში იგეგმება დასკვნებისა და შემუშავებული რეკომენდაციების საჯარო განხილვა, ახალი მოსაზრებების დამატება და მათი გათვალისწინება ახალ სტრატეგიასა და ცალკეული სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შესამუშავებელ შემდგომი წლების სამოქმედო გეგმებში.

კვლევის მეთოდი

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შეფასების დოკუმენტზე მუშაობისას გამოყენებულია კვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა სამაგიდო კვლევა (desk research) და ემპირიული – ფოკუს-ჯგუფები და ჩადრმავებული საექსპერტო ინტერვიუები. კვლევა ეფუძნება კონცეფციის ფარგლებში შემუშავებულ ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებს და მათი შესრულების ანგარიშებს, აგრეთვე სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ შეფასებებს, ეთნიკური უმცირესობების სფეროს ექსპერტთა კვლევებს.

კვლევისას გამოყენებულია სხვადასხვა წყაროები: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები, საქართველოს მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო

სამართლებრივი დოკუმენტები, ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემები, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მასალები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემები, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის მეორე სახელმწიფო ანგარიში, შემწყწარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა, შემწყწარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური (2009, 2010, 2011, 2012, 2013 წლების) ანგარიშები, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები და საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მიერ „შემწყწარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის“ შესრულების მონიტორინგის შედეგები.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა სხვადასხვა ოფიციალური სტრუქტურის და სფეროს ექსპერტებთან, როგორც დედაქალაქში, ისე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში. ფოკუს-ჯგუფის შეხვედრები (სულ 12 ფოკუს-ჯგუფი ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში) ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და თემის აქტიური წევრების მონაწილეობით. შეფასების დოკუმენტში ასევე გამოყენებულია უწყებათაშორისი კომისიის სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებზე გამოთქმული მოსაზრებები.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებდა „შემწყწარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის“ ჩამოყალიბების და განხორციელების პროცესის ხელშეწყობას, კოორდინირებას, მონიტორინგს, კორექტირებასა და ანგარიშგებას. ამგვარად, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული იმ საქმიანობაში, ყველა იმ ღონისძიებაში, რასაც მოიცავს ზემოაღნიშნული პროცესი. კონცეფციის ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა როგორც ეროვნულ უმცირესობებთან, ისე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან და წარმომადგენლებთან. ეს საქმიანობა გულისხმობდა კანონმდებლობით და საერთაშორისო ვალდებულებებით განსაზღვრული ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უფლებების შესახებ ინფორმაციის გაცნობას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული განვითარების, მათი თვითმყოფადობის (რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის) შენარჩუნების მხარდაჭერას. სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველომ სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით დაგეგმა და განახორციელა საქმიანობა კონცეფციის ექვსივე სტრატეგიული მიმართულებით.

პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინირებას უწევდა უწყებათაშორისი კომისიის მუშაობას: წარმართავდა კომისიის სხდომებს და შეხვედრებს, ატარებდა თემატურ დისკუსიებს და კონსულტაციებს. აგრეთვე შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობაში შეიმუშავებდა ყოველი წლის სამოქმედო გეგმას და მისი შესრულების ანგარიშს.

სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესში მნიშვნელოვანი იყო ურთიერთობა მოსახლეობასთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან, თემის ლიდერებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა საკითხების ეფექტიანი მოგვარების მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატი შუამდგომლობდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან; არსებული საკითხების ადვოკატირებას ხშირ შემთხვევაში დადებითი შედეგი ჰქონდა.

მნიშვნელოვანი იყო თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უფლებადამცველებთან. 2009 წლის 14 დეკემბერს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა და სახალხო დამცველმა გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმი, რის შედეგადაც დაიწყო აქტიური კომუნიკაცია სახალხო დამცველის ოფისთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან. კონცეფციის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი მჭიდროდ თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, ექსპერტებთან.

კონცეფციის ფარგლებში პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად სახელმწიფო მინისტრის აპარატს მხარს უჭერდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები, მათ შორის აღსანიშნავია, ეროვნულ უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP), აგრეთვე საქართველოს გაერო-ს ასოციაცია (UNAG).

ძირითადი მიმართულებები

კანონის უზენაესობა

არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში მრავლად გვხვდება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უფლებათა მარეგლამენტირებელი ნორმები. თუმცა, პირველ რიგში, აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს თანასწორუფლებიანობას და კრძალავს დისკრიმინაციას ეთნიკურ და ეროვნულ ნიადაგზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“ მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ძირითად უფლებას, არამედ კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს.¹

ეროვნული და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციისგან დაცვის დამატებით გარანტიებს ქმნის კონსტიტუციის 38-ე მუხლიც, რომლის სუბიექტებსაც წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები. აღნიშნული მუხლის თანახმად, „მოქალაქეების ნებისმიერი სახის დიფერენცირება ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ნიშნით გაუმართლებელია. ისინი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათ აქვთ უფლება, თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.“

მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. ხოლო იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. ამავე უფლებას ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც, რომელიც ადგენს, რომ პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ ფლობს სისხლის სამართლის პროცესის ენას, ამ კოდექსით დადგენილი წესით დაენიშნება თარჯიმანი.² გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს განაჩენის გამოტანის დროს ბრალდებულისათვის განაჩენის გამოცხადების გადართგმნას მშობლიურ ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე, თუკი იგი სათანადოდ ვერ ფლობს პროცესის ენას.³ ამასთან ერთად, ბრალდებულს დაკავების მომენტში ან ნებისმიერი დაკითხვის წინ მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს, საქართველოს სისხლის სამართლის

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის 2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.3.2.

² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი.

³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი.⁴

ამრიგად, სახელმწიფოს ეკისრება კონსტიტუციური ვალდებულება, რომ თანასწოროს მოეპყრას თანასწორად, ხოლო არათანასწოროს – მისი თავისებურების შესაბამისად, არათანასწორად და განსხვავებულად. კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორობით შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს – პირიქით⁵.

სწორედ სახელმწიფოს მიერ აღნიშნული ვალდებულების შესრულებას ემსახურება მთელი რიგი ის კანონები და ნორმები, რომლებიც საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში გვხვდება, ეროვნულ უმცირესობებს იცავს დისკრიმინაციისაგან და უზრუნველყოფს მათ ჩართულობას სამოქალაქო პროცესებში. თუმცა რამდენად საკმარისია არსებული კანონმდებლობა მათი უფლებების ეფექტური რეალიზაციისა და დაცვისათვის, ეს ცალკე საკითხია და ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

სისხლის სამართლის კოდექსი

სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი აწესებს სანქციებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის. აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილია ისეთი ნიშნები, როგორებიცაა რელიგიისადმი დამოკიდებულება, აღმსარებლობა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილება და სხვ. კოდექსის 142¹-ე მუხლი წარმოადგენს შედარებით უფრო კერძო ხასიათის ნორმას და აწესებს სანქციებს რასობრივი დისკრიმინაციისათვის, „ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით“.⁶

აქვე აღსანიშნია სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში 2012 წლის 27 მარტს განხორციელებული დამატება, რომელიც სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს ეხება. 53.3¹ მუხლით დადგინდა, რომ „დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.“ ამრიგად, კანონმდებელმა აღნიშნული ცვლილებით გაამკაცრა სასჯელი იმ შემთხვევაში, თუკი დანაშაულის ჩადენა ხდება ამ მუხლში ჩამოთვლილი დისკრიმინაციის რომელიმე ნიშნით და შეუწყნარებლობის მოტივით. როგორც მუხლშია მითითებული, მსგავსი ქმედება დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა.

კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

2011 წლის 28 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2012 წლის 1 მაისიდან (გარდა 43-ე-55-ე მუხლებისა). კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.⁷ კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით აკრძალულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება. განსაკუთრებული კატეგორიისაა ის მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიული ორგანიზაციის წევრობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან ან ნასამართლობასთან, ასევე ბიომეტრული მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება ზემოაღნიშნული ნიშნებით. ამრიგად, აღნიშნული

⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის 2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.3.2.

⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 142¹.

⁷ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 1.

კანონი ქმნის იმის გარანტიას, რომ პირის რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილება, როგორც პირის პერსონალური მონაცემები, დაცული იქნება და არ მოხდება პირის პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფა.

აღნიშნული კანონის ამოქმედებამდე, პერსონალური მონაცემების დაცვის რეგულირება ხდებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, რომლის მიხედვითაც საჯარო დაწესებულებას ეკისრებოდა ვალდებულება, არ დაეშვა იმ ტიპის ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, შენახვა ან გაცემა, რომელიც დაკავშირებული იყო პირის ეთნიკურ კუთვნილებასთან. „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონმა კი მსგავსი ვალდებულება კერძო უწყებებზეც გაავრცელა.

სამოქალაქო კოდექსი

ერთ-ერთ წინადადებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომელიც რელიგიური ორგანიზაციის დარეგისტრირების წესს უკავშირდება. ცვლილება განხორციელდა 2011 წლის 5 ივლისს. საქართველოს პარლამენტმა სამოქალაქო კოდექსს დაამატა მუხლი 1509¹, რომელიც რელიგიურ გაერთიანებებს არჩევანის საშუალებას აძლევს – მათ შეუძლიათ დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, კლავინდებურად აქვთ შესაძლებლობა, დარეგისტრირდნენ კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირებად ან საერთოდ არ დარეგისტრირდნენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირების შემთხვევაშიც კი რელიგიური ორგანიზაციის სამართლებრივი რეგულირება ხდება არა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, არამედ იმ რეგულაციების მიხედვით, რომელიც კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირებს გააჩნიათ.

აღნიშნული უფლების მინიჭება ცალსახად დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს, თუმცა სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების განუხორციელებლობა გარკვეულ პრობლემებს უქმნის სსიპ სტატუსით რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს. მაგალითად „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი ჩამოთვლის იმ სუბიექტებს, რომლებსაც შეუძლიათ სახელმწიფო ქონების შესყიდვა. აღნიშნული კანონის არსებული რედაქცია (გრამატიკული განმარტების პირობებში) პირდაპირი მიყიდვის გზით სახელმწიფო ქონების შეძენის შესაძლებლობის გარეშე ტოვებს რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლებიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენენ. იმ ფონზე, როდესაც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას კონსტიტუციური შეთანხმებით საკუთრებაში გადაეცა მის მფლობელობაში არსებული ეკლესია-მონასტრები, სხვა რელიგიური ორგანიზაციებისათვის მსგავსი შესაძლებლობით სარგებლობის შეზღუდვამ გარკვეულწილად შეიძლება დისკრიმინაციული ფონი შექმნას.

საგადასახადო კოდექსი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი რელიგიურ საქმიანობას არ განიხილავს ეკონომიკურ საქმიანობად, ამის გათვალისწინებით რელიგიურ ორგანიზაციებს ათავისუფლებს გარკვეული გადასახადებისგან. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ განსხვავებით სხვა რელიგიური ორგანიზაციებისაგან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უფრო მეტი შეღავათებით სარგებლობს, რასაც სხვა რელიგიური ორგანიზაციები ხშირად მიიჩნევენ საკუთარი უფლებების შელახვად. აღნიშნულ პრობლემას საკუთარ ანგარიშებში არაერთხელ გამოეხმაურა საქართველოს სახალხო დამცველიც.

ყურადსაღებია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც მოგების გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება „საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება“, მსგავსი შეღავათი დაწესებულია მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოსათვის განკუთვნილი პროდუქციის დამზადებაზე და არ ეხება სხვა რელიგიური ორგანიზაციების პროდუქციას. შესაბამისად, განსხვავებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან, ამ მოცემულ შემთხვევაში, ყველა სხვა რელიგიური ორგანიზაცია იბეგრება ჩვეულებრივი წესით, 15%-ით. იგივე პრობლემა დგას საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტთან მიმართებაში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან⁸ როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას და ქონების ფლობისას, მაშინ, როდესაც სხვა დანარჩენ რელიგიურ ორგანიზაციებს მსგავსი შეღავათი უწესდება მხოლოდ არაეკონომიკური საქმიანობის მიზნით არსებულ ქონებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ყველა რელიგიური ორგანიზაცია, განსხვავებით საქართველოს საპატრიარქოსგან, ვალდებულია, ყოველი წლის 15 ნოემბრამდე გადაიხადოს მიწის გადასახადი.

რელიგიური ორგანიზაციები თავიანთი შინაარსისა და ფორმის მიხედვით არსებითად თანასწორნი არიან ერთმანეთთან მიმართებაში, ამიტომ ნებისმიერი ფორმით რომელიმე მათგანისთვის გარკვეული პრივილეგიის დაწესება და უპირატესობის მინიჭება უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციად, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილია, რომ გადასახადებთან დაკავშირებული შეღავათები თანაბრად გავრცელდეს ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გააგრძელოს მუშაობა ამ კუთხით და აღმოფხვრას არსებული პრობლემა.

მაუწყებლობის შესახებ კანონი

კანონის 56-ე მუხლი ეთმობა პროგრამულ შეზღუდვებს, რომლის თანახმადაც „იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის“⁹, ასევე „იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას.“¹⁰ ამავდროულად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული კანონით საზოგადოებრივ მაუწყებელს ეკისრება ვალდებულება, პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება.¹¹ მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ასეთი პროგრამების რაოდენობა საკმაოდ მცირეა და ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული ამბები და პრობლემები ნაკლებად შეუქდება, რაზეც თავის ანგარიშებში ყურადღება სახალხო დამცველმაც გაამახვილა.¹²

პატიმრები

წინადადებულ ნაბიჯს წარმოადგენს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის მათი რელიგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გადადგმული საკანონმდებლო ნაბიჯები. უნდა აღინიშნოს 2010 წლის 30 დეკემბერს სასჯელაღსრულების, პროზაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის №187 ბრძანება, რომლის თანახმად, პატიმართა მოთხოვნის შესაბამისად და სასჯელაღსრულების სამინისტროსთან შეთანხმებით, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ სასულიერო პირებს მიეცათ საშუალება, შეხვდნენ თავისუფლებააღკვეთილებს. ამავე ბრძანების თანახმად, თავისუფლებაშეზღუდულ პირებს აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად განახორციელონ რელიგიური რიტუალები საკანში, თუ ეს არ არღვევს სხვა ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებებს. ზემოხსენებული ცვლილებები მისასალმებელია, რადგან ისინი ხელს უწყობს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტების აღკვეთას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების დასაცავად და, ზოგადად, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშესაწყობად არსებული საკანონმდებლო ბაზა საკმაოდ ფართოა და იგი მოიცავს მრავალ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტს. თანასწორუფლებიანობაზე და დისკრიმინაციაზე ყურადღება გამახვილებულია ისეთ აქტებშიც, როგორებიცაა შრომის კოდექსი (მე-2 მუხლი), ზოგადადმინისტრაციულ კოდექსი (მე-4 მუხლი), პაციენტთა უფლებების შესახებ კანონი (მე-6

⁸ კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი.

⁹ საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 56.2.

¹⁰ იქვე, მუხლი 56.3.

¹¹ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თ) ქვეპუნქტი.

¹² მაგალითად, სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში, გვ. 150.

მუხლი) და სხვ. თითოეული მათგანი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების და საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების განხორციელების მექანიზმს.

კანონის უზენაესობის მიმართულების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი/შეფასება

ეროვნული კონცეფციის მიხედვით, კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ოთხი ძირითადი ამოცანა, თითოეული ამოცანის შესრულებისათვის კი განისაზღვრა სხვადასხვა ღონისძიება. განხორციელებული ღონისძიებების და აქტივობების შესაფასებლად განვიხილოთ, თუ რამდენად ეფექტურად მოხდა თითოეული ამოცანის შესრულება და, ზოგადად, კონცეფციით დასახული მიზნების მისაღწევად არის თუ არა საკმარისი, ერთი მხრივ, აღნიშნული ამოცანები, მეორე მხრივ კი, ამ ამოცანების იმპლემენტაციისათვის დასახული აქტივობები.

ამოცანები:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი ჰარმონიზაცია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან

2005 წელს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის რატიფიცირებით საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ უზრუნველყოფდა ეთნიკური უმცირესობების ეფექტურ დაცვას და მათ სამოქალაქო ინტეგრაციას. აღნიშნულის განსახორციელებლად კი, პირველ რიგში, საჭირო იყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც სამართლებრივ გარანტიებს შეუქმნიდა ეროვნულ უმცირესობებს. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საკანონმდებლო რეგულირება ცხადყოფს, რომ უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა და საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები, რამაც ხელი შეუწყო საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას.

კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის პირველ ამოცანასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის, რომ ამ კუთხით რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებები სამოქმედო გეგმაში არ ყოფილა გათვალისწინებული. გარკვეული აქტივობების განსაზღვრა და შემდგომ მათი განხორციელება მოხდა მხოლოდ 2011 წელს, ხოლო სხვა წლების სამოქმედო გეგმა საერთოდ არ ითვალისწინებდა რაიმე მნიშვნელოვან აქტივობებს ამ მიმართულებით. თვით ის ფაქტი, რომ სამოქმედო გეგმაში კანონმდებლობის ჰარმონიზაციის კუთხით არ მომხდარა ღონისძიებების ასახვა, ჩვენი აზრით, პირდაპირ არ მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი ტიპის ღონისძიებების საჭიროება არ არსებობს.

ბ) ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების მიერ მართლმსაჯულების სისტემაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

როგორც სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიშები ცხადყოფს, აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, კერძოდ:

- გაიმართა შეხვედრები საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და უმცირესობების წარმომადგენლებს შორის უმცირესობების სამართლებრივი განათლების, სამოქალაქო და სოციალური ინტეგრაციის მიზნით;
- რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრები მარნეულის, წალკის და თეთრიწყაროს მოსახლეობასთან;
- ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრთან (IRC) და უმცირესობის საკითხთა ევროპულ ცენტრთან (ECMI) თანამშრომლობით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ბოშათა რეგისტრაციის კუთხით. სამწუხაროდ, აღნიშნული პრობლემა მთლიანად არ მოგვარებულა და ამ საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ გრძელდება;
- მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შორის დოკუმენტების არმქონე პირების გამოვლენა და მათი სამართლებრივი დახმარება, აგრეთვე მათი ნატურალიზაცია;
- აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეთნიკური უმცირესობების მიერ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების უკეთ გაცნობის მიზნით აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე ითარგმნა

სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუცია) და იურიდიული ლიტერატურა.

თუმცა, მიუხედავად განხორციელებული აქტივობებისა, ჯერ კიდევ რჩება გადაუჭრელი საკითხები. მიგვაჩნია, რომ, ერთი მხრივ, საკანონმდებლო აქტების სხვა ენებზე თარგმნა დადებით მოვლენას წარმოადგენს, თუმცა პრობლემა ისაა, რომ ყურადღება ეთმობა მხოლოდ ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს და არ ხდება სხვა ეთნიკური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება, რაც მათ სამოქალაქო ინტეგრაციას უშლის ხელს.

პრობლემები არსებობს მართლმსაჯულების განხორციელების კუთხითაც. მაგალითად, სახალხო დამცველმა 2011 წლის ანგარიშში ყურადღება გაამახვილა ახალქალაქის საქალაქო სასამართლოში სამართალწარმოების მიმდინარეობაზე და აღნიშნა, რომ „როგორც სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, თავად მოსამართლე ვერ ფლობდა სახელმწიფო ენას სრულყოფილად. თარჯიმანი (კი) ფორმალურად მონაწილეობდა საქმის განხილვაში (ის მხოლოდ ეპიზოდურად აკეთებდა თარგმანს).“¹³ აღნიშნული ფაქტი, თავის მხრივ, პრობლემას უქმნის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას და ხელს უშლის სამართალწარმოებაში მონაწილე იმ პირთა უფლებების რეალიზებას, რომლებიც სრულყოფილად ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მართლმსაჯულების სისტემაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებათა რაოდენობა საკმაოდ მწირია. მაგალითად, 2010 წელს საერთოდ არ მომხდარა რაიმე სახის ღონისძიების დაგეგმვა ამ კუთხით, ხოლო 2011-2012 წლებში ჩანიშნული ღონისძიებების რაოდენობა კი საკმაოდ მცირეა, ამასთან ერთად კი, ის ღონისძიებები, რაც ჩანიშნულია, მოიცავს მხოლოდ სამ ძირითად რეგიონს: სამცხე-ჯავახეთს, ქვემო ქართლსა და კახეთის რეგიონს. შესაბამისად, უყურადღებოდ რჩებიან ეთნიკური უმცირესობების ის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს სხვა რეგიონებში ცხოვრობენ.

გ) დისკრიმინაციული მოპყრობისგან ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე აქტივობა:

- გაიხსნა იუსტიციის სახლები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს, მიიღოს სხვადასხვა სახის მომსახურება ერთ შენობაში;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარდა ღონისძიებები, რამაც ხელი შეუწყო ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების დასაქმებას პოლიციის რიგებში;
- დაინტერესებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში და რეგიონებში ვრცელდებოდა ბროშურები „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის“ პოპულარიზებისა და საზოგადოების უკეთ ინფორმირებულობისათვის;
- ეთნიკური უმცირესობებისათვის საკუთარი უფლებების და თავისუფლებების გაცნობის მიზნით ითარგმნა და გავრცელდა კრებულები საერთაშორისო სამართალსა და საქართველოს კანონმდებლობაში ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების შესახებ არსებულ ნორმებზე;
- დისკრიმინაციული მოპყრობის პრევენციის მიზნით საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის ფარგლებში განხორციელდა ღონისძიებები ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

წინადადებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით შექმნილი კანონპროექტი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც „თავს უყრის საქართველოს სხვადასხვა კანონებში არსებულ ანტიდისკრიმინაციულ ნორმებს და მათ ერთი კანონის ქვეშ აერთიანებს“. ეს კანონპროექტი მიზნად არ ისახავს ახალი უფლებების მინიჭებას ადამიანებისთვის, არამედ იცავს იმ უფლებებს, რომელიც კანონით მათ უკვე ისედაც აქვთ.“¹⁴ კანონპროექტი განსაზღვრავს დისკრიმინაციას, კანონის მოქმედების სფეროს, ჩამოთვლის იმ ძირითად ნიშნებს, რომელთა საფუძველზეც აკრძალულია დისკრიმინაცია, ასევე განმარტავს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელ

¹³ სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში, გვ. 13.

¹⁴ <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/21407/> [უკანასკნელად ნანახია: 25.07.2013 0:10-ზე]

ლონისმიებებს. კანონპროექტის მიხედვით, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი სუბიექტი იქნება საქართველოს სახალხო დამცველი. აღნიშნული ინიციატივა მისასალმებელია, იგი ხელს შეუწყობს უფლების დაცვის მექანიზმების კიდევ უფრო გამყარებას და, სავარაუდოდ, შეამცირებს კიდევ უფლების დარღვევის ფაქტებს.

კანონპროექტის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული როგორც სამთავრობო უწყებები, ისე ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო სექტორი და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. კანონპროექტის განხილვის მიზნით შეხვედრები ჩატარდა: (1) ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან; (2) რელიგიურ და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან; (3) ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან; (4) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

კანონპროექტი ასევე გაგზავნილი იქნა საერთაშორისო ექსპერტიზისთვის გაეროში, ეუთოსა და ევროპის საბჭოში. კანონპროექტს საერთაშორისო ექსპერტიზა ასევე ჩაუტარდა შვედი ექსპერტის მიერ, რომელიც მოწვეული იქნა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის თომას ჰამერბერგის რეკომენდაციით. კანონპროექტში აისახა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები. 2013 წლის 17 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ კანონპროექტის საბოლოო ვერსია წარუდგინა არასამთავრობო ორგანიზაციებს.

მიუხედავად ამისა, არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დისკრიმინაციული მოპყრობისგან ეროვნული უმცირესობების, განსაკუთრებით კი მათი რელიგიური მრწამსის ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა ვერ ხერხდება. 2012-2013 წლებში ნიგვზიანში, წინწყაროში, სამთაწყაროსა და ჭელაში განვითარებული რელიგიური კონფლიქტები, მიუხედავად იმისა, რომ უფლებადარღვეული პირები არ წარმოადგენდნენ ეროვნულ უმცირესობას, სახელმწიფოს წინაშე მდგარი პრობლემების ნათელი მაგალითია. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ მუსლიმების წინააღმდეგ განხორციელებული მუქარების, რელიგიური რიტუალებისთვის ხელის შეშლის, დევნისა და ხულიგნობის არც ერთ ფაქტს არ მოჰყვა შედეგად უფლებადამრღვევთა პასუხისმგებლობაში მიცემა. სახელმწიფოს მხრიდან არაადეკვატური, არაეფექტური და დისკრიმინაციული მოქმედება უმთავრესი მიზეზი გახდა იმისა, რომ რელიგიურ ნიადაგზე მუსლიმთა შევიწროებამ პერიოდული ხასიათი შეიძინა.¹⁵

დ) საჯარო მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებაში

აღნიშნული კუთხით განხორციელდა არაერთი აქტივობა:

- 2012 წლის განმავლობაში იმართებოდა ტრენინგები დისკრიმინაციის დაუმჯობესებასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის;
- შედგა შეხვედრები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს წევრებს შორის;
- ჩატარდა ლექციები ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების თემებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის უბნის ინსპექტორთა და საპატრულო პოლიციის საბაზისო კურსის მსმენელებისათვის;
- ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის შესახებ მომზადდა ბროშურა, რომელიც დაეგზავნა შსს-ს ყველა დანაყოფს;
- 2010 წელს სამხარეო და მუნიციპალური სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებისა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებაში.

მიგვაჩნია, რომ მსგავსი სახის ტრენინგები დადებით შედეგს გამოიღებს საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების, ინფორმირებულობის გაზრდისა და ადამიანის უფლებათა რიგი დარღვევების თავიდან აცილების კუთხით. თუმცა სამწუხაროა ის, რომ ტრენინგების უმეტესობა შეეხო მხოლოდ თბილისს,

¹⁵ <http://gdi.ge/?p=403> [უკანასკნელად ნანახია: 16.12.2013]

ახალციხეს, ახალქალაქსა და მარნეულს და ყურადღება არ გამახვილდა საქართველოს სხვა რეგიონებზე, სადაც ასევე არსებობს მსგავსი სახის ტრენინგების ჩატარების აუცილებლობა.

ასევე უნდა აღვნიშნოთ 2012-2013 წლებში რელიგიური ნიშნით მომხდარი დაპირისპირებების დროს სამართალდამცველების მიერ განხორციელებული ქმედებების კანონშესაბამისობის საეჭვოობა, როდესაც მათ ვერ შეძლეს კონფლიქტის განეიტრალება და ზოგიერთ შემთხვევაში თავადაც იყვნენ ჩართულები დაპირისპირებაში და თავს კონფლიქტის მონაწილეებად აღიქვამდნენ. ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან არაერთხელ გაკეთდა შესაბამისი შეფასებები.¹⁶ აღნიშნული ცხადყოფს, რომ განხორციელებული ლექცია-სემინარები არ არის საკმარისი საჯარო მოსამსახურეთა ცნობიერების ასამაღლებლად და საჭიროა სხვა ღონისძიებების განხორციელებაც არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ზოგადი დასკვნები

შემწყწარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით ჯერ კიდევ რჩება გადასაჭრელი პრობლემები, მათ შორისაა ტოლერანტობის კულტურის პრობლემა დღევანდელ სამოქალაქო საზოგადოებაში. როგორც სახალხო დამცველმა აღნიშნა 2011 წლის ანგარიშში, პრობლემური და აქტუალურია უმრავლესობისა და უმცირესობების ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთგაუცხოება და სტერეოტიპებით მოცული განწყობა.¹⁷ ეს, რა თქმა უნდა, ხელს უშლის კონცეფციით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას და დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნას.

განხილული საკითხების ანალიზი ცხადყოფს რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს:

1. კანონის უზენაესობის, განსაკუთრებით კი პირველი ორი პრიორიტეტული ამოცანის კუთხით განსაზღვრულ ღონისძიებათა რაოდენობა საკმაოდ მწირია;
2. ღონისძიებების განხორციელებისას პრიორიტეტულია მხოლოდ ყველაზე მსხვილი ეთნიკური ჯგუფები და უყურადღებოდ რჩებიან სხვა ეთნიკური უმცირესობები, მაგალითად, ბოშები, რაც აფერხებს საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას;
3. ყურადღება გადატანილია მხოლოდ სამ ძირითად რეგიონზე: სამცხე-ჯავახეთზე, ქვემო ქართლსა და კახეთზე, შესაბამისად, ყურადღების მიღმა რჩებიან ეთნიკური უმცირესობების ის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს სხვა რეგიონებში ცხოვრობენ;
4. საჯარო მოხელეებისათვის განხორციელებული ღონისძიებები არ არის საკმარისი მათი სამართლებრივი ცნობიერების ასამაღლებლად;
5. საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არსებობს ხარვეზები, რომელიც ხელს უშლის უფლებების რეალიზებას.

განათლება და სახელმწიფო ენა

არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველო ეთნიკური უმცირესობების განათლების უფლებებთან დაკავშირებული რამდენიმე საერთაშორისო კონვენციის წევრია, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენცია, რომლის მე-12 და მე-14 მუხლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ განათლების უფლებას;
- საერთაშორისო შეთანხმება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე;
- ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია.

¹⁶ <http://gdi.ge/?p=295> [უკანასკნელად ნანახია 18.12.2013].

¹⁷ სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში, გვ. 143.

საქართველოში განათლების სფერო შემდეგი ძირითადი კანონებით რეგულირდება:

- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციის 35.1 მუხლი იცავს ყველა მოქალაქის უფლებას, მიიღოს განათლება და აირჩიოს განათლების ფორმა¹⁸. “ზოგადი განათლების შესახებ” კანონი ადასტურებს განათლების მიღების უფლებას (მუხლი 9) და მის “თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის” (მუხლი 3.2.ა)¹⁹.

“ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მეოთხე მუხლით განსაზღვრულია: „ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ქართული ან აფხაზური.” ამავე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, “საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ, მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით”. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ორივე სახელმწიფო ენისა. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ლიცენზირებას ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (მუხლი 31.3), ხოლო აკრედიტაციას გასცემს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი (მუხლი 32).

ყველა აკრედიტებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც საჯარო, ისე კერძო, ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ყოველ მოსწავლეზე გამოყოფილი ვაუჩერით, რომელიც ძალაშია 12-წლიანი სასკოლო განათლების განმავლობაში (მუხლი 22). ზოგადი განათლების შესახებ კანონის 23-ე მუხლი ითვალისწინებს დაფინანსების გახანგრძლივებას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც 12 წლის სწავლის შემდეგ ვერ დაძლიეს სასკოლო გეგმით დადგენილი ნორმები.

“ზოგადი განათლების შესახებ” კანონის 4.4 მუხლის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოურ ენაზე სწავლების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ამას ითვალისწინებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები. თუმცა ამ შემთხვევაშიც სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება. 5.4 მუხლის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ქართული ენის გარდა, უნდა მოხდეს ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება ქართულ ენაზე.

“ზოგადი განათლების შესახებ” კანონის მე-7 მუხლი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მშობლიურ ენაზე მიიღონ განათლება საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს და ამისათვის უზრუნველყოფს გაზრდილ ვაუჩერს ან/და დამატებით დაფინანსებას, რომელიც უნდა დამტკიცდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში. ამ უფლების განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ ენობრივი უმცირესობის სკოლის ან კლასის ფარგლებში არსებობდეს, სულ მცირე, 3 მოსწავლე დაწყებით საფეხურზე, 6 მოსწავლე საბაზო საფეხურზე და 21 მოსწავლე საშუალო საფეხურზე (მუხლი 7).

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 27 სექტემბრის N249 დადგენილების „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ” დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პირველი მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად „საჯარო სკოლის არაქართულენოვანი სექტორებისთვის გაზრდილი ვაუჩერი მიიღება... დადგენილი ვაუჩერის 1.14 კოეფიციენტზე გამრავლებით, ხოლო არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის გაზრდილი ვაუჩერი მიიღება დადგენილი ვაუჩერის 1.13 კოეფიციენტზე გამრავლებით... შესაბამისად, არაქართულენოვანი სკოლები და სექტორები იღებენ

¹⁸ საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო.

¹⁹ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, No. 1330/IS, 08 აპრილი 2006 წ.

გაზრდილ ვაჟერს ქართულენოვანი სკოლებისგან განსხვავებით, რათა მოახერხონ სწავლების ენასთან და მშობლიური ენის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება და დაფინანსება.

ზოგადი განათლების კანონი იცავს ყველა მოსწავლეს ყოველგვარი ძალადობისაგან და აძლევს მშობლიურ ენაზე გამოხატვის თავისუფლებას. კერძოდ, კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია: “დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება.” ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ. იმავე მუხლის მე-6 პუნქტში კი აღნიშნულია: “სკოლა ვალდებულია, დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა.” მე-7 პუნქტის შესაბამისად კი, “სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება”.

განათლების შესახებ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულია მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, “დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულების შესრულება, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს”.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 22 მაისის #452 ბრძანებით დამტკიცებული „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების“ თანახმად, მოსწავლეს განათლების დაძლევა ექსტერნატის ფორმით შეუძლია ქართულ, რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე. ექსტერნატი, რომლებიც გამოცდებს აბარებენ რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე, გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩააბარებენ შესაბამისი სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით. საგამოცდო ტესტების თარგმნას ქართულიდან რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე უზრუნველყოფს გამოცდების ეროვნული ცენტრი.

სასწავლო გეგმები და სახელმძღვანელოები

“ზოგადი განათლების შესახებ” კანონის მიხედვით, სკოლებს ევალებათ, მოსწავლეებს მიაწოდონ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული განათლება (მუხლი 33.1.ა). აღნიშნული დებულება უფრო ფართოდაა გაშლილი 2004 წლის 18 ოქტომბერს დამტკიცებულ განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში და სხვადასხვა საგნების სასწავლო გეგმებში, კერძოდ, განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში მითითებულია: “სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარები, საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის”... იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე: დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირების განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება”²⁰. ხოლო საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო გეგმების ამოცანად ტოლერანტი, ადამიანის ღირსებების და უფლებების მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებაა დასახული²¹.

2009 და 2010 წლებში სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემლებს ევალებოდათ ანტიდისკრიმინაციული სახელმძღვანელოს შექმნა. 2011 წლის 25 თებერვლის ბრძანებაში სახელმძღვანელოს გრიფირების წესის შესახებ კი ეს პუნქტი უკვე აღარ იყო ჩადებული სახელმძღვანელოს შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად.

²⁰ 2004 წლის 18 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის №84 განკარგულება „განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“, გვ. 2-3, იხ.: <http://ganatleba.org/index.php?m=112>.

²¹ საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო გეგმა, ვრცლად იხ.: http://ncac.ge/uploads/esg2009_2010/sazogadoebrivi.pdf.

მრავალფეროვნებისა და ინტერკულტურული განათლების ასახვის, აგრეთვე არადისკრიმინაციული სახელმძღვანელოების შექმნის მოთხოვნა სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემლებისთვის და სახელმძღვანელოს ლიცენზიის მოპოვების მსურველებისთვის აღდგა 2012 წელს; კერძოდ, 2012 წლის 6 იანვარს 2011 წლის 25 თებერვლის ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, ბრძანების მერვე მუხლის, მეათე პუნქტის ბ) ქვეპუნქტში ნათქვამია: „სახელმძღვანელო არ შეფასდება და ეთიშება გრიფირებას იმ შემთხვევაში, თუ მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს (ენა, ეროვნება, სქესი, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება და სხვ.).“

ინტერკულტურული სწავლების მოთხოვნა ასახულია 2008 წლის 21 ნოემბერს გამოცემულ მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტში: „მასწავლებელი იცნობს ინკლუზიური განათლების, ასევე მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიდგომებსა და პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის განხორციელებაში.“ უფრო დეტალურად ინტერკულტურული ასპექტები ასახულია მასწავლებლის საგნობრივ სტანდარტებში, კერძოდ, ქართულის, როგორც მეორე ენის, საზოგადოებრივი მეცნიერებების და უცხო ენების მასწავლებლების სტანდარტებში.

საქართველო გაწევრიანებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელთათვისაც ინტერკულტურული განათლება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს და საქართველო, როგორც წევრი სახელმწიფო, უერთდება ამ ორგანიზაციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ევროპის საბჭო, რომელმაც ბოლო წლებში ოთხი ფუნდამენტური დოკუმენტი მიიღო. ეს დოკუმენტები განსაზღვრავს ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში ინტერკულტურული განათლების პოლიტიკას. ერთი ასეთი დოკუმენტია განათლების მინისტრთა მუდმივმოქმედი კომისიის 21-ე სესიის საბოლოო დეკლარაცია (ათენი, 2003 წლის 10-12 ნოემბერი). აღნიშნული დეკლარაცია უშუალოდ ინტერკულტურულ განათლებას ეხება. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ვროცლავის დეკლარაცია (2004 წლის 9-10 დეკემბერი), სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა მესამე სამიტზე მიღებული სამოქმედო გეგმა (ვარშავა, 2005 წლის 16-17 მაისი) და 2005 წლის 4 ოქტომბრის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1720 რეკომენდაცია რელიგიისა და განათლების შესახებ.

ათენის დეკლარაციის თანახმად, მნიშვნელოვანია, ევროპის საბჭომ „ა) ხელახლა დაიწყოს ინტერკულტურული განათლების სფეროში კონცეპტუალური კვლევა; ბ) ხელი შეუწყოს ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას. ადამიანის უფლებათა და მრავალფეროვნების მიმართ პატივისცემის გაღვივებას; გ) გაატაროს ღონისძიებები სწავლების მეთოდებისა და სასწავლო საშუალებების სფეროში; ე) შეიმუშაოს კომუნიკაციასა და ურთიერთგაგებაზე გამიზნული პროგრამები, განსაკუთრებით - ენობრივი სწავლების გზით; ვ) დახმარება გაუწიოს წევრ სახელმწიფოებს განათლების პოლიტიკაში ინტერკულტურული ელემენტის შეტანაში; ი) შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დემოკრატიული და ინტერკულტურული პრინციპების გათვალისწინებით; ლ) გააძლიეროს ინტერკულტურული განათლება და მრავალფეროვნების მართვა ამგვარი წვრთნით; რ) დახმარება გაუწიოს წევრ სახელმწიფოებს იმის გაცნობიერებაში, რომ კულტურულ, ეთნიკურ თუ რელიგიურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება მხოლოდ სკოლებისთვის კი არ არის საჭირობო საკითხი, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის“.

2005 წლის 4 ოქტომბრის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1720 რეკომენდაცია რელიგიისა და განათლების შესახებ ასევე კონკრეტულ რეკომენდაციებს უწევს მინისტრთა კომიტეტს საგანმანათლებლო სისტემებში ინტერკულტურული განათლების დასანერგად ევროპის მასშტაბით.

უმაღლესი განათლება

ანტიდისკრიმინაცია

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, “უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური. სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან”.

უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფილიალს საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განსახორციელებლად სჭირდება ლიცენზირება ან აკრედიტაცია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესით (მუხლი 14.4).

უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ავალეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიმართ თანასწორ მოპყრობას (მუხლი 16.1.დ) და რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას (მუხლი 3.2.თ). 3.4-ე მუხლი კრძალავს რაიმე რელიგიური ან პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობას უმაღლეს სასწავლებელში.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონი მოითხოვს სტუდენტის რელიგიური კუთვნილების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას, რომელიც ცნობილი გახდა აკადემიური პერსონალის ან ადმინისტრაციისთვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას (მუხლი 43.4). სტუდენტებს უფლება აქვთ, თანაბარ პირობებში ისარგებლონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით (მუხლი 43.1.გ).

უმაღლესი განათლებაზე ხელმისაწვდომობა

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 43.1 მუხლი ითვალისწინებს სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიების გაცემას უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ან სხვა წყაროებიდან, ისევე, როგორც ფინანსურ და მატერიალურ დახმარებებს. ხელისუფლება ფინანსურად გაჭირვებული სტუდენტებისათვის სოციალურ პროგრამებს ახორციელებს განსაკუთრებულ შემთხვევებში (მუხლი 6.1.გ და 52.8). აღნიშნული მუხლის საფუძველზე შესაბამისი ბრძანებით სოციალური პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უმაღლესი განათლების დაფინანსება ყოველწლიურად 15 აზერბაიჯანულენოვანი და 15 სომხურენოვანი სტუდენტისთვის.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2009 წლის 19 ნოემბერს მიღებული ცვლილებების შესაბამისად, დადგინდა იმ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა, რომლებიც გაივლიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. ასევე განისაზღვრა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სტუდენტთა მიღებას ახორციელებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე სტუდენტთა ჩარიცხვისათვის აცხადებს ადგილებს ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღებ სტუდენტთა საერთო რიცხვის 5-5%-ის ოდენობით, ხოლო ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტებისთვის – 1-1%-ის ოდენობით (მუხლი 52.51). ამასთანავე, შესაბამის წელს დარეგისტრირებული ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩასარიცხ აბიტურიენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოტივირებული გადაწყვეტილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, შესაძლებელია პროცენტული გადანაწილების შეცვლა მათი ჯამის ფარგლებში.

მხოლოდ აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების ჩარიცხვის აღნიშნული წესი ძალაში შევიდა 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან (მუხლი 90.23). ამ ცვლილებებით დადგენილი ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წევრი სტუდენტების სახელმწიფო უნივერსიტეტებში მიღების ახალი სისტემა დროებითია და იმოქმედებს 2018-2019 სასწავლო წლის ჩათვლით (მუხლი 90.25).

ამასთან, დადგინდა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩასარიცხ სტუდენტთა ადგილების ზემოაღნიშნული პროცენტული რაოდენობა არ შედის

აკადემიურ უმაღლეს და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე განსაზღვრულ სტუდენტთა რაოდენობაში.

აღნიშნული კანონის შესაბამისად, მოქმედებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუხლი 52.5), რომლითაც ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან ახალდაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქის მიერ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შემენა ქართულ ენაში იმ დონეზე, რაც აუცილებელია ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. შესაბამისად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენას. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები ვალდებული არიან, ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა გააგრძელონ ქართულ ენაზე და დააგროვონ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა (მუხლი 2.335, მუხლი 473.4).

საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, განახორციელოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე იმ სტუდენტთა მიღება, რომლებიც გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებაა, დაადგინოს სახელმწიფო სასწავლო გრანტის დაფინანსების მოცულობა და ოდენობა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (მუხლი 6.1.გ2).

ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს სწავლის გაგრძელების უფლება ექნება ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მხოლოდ ქართულ ენაზე. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის 60-კრედიტიანი (მუხლი 47, 3.2) და მისი სწავლება სავალდებულოა პირველი სასწავლო წლის განმავლობაში. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაიცემა ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

პროფესიული განათლება

საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 28 მარტს მიიღო კანონი პროფესიული განათლების შესახებ, რომელიც არეგულირებს პროფესიული განათლების სისტემას. კანონის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, უზრუნველყოს პროფესიული განვითარების პირობები და სამუშაო ადგილები სოციალური გაუცხოების რისკის ქვეშ მყოფი ადამიანებისათვის (მე-5 მუხლის "ვ" პუნქტი). მე-6 მუხლის "გ" პუნქტი გადმოცემს კანონის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას, რომელიც გულისხმობს პროფესიული განათლების მისადაგებას ადგილობრივ მოთხოვნებთან და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრების ქსელის შექმნას.

პროფესიული განათლების შესახებ კანონის თანახმად, პროფესიული სწავლების ცენტრმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტების მიმართ თანასწორი მოპყრობა განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა და რელიგიისა (მუხლი 31.1.ბ).

სკოლამდელი განათლება

სკოლამდელი განათლების საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.²² სკოლამდელი დაწესებულებები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაშია და მათი ფუნქციონირება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაა.²³

განათლება და სახელმწიფო ენის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის ანალიზი/შეფასება

სკოლამდელი განათლება

განათლებისა და სახელმწიფო ენის მიმართულებით *ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის* განსახორციელებლად 2009-2013 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. კერძოდ, 2009 წლის 31 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „ქართული ენის პროგრამა“. 2009 წელს სამინისტრომ განახორციელა ქვეპროგრამა – „სკოლამდელი განათლების საფეხურზე ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა არაქართულენოვან რეგიონებში. ქვეპროგრამის ფარგლებში ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შეიქმნა 3 საჯარო სკოლა და 5 საბავშვო ბაღი (დმანისის #1 საბავშვო ბაღი, ბოლნისის რაიონის სოფ. ნახიდურის საჯარო სკოლა, მარნეულის #3 საბავშვო ბაღი, ნინოწმინდის #4 საჯარო სკოლა, ნინოწმინდის ბაღი „წიწერნაკ“, ახალქალაქის #2 საჯარო სკოლა, ახალქალაქის #2 საბავშვო ბაღი, ახალციხის #3 საბავშვო ბაღი), რომელთა ბაზაზეც მოეწყო სკოლამდელი განათლების ცენტრები.²⁴ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ აღნიშნული პროგრამისათვის გამოიყო 84 690 ლარი.²⁵

პროგრამის ფარგლებში შერჩეული ექსპერტების მიერ 2012 წელს დასრულდა მუშაობა სახელმძღვანელოზე, რომელიც ეფუძნება ადრეულ ასაკში ქართულის, როგორც მეორე ენის, შესწავლის პრინციპებს და, ამასთანავე, ითვალისწინებს სკოლამდელი ასაკის ბავშვების კოგნიტურ, სოციალურ-ემოციურ განვითარებას. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ელექტრონული ვერსიის სახითაც სამინისტროს ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე [elibrary.emis.ge/ge/books/details/154].

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის მიხედვით აღნიშნულ 8 ცენტრში განხორციელდა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისათვის შემუშავებული პროგრამის პილოტირება. გადამზადდნენ აღნიშნული ცენტრების აღმზრდელები. პილოტირებაში მონაწილეობდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 147 ბავშვი. 2010-2012 წლებში ფინანსური და სათანადო სასწავლო-სააღმზრდელო რესურსების სიმცირის გამო აღნიშნულიდან ფუნქციონირებას განაგრძობდა მხოლოდ სამი ცენტრი: მარნეულის მე-3 საბავშვო ბაღში, ნინოწმინდის ბაღ „წიწერნაკსა“ და ახალქალაქის მე-2 საბავშვო ბაღში. 2013 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს მიერ მუნიციპალიტეტებთან აქტიური თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შედეგად ყველა მათგანში აღდგენილია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი. ამასთან, 2013 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამატებით გადამზადდა ეთნიკური უმცირესობების საბავშვო ბაღის 24 აღმზრდელი; დამატებით გამოიცა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების სახელმძღვანელო და გადაეცათ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების საბავშვო ბაღებს.

2010-2013 წლების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტივობების, არსებული სტატისტიკური ინფორმაციის, რეგიონებიდან და ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს მონიტორინგის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, ტენდენციები შემდეგია:

²² კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, მუხლი 16, პ.

²³ კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, მუხლი 16, პ.

²⁴ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის 2009 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, www.smr.gov.ge

²⁵ იქვე

სკოლამდელი განათლების მიმართულებით ორი მნიშვნელოვანი პრობლემა იკვეთება არაქართულენოვან სკოლამდელ დაწესებულებებში: (ა) ხელმისაწვდომობა სკოლამდელ განათლებაზე; (ბ) სკოლამდელ დაწესებულებებში ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებული ორივე პრობლემა დამახასიათებელია, ზოგადად, საქართველოს სკოლამდელი განათლების სისტემისთვისაც, თუმცა ის უფრო მკვეთრად ჩანს არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტური განსახლების რეგიონებში. საკითხი კი განსაკუთრებით აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ სკოლამდელი განათლების მნიშვნელობას მოსწავლის სოციალურ-კოგნიტური, ემოციური და ენობრივი კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით.

ხელმისაწვდომობა სკოლამდელ აღზრდაზე

სკოლამდელ აღზრდაზე ხელმისაწვდომობა პრობლემურია მთელ საქართველოში. სტატისტიკის დეპარტამენტის 2005-2006 წლების მონაცემებით, სკოლამდელი ასაკის ბავშვების მხოლოდ 55% სწავლობს სკოლამდელ დაწესებულებებში. ეს ციფრი გაცილებით მაღალია ურბანულ დასახლებებში სასოფლო დასახლებებთან შედარებით (ქალაქში – 67%, სოფელში – 43%)²⁶. უკანასკნელი მონაცემები ამ თვალსაზრისით ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა გაერო-ს ბავშვთა ფონდის ეგიდით ჩატარებული კვლევების შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით ხელმისაწვდომობა იზრდება და საშუალოდ 60%-ს აღწევს მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ მხრივ ვითარება მკვეთრად უარესია სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. სამხარეო ადმინისტრაციებისა თუ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კომპაქტური განსახლების რეგიონებში შემდეგი სურათი იკვეთება:

სამცხე-ჯავახეთი

მუნიციპალიტეტის დასახელება	საბავშვო ბაღების რაოდენობა სულ	არაქართულენოვანი ბაღების რაოდენობა	ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ბავშვების რაოდენობა	ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების რაოდენობა
ადიგენი	7	0	2	12
ასპინძა	4	0	10	60
ახალციხე	15	1	110	950
ახალქალაქი	11	9	610	1776
ბორჯომი	10	0	24	157
ნინოწმინდა	7	7	360	1367
სულ	54	17	1116	4322

²⁶გაერო-ს ბავშვთა ფონდი (UNICEF) იხ.: <http://www.unicef.org/georgia/childhood.html>.

ქვემო ქართლი

რაიონი/ქალაქი	არაქართულ ენოვანი ბალების რაოდენობა	საბავშვო ბაღის ასაკის ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ბავშვთა რაოდენობა	ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ბავშვების რაოდენობა, რომლებიც დადიან საბავშვო ბაღებში
თეთრიწყარო	0	179	30
მარნეული	4		50
დმანისი	0	890	12
ბოლნისი	0	2200	187
გარდაბანი	16	-	869
წალკა	0	20	0

კახეთი

რაიონი/ქალაქი	არაქართულენოვანი ბალების რაოდენობა	საბავშვო ბაღის ასაკის ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ბავშვთა რაოდენობა	ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ბავშვების რაოდენობა, რომლებიც დადიან საბავშვო ბაღებში
ახმეტა	-	-	-
გურჯაანი	0	13	13
დედოფლისწყარო	0	71	15
თელავი	1	361	58
ლაგოდეხი	0	90	90
საგარეჯო	0	900	37
სიღნაღი	0	14	14
ყვარელი	-	-	-

სკოლამდელ აღზრდაზე ხელმისაწვდომობა სხვადასხვა შესაძლო მიზეზით 25%-ს არ აღემატება, რაც მკვეთრად დაბალია საქართველოს მასშტაბით არსებულ ზოგად მაჩვენებელთან შედარებით.

სკოლამდელ დაწესებულებებში მოსიარულე მოსწავლეთა დაბალი მაჩვენებელი ნაკლებად არის გამოწვეულია მშობლების სურვილით, არ ატარონ შვილები ბაღში. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მშობლებს სურთ, ბავშვები სკოლამდელ დაწესებულებებში სწავლობდნენ, თუმცა ეს დაწესებულებები არ არის ხელმისაწვდომი მათთვის, რასაც ადასტურებს 2009-2011 წლებში სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს მიერ ჩატარებული მონიტორინგისა და შეფასების შედეგები (იხ. 2009-2011 წლების ანგარიშები). აღნიშნული ტენდენცია და ხელმისაწვდომობის პრობლემა სახელდება მარნეულსა და ახალქალაქში 2013 წელს მშობლებთან და განათლების სისტემაში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებშიც.

სწავლების ხარისხი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

სკოლამდელი განათლების მიმართულებით მეორე მნიშვნელოვანი საკითხი განათლების ხარისხია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა შეიმუშავა ადრეული სწავლისა და განვითარების სტანდარტი გაერო-ს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით. აღნიშნული სტანდარტის შესაბამისად, უნდა განხორციელდეს სწავლების პროცესი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. შემუშავებული სტანდარტის რეალიზებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გაერო-ს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით გამოიცა შემდეგი სახელმძღვანელოები: (ა) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფიზიკური გარემო (პრინციპები და პრაქტიკა); (ბ) ადრეული სწავლისა და განვითარების სტანდარტები; (გ) საბავშვო ბაღის აღმზრდელის და დამხმარე სახელმძღვანელო; (დ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მართვის გზამკვლევი; (ე) სკოლამდელი განათლების პროგრამა; (ვ) სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა ეტაპობრივად დაიწყო ახალი სტანდარტის დანერგვის ტრენინგებიც.

ადრეული სწავლისა და განვითარების სტანდარტის შესახებ ინფორმაციას ნაკლებად ფლობენ არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოქმედი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ადმინისტრაცია და მასწავლებლები. აღსანიშნავია, რომ ზოგადი განათლების სასწავლო გეგმისგან განსხვავებით, სკოლამდელი განათლების სასწავლო გეგმა არ არის ხელმისაწვდომი ეროვნული უმცირესობების მშობლიურ ენაზე.²⁷

აღსანიშნავია, რომ არც შემუშავებული მნიშვნელოვანი მეთოდური სახელმძღვანელოებია ხელმისაწვდომი არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლებისთვის მშობლიურ ენაზე. ამასთანავე, სკოლამდელი დაწესებულებების ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს ახალი სტანდარტისა და პროგრამის დანერგვისა და ახალი სწავლების მეთოდების მიმართულებით არ გაუვლიათ პროფესიული განვითარების პროგრამები. შესაბამისად, არაქართულენოვან სკოლამდელ დაწესებულებებში სწავლების ხარისხი კვლავ პრობლემად რჩება. ერთადერთი პროფესიული განვითარების და ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები ხორციელდება ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მიმართულებით.

ზოგადი განათლება

ზოგადი განათლების შესახებ კანონიდან გამომდინარე, 2009 წლის მონაცემებით საქართველოში 234 არაქართულენოვანი სკოლა და 170 არაქართულენოვანი სექტორი (სულ 404 არაქართულენოვანი სკოლა და სექტორი) ფუნქციონირდა:

სწავლების ენა	სკოლები შერეული ენობრივი სექტორებით	სკოლები სუფთა ენობრივი სექტორებით
	სკოლების რაოდენობა	სკოლების რაოდენობა
აზერბაიჯანული	124	94
სომხური	140	124
რუსული	135	14
ოსური	3	1
სხვა	2	1
სულ	404	234

²⁷განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის წერილი სახალხო დამცველის მოადგილეს # 08-2-13/1907 (14.-2.2012).

აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები მკვეთრად შეიცვალა უკვე 2011 წლის მონაცემებით. კერძოდ, 2011 წლის მონაცემების შესაბამისად, საქართველოში 216 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 89 არაქართულენოვანი სექტორი ფუნქციობდა, ანუ სკოლების რაოდენობა შემცირდა 18 ერთეულით, ხოლო სექტორების რაოდენობა – 81 ერთეულით:

სწავლების ენა	სკოლები შერეული ენობრივი სექტორებით	სკოლები სუფთა ენობრივი სექტორებით
	სკოლების რაოდენობა	სკოლების რაოდენობა
აზერბაიჯანული	123	88
სომხური	133	116
რუსული	61	12
შენიშვნა: ზოგიერთი სკოლა არის 3 ენოვანი სექტორების თვალსაზრისით, ამიტომ ცხრილში მოცემული რაოდენობა აჭარბებს 305-ს		
სულ:	305	216

2013 წლის მონაცემებით, შემცირების ტენდენცია გრძელდება, თუმცა არა ისევე მკვეთრად, როგორც 2009-2011 წლებში. კერძოდ, სკოლების რაოდენობა შემცირდა 3 სკოლით, ხოლო სექტორების რაოდენობა – 12 სექტორით. დღეს საქართველოში 213 საჯარო არაქართულენოვანი სკოლა და 77 არაქართულენოვანი სექტორი ფუნქციობს:

არაქართულენოვანი საჯარო სკოლები რეგიონების მიხედვით, 2013 წელი

რეგიონი	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური	სულ
აჭარა				0
თბილისი	1	2	1	4
იმერეთი				
კახეთი	4	1		5
სამეგრელო-ზემო სვანეთი				
სამცხე-ჯავახეთი		4	96	100
ქვემო ქართლი	80	4	20	104
სულ	85	11	117	213

²⁸ შ. ტაბატაძე, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის 2010 წლის გამოცემა, „კულტურული დიალოგი და სამოქალაქო ცნობიერება“, სტატია „ინტერკულტურული განათლება საქართველოში“, გვ. 85.

არაქართულენოვანი სექტორები რეგიონების მიხედვით

რეგიონი	ქართული, აზერბაიჯანული	ქართული, რუსული	ქართული, რუსული, აზერბაიჯანული	ქართული , რუსული, სომხური	ქართული , სომხური	სულ
აჭარა		6			1	7
თბილისი	1	9	1	5		16
იმერეთი		1				1
კახეთი	6	3			1	10
სამეგრელო-ზემო სვანეთი		3				3
სამცხე-ჯავახეთი		1		2	5	8
ქვემო ქართლი	21	8	2		1	32
სულ	28	31	3	7	8	77

2009 და 2013 წლებს შორის არსებული სხვაობა თვალსაჩინოა. აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებდა სკოლების ოპტიმიზაციას და სკოლების რაოდენობის შემცირება უკავშირდებოდა ამ პროცესს. ოპტიმიზაციის პროცესი ეხებოდა ქართულენოვან სკოლებსაც. თუმცა, რუსულენოვან სექტორებთან მიმართებით პრობლემები თვალსაჩინოა. 2009 წელს არსებული 135 სკოლიდან და სექტორიდან 2011 წლისთვის დარჩა მხოლოდ 61 სკოლა და სექტორი, ხოლო 2013 წლისთვის სულ 52 რუსული სკოლა თუ სექტორი, ანუ რუსული სკოლებისა და სექტორების რაოდენობა თითქმის მესამედი გახდა.

რუსულენოვანი სექტორების დახურვით გამოწვეული პრობლემატიკა წარმოჩენილია სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშში. ანგარიშების მიხედვით რუსულენოვანი სექტორების დახურვამ მოსახლეობას შეუქმნა განათლების მიღებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. რუსულ ენაზე განათლებამიღებული ბავშვებისთვის პრობლემაა სხვა ენაზე სწავლა. არსებობს მეორე ტიპის პრობლემა, შესაძლებელია სხვა რუსულ სკოლაში სიარული, თუმცა აქ დგას ტრანსპორტირებისა და გადაადგილების პრობლემა, რადგან ეს სკოლები მოსწავლეების საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებითაა.

2010-2013 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „უმცირესობათა ენის დაცვის ქვეპროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა თბილისის მე-11 საჯარო სკოლის ბაზაზე არსებული ოსური საკვირაო სკოლა. ოსურ საკვირაო სკოლაში 20 მსმენელს შესაძლებლობა ჰქონდა, შეესწავლა ოსური ენა, კულტურა, ისტორია, ფოლკლორი, კავკასიური ცეკვები და სიმღერები.

მშობლიური ენის სწავლება არაქართულენოვან სკოლებში

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მასწავლებელთა და მშობელთა მიერ სერიოზულ პრობლემად სახელდება მშობლიური ენის ხარისხიანად სწავლების საკითხი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2006-2007 წლებში ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისთან თანამშრომლობით შეიმუშავა სომხურისა და აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენების, სასწავლო გეგმების პროექტი. აღნიშნული სასწავლო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობდნენ ექსპერტები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. აღნიშნული სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით მოხდა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო

ქართლში მშობლიური ენის მასწავლებელთა გადამზადება²⁹. 2008 წლიდან ამ მიმართულებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღარ გაუგრძელებია საქმიანობა. შემუშავებული სასწავლო გეგმების პროექტები არ იქნა დამტკიცებული, არ გაგრძელდა მუშაობა ამ სასწავლო გეგმების დანერგვაზე და ახალი სახელმძღვანელოების შექმნაზე. შესაბამისად, სომხურის და აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენის, სწავლების ხარისხი პრობლემურად რჩება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არც 2010-2013 წლებში გააგრძელა ამ მიმართულებით მუშაობა. შესაბამისად, უმცირესობათა მშობლიური ენები არ არის ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილი, რადგან არ არსებობს ამ საგნების სასწავლო გეგმა. აღნიშნული საგნები არ არის შეტანილი ზოგადი განათლების შესახებ კანონის ჩამონათვალში. ერთადერთი დოკუმენტი, რომელშიც ეს საგნები მითითებულია, გახლავთ ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივი ბადე. სასწავლო გეგმის არარსებობის კვალდაკვალ არ არსებობს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისთვის მორგებული სახელმძღვანელოებიც. მშობლიური ენის სწავლება ხორციელდება სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული სასწავლო გეგმით და სახელმძღვანელოებით, რომელიც უცნობია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის, რადგან არ არსებობს ამ მშობლიური ენის სასწავლო გეგმის ნათარგმნი ვერსია³⁰.

აღსანიშნავია, რომ არსებული საათობრივი ბადეც პრობლემურია მშობლიური ენის სწავლების თვალსაზრისით. საათობრივი ბადე განსაზღვრავს ყოველკვირეულ საათობრივ დატვირთვას მშობლიურ ენაში, რაც შეადგენს 5 აკადემიურ საათს. არაქართულენოვანი სკოლები კი სწავლობენ მშობლიურ ენას სომხეთისა და აზერბაიჯანის სასწავლო გეგმით და სახელმძღვანელოებით და დაწყებით კლასებში მათი სასწავლო გეგმა გულისხმობს 7 აკადემიური საათის სწავლებას კვირაში. შესაბამისად, განსხვავება საათობრივ ბადეში სერიოზულ პრობლემებს უქმნის მასწავლებლებს, ისინი ვერ ახერხებენ მშობლიური ენის პროგრამის სრულყოფილად გავლას სასწავლო წლის განმავლობაში.

აღნიშნული თვალსაზრისით, პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სკოლების მეთორმეტე კლასში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მეთორმეტე კლასში სწავლება ხორციელდება აზერბაიჯანსა და სომხეთში გამოცემული სახელმძღვანელოებით. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანში ზოგადი განათლება 11 კლასს მოიცავდა, შესაბამისად, მეთორმეტე კლასი და მშობლიური ენის სახელმძღვანელო არ არსებობს³¹. სომხეთში კი ზოგადი განათლების 12 კლასი ან სწავლებაზე გადასვლა 2009 წლიდან ხორციელდება³². შესაბამისად, 2010 წლისთვის მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოები არ შემოსულა არც სომხურენოვანი სკოლებისთვის.

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენის სასწავლო გეგმის არარსებობის კვალდაკვალ, არ არსებობს არც მშობლიური ენის მასწავლებლის სტანდარტი. აღნიშნული სერიოზულ პრობლემას ქმნის მულტილინგვური განათლების რეფორმის განხორციელების და მშობლიური ენის სწავლების ხარისხის თვალსაზრისითაც. მშობლიური ენის სწავლების დაბალი ხარისხი გავლენას ახდენს სხვა საგნების, მათ შორის ქართულის, როგორც მეორე ენის, ათვისებაზე, რადგან ენობრივი ტრანსფერი არაეფექტურად ხორციელდება. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენის, როგორც საგნის, სწავლების გასაუმჯობესებლად კონკრეტული მექანიზმების ამუშავება, რაც ხელს შეუწყობს მთლიანად განათლების ხარისხის ზრდას არაქართულენოვან სკოლებში.

სასწავლო გეგმები და სახელმძღვანელოები

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, სკოლებს ევალებათ მოსწავლეებისთვის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული განათლების მიწოდება (მუხლი 33.1.ა). აღნიშნული დებულება უფრო ფართოდაა გაშლილი 2004 წლის 18 ოქტომბერს დამტკიცებულ განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში და სხვადასხვა საგნების

²⁹ იქვე.

³⁰ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის წერილი სახალხო დამცველის მოადგილეს # 08-2-13/1907 (14.-2.2012).

³¹ <http://unesdoc.unesco.org/images/0021/002112/211298e.pdf>.

³² <http://unesdoc.unesco.org/images/0021/002112/211297e.pdf>.

სასწავლო გეგმებში, კერძოდ, დეტალური ინფორმაცია ამ მიმართულებით წარმოდგენილია დოკუმენტის განათლების მიმართულებით არსებული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ანალიზის ნაწილში.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მეტ-ნაკლებად ასახულია მოსწავლეებში ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების ასპექტები. კერძოდ, სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილში სხვადასხვა გამჭოლ კომპეტენციათა შორის, რომელიც უნდა განუვითარონ მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მითითებული „მრავალენობრივი, პლურილინგვური) კომპეტენცია:

„მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია. მრავალენობრივი კომპეტენცია არის ადამიანის შინაგანი უნარი, დაეუფლოს და გამოიყენოს ენა/ენები. ნებისმიერ საგანში ცოდნასა და უნარებს მოსწავლე ენობრივი აქტივობების საშუალებით იძენს. შესაბამისად, ყველა საგანს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს მოსწავლის მრავალენობრივი კომპეტენციის განვითარებაში”.

გამჭოლ კომპეტენციათა შორის შეტანილია აგრეთვე მოსწავლეებში სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციის განვითარება, კერძოდ:

„სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია. სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ.“

აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამჭოლ კომპეტენციათა შორის ინტერკულტურული თვალსაზრისით ასახული მნიშვნელოვანი კომპეტენციებისა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამჭოლი კომპეტენციების სახით წარმოდგენილი არ არის უშუალოდ „ინტერკულტურული კომპეტენციები”, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის სისუსტედ შეიძლება ჩაითვალოს.

ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგადი დებულებების მეხუთე მუხლი განსაზღვრავს, რომ სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას.

ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების მოთხოვნები ასახულია სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფების სასწავლო გეგმაშიც. მიუხედავად განათლების კანონის, განათლების ეროვნული მიზნებისა თუ ეროვნული სასწავლო გეგმის სულისკვეთებისა, სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით მიღწევებთან ერთად სერიოზული პრობლემებიც გამოიკვეთა 2009-2013 წლებში. მოკლედ მიმოვიხილავთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით გაწეულ საქმიანობას და ამ პროცესში წარმოქმნილ პრობლემატიკასაც გავანალიზებთ:

სახელმძღვანელოების თარგმნა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე

არაქართულენოვანი სკოლებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების თარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე გრძელდება; ნათარგმნია სახელმძღვანელოები I, II, III, VII, VIII, IX, XI, XII კლასებისათვის. 2011-2012 სასწავლო წლისათვის რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა IV და X კლასის სახელმძღვანელოები საბუნებისმეტყველო (ბუნება, ბიოლოგია, ფიზიკა) და სახელოვნებო საგნებსა და მათემატიკაში. თარგმნა დასრულდა 2011 წლის იანვარში.

2009-2010 აკადემიური წლისათვის „არაქართულენოვანი სექტორების მოსწავლეთა სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ქვეპროგრამის” ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო ისტორიისა და გეოგრაფიის ორენოვანი სახელმძღვანელოს უსასყიდლოდ დარიგება VII, VIII, X, XI, XII კლასების მოსწავლეებისათვის. ასევე, „ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელო” უსასყიდლოდ გადაეცათ ყველა არაქართულენოვანი სკოლის I-IV კლასების მოსწავლეებს. ამ ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 639 210 ლარს, მასში ჩართული

მოსწავლეების რაოდენობა – 35 874-ს, სახელმძღვანელოების რაოდენობა კი – 75 895 ერთეულს. 2009-2010 სასწავლო წელს საქართველოს არაქართულენოვანი საჯარო სკოლების 6025 მეცხრეკლასელი უზრუნველყოფილი იქნა საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებით.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი 2009-2010 წლებში გამოსცემდა გაზეთს “დიალოგი”, რათა ხელი შეეწყო სკოლებისთვის სასწავლო გეგმების დანერგვაში. გაზეთი “დიალოგი” ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და ხელმისაწვდომი იყო არაქართულენოვანი სკოლებისთვის. ამასთანავე 2011 წლიდან ახალი სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების დანერგვის კვალდაკვალი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა დაწყებითი, საშუალო და საბაზო საფეხურის მასწავლებელთათვის საგნობრივი მეთოდური გზამკვლევები. აღნიშნული გზამკვლევები დაწყებითი კლასის მასწავლებლებისთვის 2011 და 2012 წლებში ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ. თარგმნა განხორციელდა განათლების სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. სამწუხაროდ, მსგავსი მეთოდური სახელმძღვანელოების თარგმანი საბაზო და საშუალო საფეხურის საგნებისთვის არ განხორციელდა და ხელმისაწვდომი არ არის არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთათვის.

ნათარგმნი სასწავლო გეგმითა და სახელმძღვანელოებით არაქართულენოვანი სკოლების უზრუნველყოფა 2011-2013 სასწავლო წელსაც განხორციელდა. 2011 წელს დაინერგა ახალი სასწავლო გეგმა და ახალი სახელმძღვანელოები. ახალი სასწავლო გეგმისა და ახალი სახელმძღვანელოების დანერგვა I-VI კლასებში არაქართულენოვან სკოლებში დაიწყო 2012-2013 სასწავლო წელს და სკოლები უზრუნველყოფილი იყო ნათარგმნი სახელმძღვანელოებით. VII-XII კლასების ახალი სასწავლო გეგმისა და სახელმძღვანელოების დანერგვა უნდა განხორციელებულიყო 2013-2014 სასწავლო წელს, თუმცა განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ვერ უზრუნველყო სახელმძღვანელოების თარგმნა და სკოლების ამ სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა 2013-2014 სასწავლო წლისთვის. შესაბამისად, 2013 წლიდან არაქართულენოვანი სკოლები მუშაობენ ისევ ძველი სასწავლო გეგმითა და სახელმძღვანელოებით, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნის და დისკრიმინაციულ რეჟიმში აყენებს არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებს.

სასწავლო გეგმებთან და სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით სხვადასხვა კვლევებსა და ანგარიშებში რამდენიმე პრობლემური საკითხია თვალსაჩინო: (ა) სახელმძღვანელოებში კვლავ დგას თარგმანის ხარისხის პრობლემა, (ბ) სახელმძღვანელოებში ხშირი სტერეოტიპული მასალა, აგრეთვე ინტერკულტურული თვალსაზრისით არ არის გათვალისწინებული მრავალი საკითხი და ზოგიერთი ინფორმაცია დამახინჯებულია, (გ) სახელმძღვანელოებში ნათარგმნია მხოლოდ 70%, ხოლო 30% სახელმწიფო ენაზეა დატოვებული. სახელმწიფო ენაზე არსებული მასალა დაუძლეველია მოსწავლეებისთვის, რადგან ვერც მოსწავლე, ვერც მასწავლებელი და ვერც მშობელი ვერ ფლობს სახელმწიფო ენას სათანადოდ, რათა მასალის ათვისება მოხდეს. ამიტომ მასწავლებლები სახელმწიფო ენაზე არსებულ მასალას უბრალოდ ტოვებენ.

უფრო დეტალურად განვიხილავთ თითოეულ პრობლემას.

1) სახელმძღვანელოები დასახვეწია ინტერკულტურული თვალსაზრისით

ანტიდისკრიმინაციული სახელმძღვანელოს შექმნის მოთხოვნები პირდაპირი ფორმულირებით წაყენებული ჰქონდათ სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემლებს, კერძოდ, 2010 წლის 15 მარტის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის #019/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს გრიფორების წესს, მე-4 მუხლის მეექვსე პუნქტის მიხედვით, სახელმძღვანელო არ შეფასდება და შესაბამისად არ მიენიჭება გრიფი, თუ ბ) მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს (ენა, ეროვნება, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება და სხვ.); იმავე ბრძანებაზე თანდართული დოკუმენტით სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმების თაობაზე მითითებულია, რომ სახელმძღვანელოს შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად მიჩნეულია შემდეგი:

“სახელმძღვანელო ხელს უწყობს არასტერეოტიპული, მრავალმხრივი აზროვნებისა და შეხედულებების განვითარებას მოსწავლეებში”³³.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის 30 მარტის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის #072 ბრძანების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავდა სახელმძღვანელოების გრიფირების წესს, თანდართულ ინსტრუქციაში სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმების თაობაზე მითითებული იყო: “დ) სახელმძღვანელოს შინაარსი ითვალისწინებს საქართველოს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით”³⁴. 2011 წლის ბრძანებაში სახელმძღვანელოს გრიფირების წესის შესახებ კი ეს პუნქტი უკვე აღარ არის ჩადებული სახელმძღვანელოს შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად.

2011 წლის გრიფირების წესში შეიცვალა მოთხოვნები სახელმძღვანელოებში საქართველოში არსებული მრავალფეროვნების ასახვისა და არა სტერეოტიპული მოსაზრებების გავრცელების შესახებ. 2010 წლის გრიფირების წესში გვხვდებოდა პუნქტი, რომლის მიხედვითაც სახელმძღვანელოს გრიფი არ მიენიჭებოდა თუ მისი „შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს (ენა, ეროვნება, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება და სხვ.), თუმცა ის არ იყო ასახული სახელმძღვანელოთა შეფასების კრიტერიუმებში. ეს მუხლი საერთოდ ამოღებული იქნა 2011 წლის გრიფირების წესში. შესაბამისად, I-VI კლასების სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში ეს მუხლი არ მოქმედებდა. აღსანიშნავია, რომ ეს მუხლი დაემატა მხოლოდ 2012 წლის ცვლილებით: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 იანვრის ბრძანებით და VII-XII კლასების სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში უკვე მოქმედებდა, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით ეფექტი ნაკლები აღმოჩნდა (სახელმძღვანელოებში არსებული პრობლემების დეტალური ანალიზი ინტერკულტურული თვალსაზრისით იხილეთ კვლევით ნაშრომში „ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს დაწყებითი განათლების საფეხურზე“).

სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოები, რიც შემთხვევაში, ვერ ასახავს ქვეყანაში არსებულ ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას და არ არის თავისუფალი სტერეოტიპული ტენდენციებისაგან. ამ თვალსაზრისით დეტალური ინფორმაციის გასაცნობად შესაძლებელია ჩატარებული კვლევებისა და ანგარიშების გაცნობა.

სახელმძღვანელოში ინტერკულტურული ასპექტების ასახვის პრობლემატიკა ორმაგად მნიშვნელოვანია: ერთი მხრივ, უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის ანტიდისკრიმინაციული სასწავლო გარემოს შესაქმნელად და, მეორე მხრივ, უმრავლესობის წარმომადგენელი მოსწავლეების ტოლერანტი და მაღალი ინტერკულტურული მგრძნობელობის მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისთვის, სადაც უმცირესობათა ინტეგრაციის სურვილთან ერთად აუცილებელია და არანაკლებ მნიშვნელოვანია უმრავლესობის მიმდებლობის მაღალი ხარისხი. შესაბამისად, ალბათ, უპრიანი იქნება, სამოქალაქო ინტეგრაციის ახალმა კონცეფციამ და სამოქმედო გეგმამ უმრავლესობაზე ორიენტირებული პოლიტიკაც განსაზღვროს, განსაკუთრებით განათლებისა და მედიის მიმართულებით.

2. სახელმძღვანელოების თარგმნის პრობლემა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე

სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესი საქართველოში 2005 წლიდან დაიწყო და სისტემატურად ხდება როგორც სასწავლო გეგმების, ისე სახელმძღვანელოების თარგმნა უმცირესობათა ენებზე. თარგმნის თვალსაზრისით მუდმივად საუბარია თარგმანის დაბალ ხარისხზე განსაკუთრებით სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სახელმძღვანელოებთან მიმართებაში. თუმცა სახელმძღვანელოთა თარგმნის ხარისხი

³³2010 წლის 15 მარტის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის №019/6 ბრძანება “სახელმძღვანელოების გრიფირების წესის შესახებ”, იხ.: <http://ncac.ge/index.php?m=791>.

³⁴2009 წლის 30 მარტის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის №072 ბრძანება “სახელმძღვანელოების გრიფირების წესის შესახებ”, იხ.: <http://ganatleba.org/index.php?m=124>.

ყოველწლიურად უმჯობესდება. აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესში ჩაერთო სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭო, რომელთა წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს I-VI კლასების ნათარგმნი სახელმძღვანელოების რედაქტირების პროცესში. სამწუხაროდ, 2012 წლიდან ეს პროცესი აღარ გაგრძელდებულა, რადგან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამომცემლობებთან და სახალხო დამცველის ოფისთან ერთად აღარ განახორციელა VII-XII კლასების სახელმძღვანელოების თარგმნა. შესაბამისად, 2013 წელს არაქართულენოვანმა სკოლებმა მუსიკის, ხელოვნებისა და ბუნების სახელმძღვანელოები მიიღეს თარგმანის გარეშე მხოლოდ სახელმწიფო ენაზე, რამაც სერიოზული პრობლემა წარმოშვა მასწავლებლებში. ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ჩატარებულ ფოკუსჯგუფებში აღინიშნა, რომ ამ საგნებში მასწავლებლები იძულებული არიან, ბიბლიოთეკაში არსებული ძველი სახელმძღვანელოები გამოიყენონ. ასევე, ხშირად ადგილი აქვს მეზობელი სახელმწიფოებიდან ამ საგნებში ადრე შემოსული სახელმძღვანელოების გამოყენებას, რადგან ქართულენოვანი ვერსიების გამოყენება მათთვის შეუძლებელია.

3. ორენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენების პრობლემა

2011 წლიდან სასკოლო სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესი შეიცვალა. სამინისტროს გადაწყვეტილებით ითარგმნება მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოებში არსებული მასალის მხოლოდ 70%, ხოლო 30% დატოვებულია სახელმწიფო ენაზე. აღნიშნული ინიციატივის მიზანი ბილინგვური განათლების რეფორმის ხელშეწყობა გახლდათ, თუმცა ეს ინიციატივა სერიოზული ხარვეზებით განხორციელდა:

- (1) სახელმძღვანელოებში 70%-30% თარგმნის პრინციპი მეცნიერულად და მეთოდოლოგიურად დაუმუშავებელია და არ ეფუძნება ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების რაიმე პრინციპს. შესაბამისად, მექანიკურად განხორციელებული პროცენტული ჩაშლა აბსოლუტურად არაეფექტურია და უკუშედეგის მომტანი აღმოჩნდა;
- (2) საგნის მასწავლებლები, რომლებიც საერთოდ ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას, ვერ ახერხებენ სახელმძღვანელოების გამოყენებას, რადგან მათთვის გაუგებარია სახელმძღვანელოში სახელმწიფო ენაზე დატოვებული 30% სასწავლო მასალის შინაარსი;
- (3) არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთა მშობლები ვერ ახერხებენ მოსწავლეთა დახმარებას, რადგან სახელმძღვანელოში არსებული სახელმწიფო ენაზე არსებული მასალა მათთვისაც გაუგებარია;
- (4) ხშირ შემთხვევაში თარგმანის გადანაწილება იმდენად არალოგიკურად არის გაკეთებული, რომ მოსწავლეთათვის, მასწავლებელთათვის და მშობელთათვის გაუგებარი და აუთვისებელი რჩება მშობლიურ ენაზე არსებული მასალაც და მთლიანად ტექსტი თუ სხვა ტიპის სასწავლო მასალა.

შექმნილ ვითარებაში ორენოვან თარგმანთან დაკავშირებული ახალქალაქსა და მარნეულში ჩატარებულ ფოკუსჯგუფებში სკოლების წარმომადგენლებმა დაასახელეს ის მეთოდები, რომელთა საშუალებით ხდება არსებული პრობლემების მოგვარება:

1. იმ საგნებში, რომლებშიც არსებობს წინა წლის სახელმძღვანელოები, მასწავლებლები მათ იყენებენ დამხმარე მასალად. თუმცა წინა წლის სახელმძღვანელოებში არ არსებობს თავები, რომლებიც წლევეანდელ სახელმძღვანელოშია შესული და მასწავლებელს უწევს დაიხმაროს სხვა პედაგოგი, რომ გაიგოს, რა წერია ქართულ ნაწილში;
2. მასწავლებლები იყენებენ მეზობელი სახელმწიფოდან შემოტანილ სახელმძღვანელოებს, რომელიც არსებობდა მათ სასკოლო ბიბლიოთეკებში და აქტუალური გახდა თარგმანის 70 %- 30% მეთოდის გამოყენების შემდეგ;
3. მოსწავლეები და მასწავლებლები თარგმნიან ქართულ ენაზე არსებულ მასალას ქართული ენის პედაგოგების დახმარებით იმ სკოლებში, სადაც ამისი რესურსი აქვთ;
4. უბრალოდ, ტოვებენ და არ ხსნიან (არც საშინაო დავალებად აძლევენ) მასალას, რომელიც ქართულ ენაზეა მოცემული.

2009-2013 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შემდეგი ღონისძიებები განახორციელა:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავდა მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი, აგრეთვე საბაზო/საშუალო საგნობრივი სტანდარტები რვა საგნის/საგნობრივი ჯგუფისთვის. შემუშავდა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის სტანდარტი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული სტანდარტი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც და 900 ეგზემპლარი დარიგდა არაქართულენოვან სკოლებში და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებში³⁵. აღსანიშნავია, რომ შემუშავებულ საგნობრივ სტანდარტებს და სერტიფიცირების დებულებაში ჩამოთვლილ საგნობრივ ჯგუფებს შორის არ არის სომხურის და აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენის, მასწავლებლის სტანდარტი.

2008 წლის 21 ნოემბერს გამოცემულ მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტში აღნიშნულია შემდეგი: “მასწავლებელი იცნობს ინკლუზიური განათლების, ასევე მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიდგომებსა და პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში”³⁶. უფრო დეტალურად ინტერკულტურული ასპექტები აგრეთვე ასახულია მასწავლებლის საგნობრივ სტანდარტებში, კერძოდ, საზოგადოებრივი მეცნიერებების და უცხო ენის მასწავლებლების სტანდარტებში³⁷.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის N#1101 ბრძანებით, დამტკიცდა მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულება, რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების, მასწავლებლობის უფლების მოპოვების, სერტიფიკატის გაცემის, მასწავლებლობის უფლების განახლებისა და სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევის პირობებს. დებულების მიხედვით სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. სასერტიფიკაციო გამოცდა ასევე ტარდება რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე მასწავლებლობის იმ კანდიდატებისათვის, რომელთაც სურთ ასწავლონ შესაბამის არაქართულენოვან სკოლაში. სერტიფიცირების დებულებაში აღნიშნული ჩანაწერის მიუხედავად, 2009-2013 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა არ უზრუნველყო ტესტების სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე შედგენა და არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს არ მიეცათ შესაძლებლობა, სერტიფიცირება გაეწლიათ საკუთარ მშობლიურ ენაზე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა სერტიფიცირების პროცესში მასწავლებელთა დასახმარებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგა. 2008 წლიდან გამოდის ჟურნალი “მასწავლებელი”, რომელიც საკმაოდ კარგი რესურსია პედაგოგისთვის. 2008 წელს გამოიცა 4 ნომერი. ამასთანავე, გამოიცა მასწავლებელთათვის სერტიფიცირების პროცესში დამხმარე სახელმძღვანელოს სამი ნაწილი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა გამოსცა აგრეთვე ინტერკულტურული განათლების სახელმძღვანელოც, რამეთუ ინტერკულტურული და ბილინგვური სწავლების მოთხოვნა ასახულია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლობით ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ფინანსური მხარდაჭერით მოხერხდა ჟურნალ “მასწავლებლის”¹² ნომრისა და მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოების სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნა და 1290 ეგზემპლარის გამოცემა და არაქართულენოვანი სკოლებისთვის დარიგება 2008-2011 წლებში. ამავე პროექტის ფარგლებში შეიქმნა 3-ენოვანი (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული) ვებპორტალი www.ganatileba.ge, რომელზეც უმცირესობათა ენებზე ხელმისაწვდომია განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ ინფორმაცია და აგრეთვე ნებისმიერი მეთოდური სახელმძღვანელო, სასწავლო გეგმა თუ მასწავლებლის სტანდარტი, ისევე, როგორც სამართლებრივი აქტები. ჟურნალის, დამხმარე სახელმძღვანელოების და ვებპორტალის თარგმნა არ მომხდარა რუსულ ენაზე და ეს ინფორმაცია ხელმიუწვდომელია რუსულენოვანი სკოლებისთვის. 2011 წელს არაქართულენოვანი სკოლის დირექტორებისთვის ერთ-ერთი არასამთავრობო

³⁵რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის “შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის” შესრულების ანგარიში, 2009.

³⁶მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი, იხ.: http://tpdc.ge/index.php?option=com_content&view=article&id=88&Itemid=93&lang=ka.

³⁷მასწავლებელთა საგნობრივი სტანდარტები, იხ.: http://tpdc.ge/index.php?option=com_content&view=article&id=89&Itemid=94&lang=ka.

ორგანიზაციისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლობით ფონდ „ღია საზოგადოება–საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული სკოლის დირექტორის სტანდარტი და „დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორთათვის“. აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან, მას შემდეგ, რაც თარგმანი აღარ ხორციელდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მხრიდან, მასწავლებელთათვის დამხმარე რესურსების თარგმნის პროცესი შეწყდა და არაქართულენოვანი სკოლებისთვის დამხმარე მეთოდური ლიტერატურა მშობლიურ ენაზე ხელმისაწვდომი აღარ არის.

სხვადასხვა კვლევების, სახალხო დამცველის ტოლერანტობის ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშები, აგრეთვე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის დამუშავების შედეგად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, მასწავლებელთა მომზადებისა და სერტიფიცირების თვალსაზრისით შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში:

(ა) მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ითვალისწინებს მასწავლებლის ინტერკულტურული კომპეტენციების მოთხოვნებს, მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამებში არც კერძო პროვაიდერების, არც მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში არ ფიგურირებს სატრენინგო პროგრამები ინტერკულტურული განათლების მიმართულებით. ამასთანავე სასერტიფიკატო გამოცდებზე ინტერკულტურულ სტრატეგიებს, ინტერკულტურულ მგრძნობელობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ყურადღება არ ეთმობა და, შესაბამისად, მასწავლებლებს არ გააჩნიათ მოტივაცია ამ მიმართულებით მოახდინონ პროფესიული განვითარება (ინტერკულტურული განათლება საქართველოში, 2010, კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი).

(ბ) პროფესიული განვითარების პროგრამები ხელმისაწვდომი არ არის მასწავლებლებისთვის, რადგან როგორც კერძო პროვაიდერები, ისე მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული ტრენინგები ტარდება სახელმწიფო ენაზე. სახელმწიფო ენის მცოდნე საგნების მასწავლებლები კომპაქტური განსახლების რაიონებში ძალიან მცირეა. შესაბამისად, კომპაქტური განსახლების რაიონებში არაქართულენოვანი სკოლების საგნების მასწავლებლებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში, რაც, თავის მხრივ, აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე და მოსწავლეთა აკადემიურ და კოგნიტურ განვითარებაზე.

(გ) სასერტიფიკატო გამოცდა არ ტარდება უმცირესობათა მშობლიურ ენაზე, რაც, ერთი მხრივ, მოტივაციას უკარგავთ მათ, არ ხდება მათი პროფესიული განვითარება, დისკრიმინირებული არიან, რადგან ვერ სარგებლობენ სერტიფიცირებასთან დაკავშირებული სარგებლით. არსებული სტატისტიკა ცალსახად მიუთითებს, როგორც სერტიფიცირების მსურველთა დაბალ რაოდენობაზე, ისე სერტიფიცირებულთა ძალიან დაბალ მაჩვენებელზე. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სერტიფიცირების მსურველ მასწავლებელთა დაბალ შედეგებზე, რადგან მათმა უმრავლესობამ ვერ გადალახა სასერტიფიკატო გამოცდები.

კომპაქტური განსახლების რეგიონებში არსებული არაქართულენოვანი სკოლების სასერტიფიკატო გამოცდაზე დარეგისტრირებულ მასწავლებელთა მონაცემები, 2010-2013 წლები

ქალაქი	2013	2012	2011	2010	სულ
ასპინძა	0	0	4	2	6
ახალქალაქი	5	3	3	3	14
ახალციხე	11	13	3	2	29
ბოლნისი	9	16	4	3	32
ბორჯომი	1	1	3	0	5
გარდაბანი	17	25	12	3	57
დმანისი	6	33	5	1	45
თეთრიწყარო	3	9	2	3	17
მარნეული	27	62	18	13	120

ნინოწმინდა	4	7	0	1	12
წალკა	6	9	17	6	38
ჯამი	89	178	71	37	375

სასერტიფიკატო გამოცდაზე დარეგისტრირებულთა რაოდენობა ძალიან დაბალია ამ სკოლებში მასწავლებელთა რაოდენობასთან შეფარდებით. ამასთანავე საინტერესოა, რომ დარეგისტრირებულთაგან მხოლოდ 5%-მდე შეძლო სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარება და მასწავლებლის სტატუსის მოპოვება. მათი რაოდენობა კომპაქტური განსახლების რაიონებში მხოლოდ და მხოლოდ 13-ია. ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები თვალნათელს ხდის მასწავლებელთა სერტიფიცირების მიმართულებით არსებულ სერიოზულ პრობლემებს არაქართულენოვან სკოლებთან მიმართებაში.

*კომპაქტური განსახლების რაიონებში
არაქართულენოვანი სკოლების საგნის სერტიფიცირებული
მასწავლებლები*

ქალაქი	2012	2011	2010	სულ
ახალციხე	0	1	0	1
გარდაბანი	1	0	0	1
დმანისი	1	0	0	1
მარნეული	0	1	0	1
რუსთავი	4	3	1	8
წალკა	1	0	0	1
ახალქალაქი	0	0	0	0
ნინოწმინდა	0	0	0	0
ჯამი	7	5	1	13

(დ) მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს შემუშავდა ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლის სტანდარტი და ბილინგვური მასწავლებლის სტანდარტი, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ არცერთი მიმართულებით არ განხორციელებულა მასწავლებელთა სერტიფიცირება, რაც არაქართულენოვანი სკოლების რეფორმირების პროცესის სერიოზულ შემაფერხებელ გარემოებად შეიძლება იქცეს. ეს საკითხი პრობლემურია ქართულის, როგორც მეორე ენის სერტიფიცირებულ მასწავლებლებთან მიმართებითაც. ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებმა სერტიფიცირება გაიარეს ქართულის, როგორც მშობლიური ენის მიმართულებით, რადგან ქართულის, როგორც მეორე ენის გამოცდა არ ტარდებოდა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ და სახელმწიფოს არ მოუთხოვია ამ მასწავლებლებისთვის საკუთარი კომპეტენციის ამ გამოცდით დადასტურება. 2012 წლის ბოლოდან ამ მასწავლებლებს შეუწყვიტეს სერტიფიცირების დანამატი იმ მოტივით, რომ მათ სერტიფიცირება გავლილი ჰქონდათ ქართულში, როგორც მშობლიურ ენაში და ასწავლიდნენ სხვა საგანს, ანუ ქართულს, როგორც მეორე ენას. ეს პრობლემა დღემდე გადაუწყვეტელია და ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებლები კვლავ დისკრიმინირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. რაც მთავარია, როგორც მეორე ენის, ისე ბილინგვური მასწავლებლის სერტიფიცირების გამოცდის ჩატარებლობა კვლავ მოტივაციას მასწავლებლებში, ზიანს აყენებს მათ პროფესიულ განვითარებას, არ უზრუნველყოფს პროფესიაში მომავალი მასწავლებლების მოზიდვას და მთლიანად აფერხებს ამ მიმართულებით რეფორმის განხორციელებას.

(ე) არ არსებობს სომხური ენის და აზერბაიჯანული ენის, როგორც მშობლიური ენის, მასწავლებლის სტანდარტი, შესაბამისად, მშობლიური ენის მასწავლებლებს არ გააჩნიათ არც პროფესიული განვითარების და არც სერტიფიცირების შესაძლებლობა, რაც, ერთი მხრივ, უარყოფითად მოქმედებს სასწავლო პროცესის ხარისხზე და, მეორე მხრივ, დისკრიმინაციულია ამ საგნის მასწავლებელთა მიმართ, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ მასწავლებლის სერტიფიცირებასთან დაკავშირებული დანამატითა თუ სხვა სოციალური სარგებლით.

(ვ) არცთუ უმნიშვნელოა არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა დაბერების პრობლემა. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა 70%-ზე მეტი 41 წელს ზევით არის, ხოლო 20% – 61 წელს ზევით. შესაბამისად, მათი უმრავლესობა ჩასანაცვლებელი იქნება უახლოესი 20 წლის განმავლობაში.

არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა

ასაკი (წლები)	მამრობითი	მდედრობითი	სულ
<21	1	8	9
21-30	325	1564	1889
31-40	294	2275	2569
41-50	411	2776	3187
51-60	929	3366	4295
61-70	869	1307	2176
71-80	456	318	774
81-90	45	5	50
სულ	3330	11619	14949

ახალი საკადრო რესურსის მომზადება უკანასკნელ წლებში არ მომხდარა. 2005-2010 წლებში არაქართულენოვანი აბიტურიენტები ვერ ირიცხებოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, შესაბამისად, მათი მოზიდვა პედაგოგებად შეუძლებელი იყო. 2010 წლიდან საშეღავათო პოლიტიკის ამუშავების შემდეგ მისაღებ გამოცდებზე შესაძლებელი გახდა სტუდენტების მასწავლებელთა განათლების პროგრამებზე მოზიდვა, თუმცა წახალისების სისტემისა და სხვადასხვა მიმართულებით სერტიფიცირების მექანიზმების არარსებობა ხელს უშლის ამ პროცესს. შესაბამისად, არის სერიოზული საფრთხე, მოკლე პერიოდში არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა სერიოზული დეფიციტი შეიქმნას. ეს ტენდენცია უკვე აშკარაა გარკვეული დისციპლინის მასწავლებლებთან მიმართებით (საბუნებისმეტყველო საგნები, უცხო ენა, მათემატიკა).

სასკოლო საატესტატო გამოცდები

სკოლის როლის გასაზრდელად და სკოლებში სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2011 წლიდან სკოლის დამამთავრებელი სავალდებულო გამოცდები და მათი ჩატარების წესი დაადგინა. სასკოლო გამოსაშვები გამოცდები დაეფუძნა არსებულ სასწავლო გეგმებს. გამოცდები ჩატარდა შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა და უცხო ენა. ამასთანავე, სკოლის დამამთავრებელ გამოცდებს ექნება ატესტატის ასაღებად საჭირო დატვირთვა და იქნება მინიმალური კომპეტენციის დამადასტურებელი. აგრეთვე, მოსწავლეები, ვისაც სურთ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება, ქართულ ენას, უცხო ენას, უნარების და ფაკულტეტის შესაბამის მეოთხე გამოცდას ჩააბარებენ განსხვავებული სალექციო ტიპის ტესტებით, ხოლო დარჩენილ საგნებს – სასერტიფიკატო ტიპის ტესტებით.³⁸

³⁸განათლების სისტემის პრიორიტეტები 2010-2015, განათლების და მეცნიერების სამინისტროს გამოცემა, 2010.

საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებით 2011 წელს გამოიკვეთა 2 ტიპის პრობლემა: (ა) მოსწავლეთა საკმაოდ დიდმა რაოდენობამ ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი. 4110 მოსწავლიდან მხოლოდ 2500-მა მოსწავლემ შეძლო საატესტატო გამოცდების მოთხოვნის დაკმაყოფილება³⁹. ანუ 1610-მა მოსწავლემ ვერ გადალახა საატესტატო ზღვარი (გამოცდაზე გასულ მოსწავლეთა 39, 17%). (ბ) საგნების მიხედვით საატესტატო გამოცდების შედეგები ძალიან დაბალია. ქართულ ენაში არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებს სხვა საგნებთან შედარებით უფრო მაღალი შედეგები აქვთ (იხილეთ ცხრილი).⁴⁰

საგანი	საშუალო ქულა
ქართული	7.29516
მათემატიკა	6.217
ბიოლოგია	6.0885
ქიმია	6.518
ისტორია	6.426
გეოგრაფია	6.8008
ფიზიკა	6.0313
უცხო ენები	6.5615

აღსანიშნავია, რომ 1610 მოსწავლის უატესტატოდ დატოვების საფრთხიდან გამომდინარე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 2011 წლის 12 ივლისს გამოსცა #453 ბრძანება, რომლის მიხედვით, „პირი, რომელიც სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე არ დარეგისტრირდა ან ვერ მიიღო სრული ატესტატის მოპოვებისთვის საჭირო საგნებში დადებითი შეფასება და სურს, სწავლა განაგრძოს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ეძლევა სპეციალური სერიის მქონე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. სპეციალური სერიის მქონე ატესტატის მფლობელი ვერ ისარგებლებს საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და მობილობის უფლებით“⁴¹.

აღნიშნული ბრძანების მიღების საფუძველი სწორედ საატესტატო გამოცდებზე არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთა დაბალი შედეგები გახლდათ, რის შესახებაც საუბრობს განათლების მინისტრიც: „ბავშვებს, რომლებიც აპირებენ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებას, ვაძლევთ სპეციალური სერიის ატესტატს, რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საზღვარგარეთ. ამ ატესტატის საქართველოში გამოყენება და მოგვიანებით აქ სწავლის გაგრძელება შეუძლებელია. ჩვენ ამ ბავშვებს განათლების მიღებაში ვეხმარებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი სომეხი და აზერბაიჯანელი თანამოქალაქეებისთვის. საატესტატო გამოცდები ყველა ქვეყანაში არ არის და რამდენიმე ქვეყანა არ აღიარებს სკოლის მიერ გაცემულ სერტიფიკატს“⁴².

2012 წლის საატესტატო გამოცდების შედეგებიც საკმაოდ ნეგატიური აღმოჩნდა არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთათვის და მათი საკმაოდ დიდი პროცენტი ჩაიჭრა აღნიშნულ გამოცდებზე. შედარებისთვის და თვალსაჩინოებისთვის გავაანალიზეთ ჩაჭრილთა რაოდენობას საერთოდ საქართველოს მასშტაბითა და

³⁹საქართველოს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული პირველადი სტატისტიკური მონაცემები.

⁴⁰ცხრილი შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული პირველადი სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შედეგად.

⁴¹საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 12 ივლისის #453 ბრძანება.

⁴²<http://ick.ge/ka/rubrics/education/7797--12-.html>.

არაქართულენოვან რეგიონებში კომპაქტური განსახლების რაიონების არაქართულენოვანი სკოლების მეთორმეტეკლასელებთან შედარებით:

2012 წლის საატესტატო გამოცდების შედეგებით საგნების მიხედვით ჩაჭრილთა რაოდენობა – კომპაქტური განსახლების რაიონების არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები (ახალქალაქი, ნინოწმინდა, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, ასპინძა)

საგანი	გამოცდაზე გამსვლელთა რაოდენობა	გადალახა	ვერ გადალახა	ჩაჭრილთა %
ქართული	2262	1936	326	14.41202476
მათემატიკა	2288	1711	577	25.21853147
უცხო ენა	2328	2101	227	9.750859107
ისტორია	2210	1987	223	10.09049774
გეოგრაფია	2222	2039	183	8.235823582
ბიოლოგია	2227	1896	331	14.86304445
ქიმია	2237	1994	243	10.86276263
ფიზიკა	2290	1604	686	29.95633188

2012 წლის საატესტატო გამოცდების შედეგებით საგნების მიხედვით ჩაჭრილთა რაოდენობა საქართველოს მასშტაბით

საგანი	გამოცდაზე გამსვლელთა რაოდენობა	გადალახა	ვერ გადალახა	ჩაჭრილთა %
ქართული	39444	38691	753	1.909035595
მათემატიკა	39621	38457	1164	2.937835996
უცხო ენა	39625	38169	1456	3.67444795
ისტორია	38931	38304	627	1.610541728
გეოგრაფია	38814	38000	814	2.097181429
ბიოლოგია	38766	37727	1039	2.680183666
ქიმია	38817	38221	596	1.535409743
ფიზიკა	38981	37208	1773	4.548369719

წარმოდგენილი სტატისტიკური ანალიზიდან თვალსაჩინოა ის უკიდურესი სხვაობა, რომელიც არსებობს არაქართულენოვან და ქართულენოვანი სკოლის მოსწავლეების მაჩვენებლებს შორის. არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულებში ჩაჭრილთა პროცენტული რაოდენობა სხვადასხვა საგანში 8,23%-დან 29,95%-მდე მერყეობს. იგივე მაჩვენებელი საქართველოს მასშტაბით 1,53%-დან 4,54%-მდე მერყეობს. აღნიშნული შედეგები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს არაქართულენოვან სკოლებში სწავლების ხარისხის ძალიან დაბალ დონეს, მათ შორის ქართულენოვან სკოლებთან შედარებითაც.

სასკოლო საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებით არსებობს საფრთხე გარკვეული პრობლემები შეექმნათ არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც 2013 წლის შემოდგამაზე ან 2014 წლის გაზაფხულზე ჩააბარებენ საატესტატო გამოცდებს. ამ მოსწავლეებმა ისწავლეს ძველი სასწავლო გეგმითა და სახელმძღვანელოებით. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი გამოსაშვები საგამოცდო პროგრამები დაეფუძნოს იმ სასწავლო გეგმას, რომლითაც ისწავლეს არაქართულენოვანებმა.

მულტილინგვური განათლება

2010 წლის 15 დეკემბერს ცვლილებები შევიდა კანონში ზოგადი განათლების შესახებ. აღნიშნული ცვლილებებით უკვე კანონშივე აისახა და მეორე მუხლს დაემატა ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად მულტილინგვურია „განათლება, რომლის მიზანია სხვადასხვა ენაში მოსწავლეების ენობრივ კომპეტენციითა განვითარება-გაღრმავება. იგი გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში იმგვარი სწავლების ორგანიზებას, რომელიც გაზრდის აღნიშნული ენების შესწავლისა და გამოყენების ქმედითობას“ (ზოგადი განათლების შესახებ კანონი, 2005). იმავე ცვლილებების საფუძველზე მულტილინგვური განათლების პროგრამები – „მულტილინგვური განათლების განვითარება და მისი დანერგვის ხელშეწყობა“ შევიდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ფუნქციებში. ამავე ცვლილებების შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმების საგანთა და საგნობრივი ჯგუფების ჩამონათვალი შეიცვალა, მათ შორის, საგნებს „ქართულ ენასა და ლიტერატურას“, „აფხაზურ ენასა და ლიტერატურას“ ეწოდა სახელმწიფო ენა. ამავე ცვლილებებით კიდევ ერთხელ დადასტურდა 2005 წელს გაცხადებული პოლიტიკა, რომ არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება განხორციელდება მხოლოდ სახელმწიფო ენაზე.

2010 წელს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „მულტილინგვური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა“⁴³. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა მულტილინგვური განათლების პროგრამების დებულება, რეგისტრაციის მექანიზმები და უნიფიცირებული სააპლიკაციო ფორმა. დებულების შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, შეიქმნა და დამტკიცდა მულტილინგვური განათლების საბჭო, რომლის მუშაობაშიც ჩართული იყო ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. აღნიშნული საბჭოს მიერ უზრუნველყოფილი იქნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შემოტანილი მულტილინგვური განათლების პროგრამების განხილვა და დამტკიცება.

2010 წელს სკოლების მხარდაჭერის მიზნით თბილისში, მარნეულსა და ახალქალაქში მულტილინგვური განათლების შესახებ სამი რეგიონული სემინარი (180 მონაწილე) ჩატარდა; მომზადდა და გამოიცა მულტილინგვური განათლების მეთოდოლოგიური ფილმის – „ვასწავლობთ რამდენიმე ენაზე“ – აუდიოვიდეო ვერსია, რომელიც აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ, ინგლისურ და უკრაინულ ენებზე ითარგმნა.

მულტილინგვური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში და უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის მხარდაჭერით მასწავლებლებისა და ტრენერებისათვის შეიქმნა მულტილინგვურ სწავლებაში მეთოდოლოგიური რესურსები (მასწავლებლების გაზამკვლევი მულტილინგვურ სწავლებაში და მულტილინგვური განათლების სატრენინგო მოდული), მათი გამოცემა 2014 წელს იგეგმება.

2010 წელს დაიწყო 40 საპილოტე სკოლის რეგისტრაცია, შეიქმნა საბჭო, რომელიც განიხილავს და ამტკიცებს სკოლების მიერ წარდგენილ აპლიკაციებს. მულტილინგვური პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო სამინისტროს მიერ 40 საპილოტე სკოლისათვის მიზნობრივი სუბსიდიების გაცემა (რომელიც მოხმარდა პროგრამაში ჩართული მასწავლებლების სახელფასო დანამატს). ასევე, სამინისტროს მიერ პროგრამის ეფექტურად დანერგვის მიზნით, 40 საპილოტე სკოლას დაურიგდა სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფების თვალსაჩინოებები. 2011 წელს 12 სომხურ, 12 აზერბაიჯანულ, 9 რუსულ და 1 უკრაინულ (სულ 34) საპილოტე არაქართულენოვან საჯარო სკოლას, სადაც საგნების 30% ისწავლება ქართულ ენაზე, გადაეცა მიზნობრივი სუბსიდიები 1 000 ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდა პროგრამაში ჩართული მასწავლებლების სახელფასო დანამატს.

⁴³<http://mes.gov.ge/content.php?t=srch&search=მულტილინგვური&id=547&lang=geo>.
<http://mes.gov.ge/content.php?t=srch&search=მულტილინგვური&id=1213&lang=geo>.

საქართველოს გაერო-ს ასოციაციის მხარდაჭერით, USAID-ის პროგრამის ფარგლებში, მულტილინგვური განათლების პროგრამით შერჩეულ საპილოტე სკოლებს (40 სკოლა) დამხმარე მასალები – ტელევიზორები, DVD-მოწყობილობები და ქართული მხატვრული და ანიმაციური ფილმების კომპლექტი გადაეცათ.

განათლების და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა და 2010 წლის 20 აგვისტოს დაამტკიცა ბილინგვური განათლების პროგრამების დებულება. სკოლებს საშუალება ეძლეოდათ, შეერჩიათ მათთვის სასურველი ბილინგვური განათლების პროგრამა, თუმცა ზოგადი განათლების შესახებ კანონის არსებული რედაქცია უკვე იძლევა პირდაპირ მითითებას ბილინგვური განათლების პროგრამების შესახებ: ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სწავლება ხორციელდება არასახელმწიფო ენაზე, საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები უნდა ისწავლებოდეს ქართულად, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ქართულად ან აფხაზურად. ეს ნორმა ამოქმედდა 2010-2011 სასწავლო წლიდან. საზოგადოებრივი მეცნიერებების სახელმწიფო ენაზე სწავლება და სწავლა შეუძლებელია ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. ისტორიისა და გეოგრაფიის, აგრეთვე საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა ყველაზე მაღალ ლინგვისტურ კომპეტენციებს მოიცავს. ენის ამ დონეზე ფლობა შესაძლოა უფრო შორეული პერსპექტივა იყოს და არა ენობრივი კომპეტენციის მიღწევის საშუალება.

2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა ბილინგვური მასწავლებლის სტანდარტი. პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც სამინისტროს მულტილინგვური განათლების ექსპერტები, ისე უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო ექსპერტები მარინა გურბო და ლიგია გრიგულე.

2012 წელს ითარგმნა და გამოიცა მულტილინგვური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში და უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის მხარდაჭერით შექმნილი მეთოდოლოგიური რესურსი მასწავლებლებისათვის მულტილინგვურ სწავლებაში („მასწავლებლების გაზამკვეთი მულტილინგვურ სწავლებაში“).

2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გამომცემლობებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გამომცემლობების მიერ სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით ყველა საგნის თითო გრიფირებული სახელმძღვანელო. ამ სახელმძღვანელოებში მასალის 30% ქართულ ენაზეა, ხოლო 70% – სომხურ, რუსულ, აზერბაიჯანულ ენებზე. აღსანიშნავია, რომ თარგმანის ხარისხის შეფასებაში ჩართული იყო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭო. მულტილინგვური სახელმძღვანელოები საპილოტე სკოლებში გამოყენებული იქნა, როგორც რეკომენდებული სასწავლო მასალა.

ბილინგვური განათლების საკითხებზე ჩატარებული კვლევის (ტაბატაძე, 2011, საერთაშორისო კონფერენციის მასალები), პოლიტიკის, კანონმდებლობის ანალიზის თუ სტატისტიკურ მონაცემებზე დაფუძნებით იკვეთება შემდეგი პრობლემები, რომელიც მეტ-ნაკლებად განხილული იყო განათლების სხვადასხვა მიმართულებების კონტექსტშიც:

- (1) ბილინგვური განათლების რეფორმის არათანმიმდევრულობა. 2009 წელს დაწყებული რეფორმა 2011 წელს, ფაქტობრივად, მთლიანად შეწყდა და რეფორმის მთელი სიმძიმე მხოლოდ ბილინგვურ სახელმძღვანელოებზე გადავიდა. შესაბამისად, თვალსაჩინოა, რომ სამინისტრომ ვერ ჩამოაყალიბა ბილინგვური განათლების რეფორმა, რომელსაც თანმიმდევრულად განახორციელებდა;
- (2) ბილინგვური განათლებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო სფეროს მოუწესრიგებლობა. კანონმდებლობით განსაზღვრული საზოგადოებრივი მეცნიერებების მხოლოდ სახელმწიფო ენაზე სწავლება, ერთი მხრივ, არარეალისტური და შეუსრულებელია დღევანდელ კონტექსტში, მეორე მხრივ, ბილინგვური განათლების მეთოდოლოგიისა თუ მიდგომების გათვალისწინებით – გაუმართლებელი და უშედეგო, მეტიც, უკუშედეგის მომტანი. შესაბამისად, საკანონმდებლო სფეროს მოწესრიგება რეფორმის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების კვალდაკვალ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება;

- (3) ბილინგვური განათლების რეფორმისთვის აუცილებელი კადრების დეფიციტი როგორც სკოლის ადმინისტრაციის, ისე მასწავლებელთა თვალსაზრისით. ამ პრობლემის მოსაგვარებლად არ არსებობს გრძელვადიანი, მწყობრი, მდგრადი და კმარი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა, ერთი მხრივ, მოქმედი მასწავლებლების გადამზადებას და, მეორე მხრივ, მომავალი მასწავლებლების მომზადებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- (4) მიუხედავად მულტილინგვური განათლებისადმი მოსახლეობის შეცვლილი დამოკიდებულებისა, რომელიც საკმაოდ ნეგატიური იყო რეფორმის საწყის ეტაპზე და მოგვიანებით მნიშვნელოვნად შეიცვალა, სასკოლო ცხოვრებაში და მათ შორის არაქართულენოვანი სკოლების რეფორმირებაში თემისა და მშობელთა ჩართულობა უმნიშვნელოა. მშობლებისა და თემის ჩართულობა კი მულტილინგვური განათლების ეფექტური განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არანაირი ღონისძიებები არ განუხორციელებია ამ პროცესში მშობელთა და თემის ჩართულობის გასაზრდელად;
- (5) მეცნიერულად დაუსაბუთებელი და მეთოდოლოგიურად გაუმართავი ბილინგვური სახელმძღვანელოების შეტანა 1-6 კლასებში 2012-2013 სასწავლო წლიდან. ამ სახელმძღვანელოების პრობლემატიკაზე დეტალური ანალიზი შეგიძლიათ იხილოთ სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების ანალიზის ნაწილში.

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების გაუმჯობესება

ზოგადი განათლების საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების გაუმჯობესება ეროვნული ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული ნაწილია. ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების გაუმჯობესების თვალსაზრისით 2009-2013 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რამდენიმე პროგრამა განახორციელა, კერძოდ:

პროგრამა "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა"

პროგრამა "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" გულისხმობს ქართული ენისა და ლიტერატურის კვალიფიციური მასწავლებლების მივლინებას სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების იმ არაქართულენოვან სკოლებში, სადაც განსაკუთრებით მწვავედ დგას ქართული ენის ცოდნისა და სწავლების საკითხი. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლების მხრივ საკმაოდ რთული სიტუაციაა. პროგრამა ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლების ხელშეწყობასა და ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას ისახავს მიზნად. 2009-2012 წლებში კონკურსში მონაწილეობა მიიღო 1000-მდე პირმა, მათგან ტესტირება და გასაუბრება წარმატებით მხოლოდ 86-მა ტრენერ-მასწავლებელმა გაიარა. ამჟამად დასაქმებულია 75 პედაგოგი. ახლადარჩეულ ტრენერ-მასწავლებლებს უტარდება ტრენინგები საკითხებზე: "ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდიკა" (50 სთ), "ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა" (5 სთ) და გადიან აზერბაიჯანული ან სომხური ენის შემსწავლელ სწრაფ კურსს (50 სთ). მხოლოდ ამის შემდეგ პედაგოგები ნაწილდებიან სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში. ამ პროგრამის ფარგლებში დაქირავებული მასწავლებლები, საათობრივი ანაზღაურების გარდა, სახელმწიფო პროგრამიდან იღებენ ხელფასს 1000 ლარის ოდენობით. პროგრამის მიზანია არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების გაუმჯობესება, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. პროგრამა "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" ხორციელდება ახალქალაქში, ნინოწმინდაში, წალკაში, ბოლნისში, დმანისში, გარდაბანში, მარნეულსა და საგარეჯოში. კლუბების მოსაწყობად და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარსამართად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პროგრამაში ჩართულ სკოლებს გადასცა საჭირო ინვენტარი, აუდიო-ვიდეო აპარატურა, სასწავლო-ვიზუალური მასალა და საკანცელარიო ნივთები, თვალსაჩინოებების კომპლექტები. ქართული ენის კლუბში ჩართულია 1997 მოსწავლე, 715 მასწავლებელი, 566 თემის წარმომადგენელი.

2011-2012 წლებში პროგრამის "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა გაცვლითი პროგრამები. სომხური და აზერბაიჯანული სკოლები დამეგობრდნენ სხვადასხვა რეგიონის ქართულ სკოლებთან. 30-მდე ტრენერ-მასწავლებელმა მოიძია პარტნიორი სკოლა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (თბილისი, გორი, გარდაბანი, საგარეჯო, ჩაქვი, ზესტაფონი, ხაშური და სხვ.) და მოაწყო გაცვლითი ღონისძიებები, რაც გულისხმობს ერთმანეთთან ვიზიტსა და ცხოვრებას 1 კვირის განმავლობაში, გაკვეთილებზე დასწრებას, ერთობლივი კონცერტის თუ სპექტაკლის მოწყობას, სხვადასხვა კერძების გაცნობას, ქართული მართლმადიდებლური, სომხური სამოციქულო ეკლესიების, მეჩეთების და სხვა კულტურული ძეგლების დათვალიერებას. გაცვლითი პროექტის დასკვნითი შეხვედრა ხშირად იმართება თბილისში, სადაც პროექტის მონაწილეებს საშუალება ეძლევათ, მოინახულონ მასწავლებლის სახლი, გაეცნონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს და ინფორმაციას პროგრამის "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" შესახებ. დამეგობრების პროექტებში ხშირად ხდებიან სამივე (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული) ეროვნების მოსწავლეები და მასწავლებლები, რაც ინტერკულტურული ურთიერთობის წამახალისებელი ფაქტორია.

პროგრამა "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის"

2011-2012 წლებში განხორციელდა "მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის" პროგრამა "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის", რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციას. პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში არსებული არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის დირექცია და ადგილობრივი თემი. პროგრამის ფარგლებში 2011-2012 წლებში ღონისძიებები რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა:

(ა) სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით 340 მასწავლებელს ჩაუტარდა ენის ფლობის დონის შესამოწმებელი ტესტირება. ტესტირება ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით სულ 7 ცენტრში (ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა, მარნეული, გარდაბანი, წალკა და თბილისი). ტესტირების სავალალო შედეგებზე რეაგირებისთვის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა⁴⁴ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან⁴⁵ ერთად დაიწყო მასწავლებელთა ვაუჩერული პროგრამის განხორციელება ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებლებისათვის. მომზადდა ენის სწავლების პრაქტიკული კურსების შესაბამისი ტრენინგ-პროგრამები არაქართულენოვანი მასწავლებლებისათვის და შეირჩნენ ტრენინგების განმახორციელებელი ორგანიზაციები, რომელთაც ადგილობრივი და უცხოელი კონსულტანტების მიერ ჩაუტარდათ სათანადო ტრენინგები. 340 მასწავლებელი გადამზადდა და გაიარა 90 საკონტაქტო საათზე გათვლილი ქართული ენის კურსები.

არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის ფლობის დონის გაუმჯობესების მიზნით სსიპ "მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა" კონკურსის წესით შეარჩია და გაგზავნა 2011 წელს 303, ხოლო 2012 წელს 237 ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომლებიც ეხმარებიან ადგილობრივი არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესის ორ ენაზე წარმართვასა და ქართული ენის გაკვეთილის ჩატარებაში. ეს ხელს უწყობს, ერთი მხრივ, მოსწავლეთა და პედაგოგთა ქართული ენის ცოდნის დონის და, მეორე მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის ქართული ენის ფლობის დონის გაუმჯობესებას მოსახლეობასთან ინტერაქციისა და გაკვეთილების შემდგომი ღონისძიებების განხორციელების გზით.

(ბ) 2011-2013 წლებში შეიქმნა და გამოიცა I-IX დონეების სახელმძღვანელო დაწყებითი და საბაზო საფეხურისათვის. ამავე პერიოდში მომზადდა თემატური აუდიომასალა კლასში სამუშაოდ. თითოეული დონის სახელმძღვანელო დაიბეჭდა 20 000-იანი ტირაჟით და დარიგდა არაქართულენოვან სკოლებში მათ მიერ გამოგზავნილი მოთხოვნების შესაბამისად.


⁴⁴<http://www.ncac.ge/>.

⁴⁵<http://www.tpdc.ge/>.

დამხმარე სასწავლო მასალების სახით შეიქმნა სპეციალური კომპიუტერული თამაშები, რომლებიც განკუთვნილია არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის და შეესაბამება „ქართულის, როგორც მეორე ენის, ახალი სახელმძღვანელოს“ თემატიკას.


ამ მიმართულებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობა ყველაზე თვალსაჩინოა, თუმცა ამკარაა სხვადასხვა მიმართულებით არსებული პრობლემები:

- (1) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის შესაბამისად დაახლოებით 340 ქართული ენის მასწავლებელი თავად ვერ ფლობს სათანადოდ სახელმწიფო ენას და ამ დროს ასწავლის ქართულს, როგორც მეორე ენას. ამ მასწავლებლების პროფესიული განვითარების თვალსაზრისით გრძელვადიან პერსპექტივაში სერიოზული ნაბიჯები არ გადადგმულა, არც ალტერნატიული ღონისძიებები ჩატარებულა გარდამავალი პერიოდისთვის. ეს კი კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება და ეს მასწავლებლები არსებული კვალიფიკაციით ამჟამად ასწავლიან არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებს.
- (2) ე/წ. “ბაკალავრების პროგრამა რამდენიმე მიმართულებით არის პრობლემური: (ა) კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ახალგაზრდების მივლინების ეფექტიანობა. აღნიშნული პროგრამა საკმაოდ მაღალბიუჯეტოა და მისი ეფექტი გრძელვადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით – მინიმალური, რადგან ერთწლიანი მივლინების შემდეგ წარგზავნილი მასწავლებლები ტოვებენ რეგიონს და, მეტიც, მთლიანად განათლების სისტემას, რადგან პროგრამის მონაწილეთა დაახლოებით 50% მაგისტრატურაში სწავლას აგრძელებს არა განათლების მეცნიერებების ან მომიჯნავე სპეციალობების მიმართულებებზე. დეტალური ინფორმაცია ამ პროგრამის მონაწილეთა მაგისტრატურაში გადამწილების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. ამასთან, საინტერესოა ამ პროგრამის მონაწილეთა პროგრამის შემდგომი დასაქმების სტატისტიკაც: პროგრამის მონაწილეთა 50%-ია ამჟამად დასაქმებული და დასაქმებულთა მხოლოდ 44% საქმიანობს განათლების სისტემაში (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013). შესაბამისად, ამ საკადრო რესურსში ინვესტირება (თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ უფინანსდებათ მაგისტრატურაც) არ არის დიდი შედეგის მომტანი განათლების სისტემისთვის და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისთვის გრძელვადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს ამ პროგრამის სხვადასხვა ასპექტებით მონაცემების დამუშავებას. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე სასურველი იქნება პროგრამის მოდიფიკაცია;



(ბ) სერიოზულად დგას წარგზავნილ მასწავლებელთა კვალიფიკაციის პრობლემაც. ისინი არიან საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულები და ხშირად მათ დახმარება და კონსულტირება უნდა გაუწიონ მათზე კვალიფიციურ მასწავლებლებს. ამასთან, მათი სპეციალობა ხშირად არაა დეკლარირებული სასკოლო სწავლებისთვის. კერძოდ, წარგზავნილი ბაკალავრების დაახლოებით 38%-ის სპეციალობა არ შეესაბამება მასწავლებლის კვალიფიკაციას. დეტალური ინფორმაცია წარგზავნილი ბაკალავრების სპეციალობების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

მოხალისე პედაგოგების პროფესია (%)



განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013.

(გ) ადგილობრივ მოსახლეობაში გაღიზიანებას იწვევს მათი მაღალი ანაზღაურება, რაც ბევრად მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი მასწავლებლის ანაზღაურება;

- (3) ქართულის, როგორც მეორე ენის, I-VI დონის სახელმძღვანელოსთან მიმართებაში რამდენიმე საკითხი იკვეთება: (ა) სახელმძღვანელო განკუთვნილია არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებისთვის, თუმცა სახელმძღვანელოში მოსწავლეები, ერთი მხრივ, იშვიათი გამოწვევის გარდა, ძნელად ამოიცნობენ საკუთარ კულტურულ კონტექსტს, მეორე მხრივ, მათი სამოქალაქო ცნობიერებისკენ მიმართული ტექსტები მხოლოდ მეხუთე საფეხურიდან გვხვდება. სასურველია სამოქალაქო ცნობიერების გაზრდისკენ მიმართული ტექსტების რაოდენობა სახელმძღვანელოში მეტი იყოს. ამასთანავე პირველიდან მეექვსე დონის ჩათვლით, ქართულის, როგორც მეორე ენის, სახელმძღვანელოებში ძალიან მწირი ინფორმაციაა საქართველოში არსებულ ეთნიკური/ნაციონალური ჯგუფების არსებობაზე; (ბ) ტექსტში გამოყენებული საკუთარი სახელები მხოლოდ ქართული ეთნიკური ჯგუფისათვისაა დამახასიათებელი და არ გვხვდება საქართველოს სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის დამახასიათებელი სახელები. ყველა პერსონაჟს (მთავარს, მეორეხარისხოვანს, ნათესავებს, მეგობრებს...) მხოლოდ და მხოლოდ ქართული წარმომავლობის სახელი ჰქვია: გია, ია, ლია, რეზო, მზია, დათო, ზაზა, მალხაზი, სანდრო, შოთა, თამთა, ნუცა... ერთადერთი გამოწვევის ამ მხრივ არის ევროპული ცნობილი ზღაპრების გმირების (კარლსონი, პეპი, ჩიპოლინო) სახელები; (გ) სახელმძღვანელოების დანერგვის ტრენინგები არ ჩატარებიათ ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებლებს და, შესაბამისად, ამ ახალი სახელმძღვანელოების ეფექტურად გამოყენება ვერ ხდება მასწავლებლების მიერ; (დ) სახელმძღვანელო შექმნილია უშუალოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, მათ შორის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სახელმძღვანელოს მინიჭებული აქვს გრიფირება. სახელმძღვანელო იქმნება არაკონკურენტულ

გარემოში, ამგვარი გარემო კი ნებისმიერ შემთხვევაში აისახება სახელმძღვანელოების ხარისხზე. ამასთან, დღეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ქმნის სახელმძღვანელოებს, გრიფს ანიჭებს და აფასებს ამ სახელმძღვანელოების ეფექტურობას. ყველა ამ კომპონენტის ერთ სისტემაში თავმოყრა ხელს შეუშლის განათლების ხარისხის განვითარებას და მისი ეფექტურობის რეალურ შეფასებას (ამ თვალსაზრისით დეტალური შედეგების ხილვა შესაძლებელია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ კვლევაში).

უმაღლესი განათლება

უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 43.1 მუხლი ითვალისწინებს სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიების გაცემას უნივერსიტეტიდან ან სხვა წყაროებიდან, ისევე, როგორც ფინანსურ და მატერიალურ დახმარებებს. ხელისუფლება ფინანსურად გაჭირვებული სტუდენტებისათვის სოციალურ პროგრამებს ახორციელებს განსაკუთრებულ შემთხვევებში (მუხლი 6.1.გ და 52.8).

2008-2009 სასწავლო წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკის გათვალისწინებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადაწყვიტა საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ყველაზე რადიკალური ფორმისთვის – კვოტირების სისტემის შემოღებისათვის მიემართა, კერძოდ: უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2009 წლის 19 ნოემბერს მიღებული ცვლილებებით დადგინდა იმ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა, რომლებიც გაივლიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას და განისაზღვრა, რომ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე მოხდება სტუდენტთა მიღება. აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე სტუდენტთა ჩარიცხვისათვის გამოცხადებულია რაოდენობა, რომელიც განისაზღვრება ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღებ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 5-5%-ის ოდენობით, ხოლო ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტებისათვის – 1-1%-ით (მუხლი 52.5¹). ამასთან, შესაბამის წელს დარეგისტრირებული ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩასარიცხ აბიტურიენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოტივირებული გადაწყვეტილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, შესაძლებელია პროცენტული გადანაწილების შეცვლა მათი ჯამის ფარგლებში.

აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების ჩარიცხვის აღნიშნული წესი ძალაში შევიდა 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან (მუხლი 90.2³). ამ ცვლილებებით დადგენილი ეთნიკური უმცირესობების წევრი სტუდენტების სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღების ახალი სისტემა დროებითია და იმოქმედებს 2018-2019 სასწავლო წლის ჩათვლით (მუხლი 90.2⁵).

ამასთან, დადგინდა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩასარიცხ სტუდენტთა რაოდენობა, ადგილების ზემოაღნიშნული პროცენტული რაოდენობა, არ შედის აკადემიურ უმაღლეს და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამებზე განსაზღვრულ სტუდენტთა რაოდენობაში.

ახალი ინიციატივის მიხედვით, შემოდის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუხლი 52.5¹), რომლითაც ხდება ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების, აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე აკრედიტებულ

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქის მიერ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა ქართულ ენაში იმ დონეზე, რაც აუცილებელია ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის, სტომატოლოგის, ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. შესაბამისად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენას. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები ვალდებული არიან, ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის, სტომატოლოგის, ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა გააგრძელონ ქართულ ენაზე და დააგროვონ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა (მუხლი 2.3,³⁵).

საქართველოს ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, განახორციელოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე იმ სტუდენტთა მიღება, რომლებიც გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

ცვლილებებით განისაზღვრება საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება, დაადგინოს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოცულობა და ოდენობა იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (მუხლი 6.1.გ2).

ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს სწავლის გაგრძელების უფლება ექნება ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის, სტომატოლოგის, ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მხოლოდ ქართულ ენაზე, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის 60-კრედიტიანი (მუხლი 47.³ 2) და მისი სწავლება სავალდებულოა პირველი სასწავლო წლის განმავლობაში. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაიცემა ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებამდე გაეცლო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პირველი აკრედიტაციის ჩატარებამდე აკრედიტებული ან ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ითვლება აკრედიტებულად.

2010 წელს კვოტირების სისტემის შემოღების შემდეგ არსებული სიტუაცია

2010 წლიდან კვოტირების სისტემის შემოღების შემდეგ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი აბიტურიენტების, ისევე, როგორც ჩარიცხულთა რაოდენობა, მკვეთრად გაიზარდა. აღნიშნული თვალსაჩინოა ქვემოთ წარმოდგენილ სტატისტიკაშიც:

წელი	კვოტირებული ადგილების რაოდენობა	ჩარიცხულთა რაოდენობა	ათვისებული კვოტების %
2010	2602	301	11,56%
2011	2100	431	20,52 %
2012	2242	584	26.04%
2013	3900	928	23.79%

თუმცა წარმოდგენილი სტატისტიკიდან თვალნათელია, რომ ჩარიცხულთა რაოდენობა მკვეთრად დაბალია, ვიდრე კვოტირებული ადგილების რაოდენობა და მნიშვნელოვანია მუშაობის გაგრძელება ამ მიმართულებით.

2010-2013 წლებში რეგისტრაციის, გამოცდაზე გასვლის და გამოცდების ჩაბარების სტატისტიკა, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტები

წელი	სომხურენოვანი აბიტურიენტები			აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტები		
	რეგისტრაცია	გავიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში	რეგისტრაცია	გავიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში
2010	253	188	137	335	303	194
2011	254	216	172	320	301	222
2012	290	262	207	579	541	407
2013	271	249	191	1189	1083	737
სულ:	1068	915	707	2423	2228	1560

მოცემული ცხრილიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის “საშეღავათო პოლიტიკის” ეფექტურობაზე და ანალიზის საშუალებას იძლევა. 2010 წლიდან მკვეთრად გაიზარდა აზერბაიჯანულენოვან დარეგისტრირებულთა და ჩარიცხულთა რაოდენობა და 2013 წელს ეს მაჩვენებელი 3.5-ჯერ მეტი იყო (დარეგისტრირებულთა რაოდენობა 2010 წელს შეადგენდა 335-ს, ხოლო 2013 წელს უკვე – 1189 აბიტურიენტს, ხოლო ჩარიცხულთა რაოდენობა 2010 წელს შეადგენდა 194-ს, ხოლო 2013 წელს – 737-ს). რაც შეეხება სომხურენოვან აბიტურიენტების რაოდენობას, ამ მხრივ, ფაქტობრივად, პროგრესი არ შეიმჩნევა (2010 წელს დარეგისტრირდა 253, 2013 წელს – 271). სომხურენოვანი აბიტურიენტების რიცხვის არაზრდადობა დამატებითი ღონისძიებების აუცილებლობაზე მიუთითებს ამ მიზნობრივ ჯგუფთან მიმართებაში.

2010-2013 წლების მისაღები გამოცდების შედეგები ხაზს უსვამს ზოგადი უნარების ტესტებში ჩაჭრილ აბიტურიენტთა საკმაოდ მაღალ რაოდენობას, რომელიც 27,8%-ს შეადგენს. ჩაჭრილ აბიტურიენტთა მაღალი მაჩვენებელი აგრეთვე ააშკარავებს ზოგადი განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს. თვალსაჩინოებისათვის იხილეთ ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილია წლების მიხედვით ჩაჭრილი აბიტურიენტების რაოდენობა და მისი შეფარდება გამოცდაზე გასულთა რაოდენობასთან.

2010-2013 წლებში რეგისტრაციის, გამოცდაზე გასვლის საერთო სტატისტიკა

წელი	რეგისტრაცია	გავიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში	ჩაიჭრა	ჩაჭრილთა %
2010	588	491	331	160	32.587
2011	574	517	394	123	23.791
2012	869	803	614	189	23.537
2013	1460	1332	928	404	30.33
სულ:	3491	3143	2267	876	27.871

სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების ზოგადი უნარების გამოცდების შედეგები და მათი შედარება ქართულენოვანი და რუსულენოვანი აბიტურიენტების შედეგებთან ასევე კარგ სურათს იძლევა ანალიზისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი უნარების გამოცდა ტარდება აბიტურიენტთა მშობლიურ ენაზე, მათი შედეგები გაცილებით დაბალია ქართულენოვან და რუსულენოვან აბიტურიენტებთან შედარებით, რაც კიდევ ერთხელ ნათლად მიუთითებს ზოგადი განათლების საფეხურზე სწავლების ხარისხთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ნათელს ხდის ამ თვალსაზრისით არსებულ პრობლემატიკას:

საშუალო ქულა წლების მიხედვით

გამოცდა	2010	2011	2012	2013
ზოგადი უნარები (სულ)	37.00	37.58	37.30	37.29
ზოგადი უნარები (ქართ.)	37.15	37.75	37.52	37.64
ზოგადი უნარები (რუს.)	38.28	39.00	39.43	40.40
ზოგადი უნარები (აზერ.)	23.85	26.88	26.68	25.02
ზოგადი უნარები (სომხ.)	25.20	26.62	26.94	28.39

2013 წლის 24 ივნისის 79/ნ ბრძანებით სახელმწიფო აფინანსებს სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულ 17 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას. ეს ინიციატივა პრობლემად იქცა “საშელავათო პოლიტიკის” შედეგად 2012 წელს ჩარიცხული სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის. აღნიშნული სტუდენტები ვერ ახერხებდნენ პრიორიტეტულ პროგრამებზე ჩარიცხვას, რადგან არცერთ საკანონმდებლო აქტში არ ჩანდა მექანიზმი, რა პრინციპით მოხდებოდა მათი ჩარიცხვა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სასურველ საგანმანათლებლო პროგრამებზე. კერძოდ, 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის შედეგად ამ სპეციალობებზე აბიტურიენტები ავსებენ კონკრეტული პროგრამებისთვის განკუთვნილ ადგილებს (მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პრიორიტეტულ პროგრამებზე 425 ადგილია გამოყოფილი, რასაც მაღალი კონკურსის შედეგად სრულად ავსებენ ქართულენოვანი აბიტურიენტები). შესაბამისად, ერთწლიან პროგრამაში ჩართული სტუდენტებისთვის ეს სპეციალობები რჩებოდა მიუწვდომელი, რადგან არ არსებობდა და ამჟამად არ არსებობს არანაირი რეგულაცია, რომელიც სასურველ ფაკულტეტზე მათ მოხვედრას განაპირობებს სახელმწიფო გრანტის არსებობის შემთხვევაშიც კი. დღევანდელი მდგომარეობით უნივერსიტეტებს მიეცათ ამ სტუდენტების აღნიშნულ პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება, თუმცა ამ სტუდენტებისთვის ეს პროგრამები, თუ გრანტი არ აქვთ მოპოვებული, ფასიანია და მათ მოუწევთ თანხის გადახდა იმაში, რაც უფასოა ქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის. აღნიშნული, ერთი მხრივ, არღვევს ამ

სტუდენტების უფლებებს და დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს მათ და, მეორე მხრივ, არანაირად არ ეხმარება სახელმწიფოს პოლიტიკას პრიორიტეტულ მიმართულებებზე სტუდენტების მოზიდვისა და ამ პროგრამების პოპულარიზაციის შესახებ.

2013 წლის მისაღები გამოცდების შედეგად დაიშვა მეორადი ჩარიცხვები იმ სტუდენტებისთვის ვინც გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, თუმცა ვერ მოხვდა მის მიერ არჩეულ უნივერსიტეტსა თუ ფაკულტეტზე. ამ აბიტურიენტებს მიეცათ შესაძლებლობა, გაეკეთებინათ მეორადი არჩევანი და მეორადი ჩარიცხვის შედეგად გამხდარიყვნენ სტუდენტები. ანალოგიური დაშვება არ მოხდა არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის, რომლებმაც ზოგადი უნარების გამოცდების მინიმალური ზღვარი გადალახეს, თუმცა ვერ მოხვდნენ სასურველ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტზე. დღევანდელი მონაცემებით, მათ არ ეძლევათ მეორადი ჩარიცხვის შესაძლებლობა, თუმცა, იმედია, ეს საკითხი გადაწყდება და ყველა აბიტურიენტებისადმი საერთო მიდგომა იმუშავებს.

“საშედავთო პოლიტიკის” თვალსაზრისით გარკვეული პრობლემები იკვეთება ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ:

- (1) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ჩარიცხულ სტუდენტთა 53% სწავლობს, ხდება ეთნიკური ნიშნით დაჯგუფება და იქმნება კომუნიკაციის პრობლემები სტუდენტებს შორის, სომხური და აზერბაიჯანული ჯგუფების გაერთიანება მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც ენობრივი (რადგან იქნებოდა მთლიანად ქართულენოვანი გარემო კომუნიკაცია მოხდებოდა ქართულად, რაც დღესდღეობით სომხურად ან აზერბაიჯანულად ხდება), ისე სამოქალაქო ცნობიერების თვალსაზრისით ორივე ეთნიკური ჯგუფისთვის ინტერკულტურალიზმისა და ტოლერანტობის განსავითარებლად;
- (2) ერთწლიანი პროგრამა არ არის საკმარისი ზოგიერთი სტუდენტისთვის. ერთი წლის სწავლების შემდეგ ისინი არ არიან მზად, სწავლა გააგრძელონ ბაკალავრიატში. ამასთან, სტუდენტებს, რომლებიც კარგად ფლობდნენ ენას, ერთწლიანი პროგრამის ფარგლებში დამატებითი კომპეტენცია არ შეუძენიათ. სტუდენტების განცხადებით, მათ, ფაქტობრივად, ერთი წელი მთლიანად დაკარგეს ამ პროგრამაზე და მაინც მოუშადადებლები აღმოჩნდნენ საბაკალავრო პროგრამებისთვის;
- (3) უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობს მხარდაჭერის ცენტრი სტუდენტებისათვის. მხარდაჭერის ცენტრის გარეშე პრობლემები ექმნებათ ერთწლიანი პროგრამის დასაწყისში სტუდენტებს სოციალური ადაპტაციის, ხოლო საბაკალავრო საფეხურზე, აკადემიური ინტეგრაციის თვალსაზრისით. ყველაზე პრობლემურია სწავლების პირველი სემესტრი. პირველი სემესტრი პრობლემურია ორგანიზაციული და კურსების არჩევის თვალსაზრისითაც;
- (4) თბილისის სკოლების კურსდამთავრებულებს განსხვავებული მდგომარეობა აქვთ. ისინი ფლობენ სახელმწიფო ენას და ერთწლიანი პროგრამა მათთვის პრაქტიკულად უშედეგოა, ისინი სწავლობენ იმავე პროგრამით, რა პროგრამითაც აბიტურიენტები, რომლებიც საერთოდ ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას. ამ ჯგუფებში ხშირად სასწავლო დრო ტყუილად იკარგება და ლექტორმა არ იცის, რა აკეთოს, რადგან სილაბუსით განსაზღვრულ მასალას და ენის ცოდნის დონეს სტუდენტები უკვე ფლობენ. ენობრივი კომპეტენციის შეფასების სისტემა უნდა შემუშავდეს და ენის სერტიფიკატი რეალურად უნდა ასახავდეს სტუდენტის ცოდნას, რამდენად შეძლებს ის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლას. მნიშვნელოვანია ასეთი შეფასების სისტემის შექმნა;
- (5) არ არსებობს ენობრივი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა იმ ენობრივი კომპეტენციის დადგენას, რაც საჭიროა ბაკალავრიატში სწავლებისთვის. ამ კომპეტენციის დადგენის შემთხვევაში ერთწლიანი პროგრამის აბიტურიენტების შეფასება იქნებოდა ვალიდური და დადებითი შეფასების შემთხვევაში მათ ენობრივი პრობლემები ნაკლებად ექნებოდათ საბაკალავრო საფეხურზე;
- (6) სტუდენტებს არ აქვთ საინტეგრაციო გარემო, არ ხდება კომუნიკაცია ქართველ სტუდენტებთან, მათი სამოქალაქო ცნობიერება და სამოქალაქო ინტეგრაცია ნაკლებია, ისინი იზოლირებული არიან კონკრეტულ შენობაში, ყოველგვარი ინტერაქციის გარეშე; დამატებითი კლასგარეშე ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობდა მათ ინტეგრაციას, მათთვის ხელმიუწვდომელია.

ზრდასრულთა განათლება

ზრდასრულთა განათლება წარმოადგენს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის და სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვან კომპონენტს, კერძოდ ეს მიმართულება სამოქმედო გეგმაში

ჩამოყალიბებულია შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებად: მოზარდებისა და ზრდასრულთათვის სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობის პროგრამები (ზრდასრულთა განათლების ცენტრები).⁴⁶

2011 წლისათვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ “ქართული ენის პროგრამის” ფარგლებში უზრუნველყო ნინოწმინდისა და ახალქალაქის ენის სახლების დაფინანსება 22 500 ლარის ოდენობით (თითოეული ცენტრისათვის). ასევე, 2011 წელს სამინისტროს მიერ დაფინანსდა 2009 წელს დაარსებული დმანისისა და ბოლნისის ქართული ენის ცენტრები (ასევე 22 500 ლარი თითო ცენტრისათვის). დღეისათვის ენის ორ სახლში და ქართული ენის ორ ცენტრში 4-4 ჯგუფის სწავლება მიმდინარეობს; მათ წელიწადში დაახლოებით 300 მსმენელი ჰყავთ. პროგრამის “ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის” ფარგლებში დამატებით სამი ქართული ენის სახლი გაიხსნა ქვემო ქართლის რეგიონში – წალკაში, გარდაბანსა და მარნეულში, ასევე კახეთის რეგიონის სოფ. იორმულანლოში. 2011 წლის 1 ოქტომბრიდან ქართული ენის სახლებსა და ცენტრებს ადმინისტრირებას უწევს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა.

ენის სახლი გათვლილია მსმენელთა რამდენიმე კატეგორიაზე: სკოლის დირექტორები და მასწავლებლები, საჯარო მოხელეები, აბიტურიენტები და სხვა დაინტერესებული პირები. ენის სახლი მსმენელს სთავაზობს ქართული ენის ინტენსიურ კურსს.

მსმენელების დიფერენცირება ხდება, ერთი მხრივ, ენის ფლობის დონის მიხედვით, რაც დგინდება წინასწარი ტესტის საფუძველზე, მეორე მხრივ, მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიზანია, უზრუნველყოს საქართველოს ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთათვის მუდმივი პროფესიული ზრდისა და განვითარებისათვის შესაბამისი როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა და განხორციელება. სკოლა მსურველებს სთავაზობს შემდეგ მოკლევადიან და გრძელვადიან საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების პროგრამებს ორ ეტაპად:

მოკლევადიანი კურსების ჩამონათვალი:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვა
- ფინანსური მენეჯმენტი
- პროექტის მართვა და მონიტორინგი
- ადამიანური რესურსების მართვა
- სამართლის საფუძვლები და საქმისწარმოება
- მენეჯმენტის საფუძვლები

გრძელვადიანი კურსების ჩამონათვალი:

- ქართული ენის სწავლების კურსი (წელიწადში 3 თვე ეტაპობრივად);
- ინგლისური ენის სწავლების კურსი (წელიწადში 3 თვე ეტაპობრივად).

2012 წლის იანვარ-თებერვალში 75 სომხურენოვანი სკოლის დირექტორმა გაიარა ქართული ენის 6-კვირიანი ინტენსიური კურსი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის “ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის” ფარგლებში, რომელიც ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლების გაძლიერებას ითვალისწინებს, 2011 წლის 1 ოქტომბრიდან სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მოქმედი ქართული ენის სახლებს ადმინისტრირებას უწევს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა. ზოგადად 2011-2013 წლებში ზურაბ ჟვანიას სკოლასა და “ენის სახლებში” მსმენელთა მონაცემები შემდეგია:

⁴⁶<http://mes.gov.ge/content.php?id=547&lang=geo>.

სასწავლო ცენტრი	მსმენელთა რაოდენობა			პროფესია		ასაკი		
	სულ	ქალი	კაცი	მასწავლებელი	სხვა დანარჩენი	30 წლამდე	30-45	45-60
ახალქალაქი	261	201	60	190	71	47	95	119
ბოლნისი	161	93	68	133	28	35	58	68
გარდაბანი	22	16	6	22		2	7	13
დმანისი	105	47	58	91	14	24	39	42
ლამბალო	84	46	38	84		19	29	36
მარნეული	134	36	98	134		31	43	60
ნინოწმინდა	293	236	57	258	35	63	102	128
ჯამი	1060	675	385	912	148	221	373	466
%		64	36	86	14	21	35	44

ზურაბ ჟვანიას სახელობის სკოლასთან და “ენის სახლებთან” დაკავშირებით შემდეგი პრობლემები იკვეთება: სტრუქტურული თვალსაზრისით მოხდა ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლისა და ენის სახლების შერწყმა. რეალურად კი ამ ორ სტრუქტურას აბსოლუტურად განსხვავებული ფუნქციები გააჩნდა. ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დანიშნულება იყო საჯარო მოხელეების სხვადასხვა მიმართულებით პროფესიული განვითარება, მათ შორის არაქართულენოვანი რეგიონების საჯარო მოხელეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების კურსების ორგანიზება. ენის სახლები კი დაარსებიდან, ანუ 2004 წლიდან, შემდეგი მიმართულებებით ფუნქციონირებდა: (ა) ზრდასრულთათვის სახელმწიფო ენის კურსების ორგანიზება; (ბ) კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ინტერკულტურული კომუნიკაციისა და დიალოგის წახალისება; (გ) ქართული ენისა და ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; (დ) მასწავლებელთათვის საინფორმაციო-მეთოდოლოგიური ჟურნალის გამოცემა; (ე) საინფორმაციო და მედიასაშუალებებით მოსახლეობის უზრუნველყოფა და მედიის გამოყენება ენის სწავლების პროცესში; (ვ) ბილინგვური განათლების მხარდაჭერა. 2010-13 წლებში კი ისევე, როგორც ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, ენის სახლებიც მხოლოდ და მხოლოდ სკოლის დირექტორებისთვის, მასწავლებლებისთვის და იშვიათ შემთხვევაში საჯარო მოხელეებისთვის ენის სწავლების კურსების ორგანიზებით შემოიფარგლებოდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თვითონ ამ კურსების ხარისხის მართვის მექანიზმები არ არსებობს და წარმოდგენილია იმის შეფასება, თუ რამდენად შეძლეს სახელმწიფო ენის დაუფლება კურსების მსმენელებმა.

ძირითადი დასკვნა

განათლებისა და სახელმწიფო ენის პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით არაერთი პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა, ამავე დროს, გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზებიც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო რეფორმების დაგეგმვა და განხორციელება, რათა განხორციელებულმა პოლიტიკამ რეალურად შეუწყოს ხელი ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს.

მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა

კონსტიტუცია და კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია იცავს სიტყვისა და აღმსარებლობის თავისუფლებას და კრძალავს ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მის იძულებას, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ (მუხლი 19).

“სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” კანონის თანახმად, გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ადამიანის თავისუფლებას იძულებისგან, გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის, სინდისისა და მსოფლმხედველობის, ეთნიკური და კულტურული კუთვნილების შესახებ (მუხლი 3.2.კ).

სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით ისჯება “ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით”.

“მაუწყებლობის შესახებ” კანონი

“მაუწყებლობის შესახებ” კანონით იკრძალება ტელერადიო მაუწყებლების მიერ ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც შეიცავს რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს. კანონით ასევე დაუშვებელია ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას (მუხლი 56).

“მაუწყებლობის შესახებ” კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, თავის პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნება და სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები.

საკანონმდებლო დონეზე პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს 2009 წლის დეკემბერში კანონში შესული ცვლილება, რომლის საფუძველზეც საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, ყოველწლიურად შექმნას ერთი ან ერთზე მეტი რეგულარული პროგრამული პროდუქტი არანაკლებ 4 ენაზე, მათ შორის, აფხაზურ და ოსურ ენებზე (მუხლი 33). სათემო მაუწყებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მისი მომსახურების ზონაში მცხოვრები უმცირესობების აზრების გაშუქება (მუხლი 46).

ქცევის კოდექსი

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2006 წელს მიღებული ქცევის კოდექსის მიხედვით, მაუწყებლის მიზანია, “სრულფასოვნად და სამართლიანად გააშუქოს საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხი და კულტურა, პატივი სცეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას”.

2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის ამოქმედებამდე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, როდესაც 2009 წლის 12 მარტს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ “მაუწყებლობის შესახებ” კანონის 50-ე მუხლის საფუძველზე მიიღო მაუწყებელთა ქცევის კოდექსი. კოდექსის მე-9 თავი ეთმობა მრავალფეროვნებისა და შემწყნარებლობის საკითხებს. 31-ე მუხლი უკრძალავს მაუწყებლებს ისეთი

მასალის გადაცემას, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან შეუწყნარებლობას რასის, ენის, რელიგიური კუთვნილების ან ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე. გარდა ამისა, მაუწყებელს ევალება, სარწმუნო და მიუკერძოებელი ინფორმაცია გაავრცელოს საქართველოში მცხოვრებ ყველა კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ ჯგუფზე (მუხლი 32.1) და თავიდან აიცილოს მათი შეურაცხყოფა (მუხლი 32.2); თავი აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან (მუხლი 33.1); ხელი არ შეუწყოს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას, აუცილებლობის გარეშე არ მიუთითოს პირის ეთნიკურ წარმოშობაზე ან მის რელიგიურ მრწამსზე (მუხლი 33.2).

“მაუწყებლობის შესახებ” კანონის მე-14 მუხლის თანახმად, მაუწყებლებს ეკისრებათ თვითრეგულირების მექანიზმის შექმნის ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვას ქცევის კოდექსის დარღვევის საფუძველზე და დროული რეაგირების მოხდენას.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” კანონის მიხედვით, კომუნიკაციების ეროვნული კომისია ვალდებულია, არ დაუშვას ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებისას ბოლო მომხმარებლების დისკრიმინაცია და უზრუნველყოს ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა (მუხლი 20.2.გ).

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მაუწყებელთა ქცევის კოდექსი იძლევა საშუალებას, შეიქმნას საჩივრების საბჭო და შიდა მონიტორინგის ერთეულები მაუწყებელთათვის. თუმცა, ჯერჯერობით, ფაქტობრივად, არ ხდება ამ წესების დაცვა, რაც უმცირესობებს, ისევე, როგორც ფართო საზოგადოებას, არ აძლევს თავისი უკმაყოფილების გამოხატვის რეალურ შანსს.

მედიისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის ანალიზი/შეფასება

საზოგადოებრივი მაუწყებელი

2009-2014 წლებში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში მედიისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ძირითადი ნაბიჯები სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგა, რამაც ასახვა ჰპოვა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმაში.

ამ მხრივ ძირითადი დატვირთვა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელე და რადიო არხებზე მოდიოდა, სადაც ეთნიკური უმცირესობების ენებზე მზადდებოდა ტელე და რადიო გადაცემები, ასევე ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე სპეციალური გადაცემები. საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან გადადგმული ნაბიჯები სატელევიზიო სივრცეში ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამების მინიმალურ დონეზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფდა.

სამოქმედო გეგმით ყოველწლიურად იგეგმებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გავრცელების სისტემის რეაბილიტაცია, რითაც რეგიონებში უნდა გაზრდილიყო გადაცემების ყურებადობა, ოპერატიულობა და მასშტაბურობა. თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, ეს არ იყო საკმარისი, მეტიც, ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლების ზოგიერთ ადგილას ვერ ხერხდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემების მიღება, რადგან საზოგადოებრივი მაუწყებლის ტრანსლაცია არ ვრცელდებოდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ფოკუსჯგუფებში გაკეთებული განცხადებების მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემების სანახავად ისინი ძირითადად სატელეკომუნიკაციო თეფშებს იყენებდნენ.

2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა ყოველწლიურად ითვალისწინებდა უმცირესობების ხუთ ენაზე სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამების მომზადებას. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში კვირაში ერთხელ გადიოდა სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამები აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. 2010 წლიდან რუსულენოვანი გადაცემა აღარ გადიოდა, რადგან ამოქმედდა ახალი რუსულენოვანი ტელეარხი “პირველი საინფორმაციო კავკასიური” (Первый

Информационный Кавказский), რომელიც გარკვეულ როლს ასრულებდა ინტერკულტურული დიალოგის საქმეში. 2011 წელს მეორე რუსულენოვანი არხი “რეგიონ ტვ” ამოქმედდა. ეს ორი ტელევიზია 2012 წლის 1 მარტიდან გაერთიანდა. 2012 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით “პიკ”-ის მემკვიდრით ვრცელდებოდა ეთნიკური უმცირესობებისათვის განკუთვნილი ტელეპროდუქცია. გამომდინარე იქიდან, რომ ტელევიზიის მაუწყებლობის ენა ხელმისაწვდომი იყო უმცირესობებისათვის, მისი დახურვით რუსულენოვანი არხის მაუწყებლობის დეფიციტი შეიქმნა.

ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადებული გადაცემების ქრონომეტრაჟი 26-წუთიანი იყო. გადაცემის პირველი ნაწილი საინფორმაციო ხასიათის იყო და ასახავდა საქართველოში განვითარებულ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს, მეორე ნაწილი კი შედგებოდა ძირითადად სოციალურ-საგანმანათლებლო ხასიათის რუბრიკებისაგან.

პოზიტიური ნაბიჯი იყო სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ჩატარებული კვლევა, რამაც დაადასტურა, რომ დღის საათებში კვირაში ერთხელ უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა არ იწვევდა მაცურებლის განსაკუთრებულ ინტერესს, რისი მიზეზიც იყო გადაცემების არაყურებადი დრო (14:30 სთ.) და არაინტენსიური პერიოდულობა (კვირაში ერთხელ). კვლევის საფუძველზე 2010 წლის 1 მარტიდან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განახორციელა რეფორმა მაუწყებლობის მოცულობისა და ეფექტურობის გასაზრდელად. დაიწყო ახალი ამბების გავრცელება სხვადასხვა ენებზე იმ რეგიონული ტელევიზიების მემკვიდრით, რომლებიც ფარავნ აფხაზი, ოსი, აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების მოქალაქეებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებს. შეიქმნა “ნაციონალური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა”, რომელმაც შექმნა ახალი პროდუქტი საინფორმაციო კოლაჟის სახით. აღნიშნული სახით “მოამბის” კოლაჟი გადიოდა ყოველდღე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე. საინფორმაციო ბლოკი ყოველდღიურად მიეწოდება ასევე რეგიონულ ტელეარხებს. ამავე დროს პარტნიორ ტელეარხებს მიეცათ უფლება, დამატებით გაემეორებინათ გადაცემები დილის და საღამოს საათებში. თუმცა, როგორც ჩანს, განხორციელებულმა ცვლილებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, რადგან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2013 წლის ივნისიდან უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა ახალი ფორმატით დაიწყო, რაც ერთი საათის განმავლობაში ხუთ ენაზე წამყვანის მიერ ახალი ამბების გადაცემას ითვალისწინებს. თითოეულ ენაზე მაუწყებლობას 12 წუთი ეთმობა. აღნიშნული სატელევიზიო გადაცემის აუდიოვერსია ყოველდღიურად ვრცელდება საზოგადოებრივ რადიოში.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საინფორმაციო პროგრამების ფორმატის არაერთი ცვლილების მიუხედავად, საინფორმაციო გადაცემების მიმართ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში ინტერესი დაბალია. ფოკუსჯგუფებში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, საინფორმაციო გადაცემები მოუხერხებელ დროს გადის, გადაცემის ქრონომეტრაჟიც ხანმოკლეა, შუქდება უფრო უცხოური სიახლეები, ვიდრე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, რაც საინფორმაციო პროგრამების დაბალ რეიტინგსაც განაპირობებს.

2010 წლიდან ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადებული საინფორმაციო გადაცემების ინტენსივობისა და სხვა პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში აშკარა იყო ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების დაბალი დონე. ასევე ეს გადაცემები უმთავრესად ადგილობრივ თუ საერთაშორისო სიახლეებს აშუქებდა, მაგრამ ნაკლებად ეთმობოდა დრო უშუალოდ უმცირესობათა თემებს – მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს. პრობლემა იყო ის, რომ ყოველდღიური საინფორმაციო გადაცემების რეგიონული და ნაციონალური ტელევიზიების ეთერით გაშვების შესახებ ხშირ შემთხვევაში ცნობილი არ იყო არც ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მაცხოვრებლებისათვის და არც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას ის ფაქტიც აფერხებდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო სიგნალი სრულად ვერ ფარავდა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთს.

სამაუწყებლო პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების თემის გაშუქება და მონაწილეობა

სატელევიზიო თოქ-შოუ “ჩვენი ეზო”,⁴⁷ რომელიც 2007 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერით გადიოდა კვირაში ერთხელ, უპრეცედენტო იყო თავისი შინაარსით, რადგან გადაცემა უშუალოდ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ თემებზე მზადდებოდა. გადაცემა აშუქებდა ეთნიკური უმცირესობების კულტურას, რელიგიას, მათი საზოგადო მოღვაწეების წვლილს საქართველოს განვითარებაში. 2010 წელს გადაცემა სახალხო დამცველის ოფისის მიერ ყველაზე ტოლერანტულ სატელევიზიო თოქ-შოუდ დასახელდა. 2013 წლიდან თოქ-შოუს ფორმატი შეიცვალა და გადაცემის მომზადება რეგიონში ვიზიტების ფონზე მიმდინარეობს, ადგილობრივი მოსახლეობისა და მოწვეული სტუმრების მონაწილეობით. საბოლოო სატელევიზიო პროექტი ფილმის სახით გადის საზოგადოებრივ მაუწყებელზე. ფოკუსჯგუფებში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, “ჩვენს ეზოს” ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში მოსახლეობის მცირე ნაწილი უყურებს.

ექსპერტთა აზრით, ქართული მედიასივრცე განიცდიდა უმცირესობების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას და ამ მხრივ გადაცემა “ჩვენი ეზო”, რომელიც ეთნიკური უმცირესობების თემატიკას ეხებოდა, ამ ვაკუუმის შევსებას ცდილობდა. ეთნიკური მრავალფეროვნების წარმოჩენის კუთხით პოზიტიურ მოვლენად შეიძლება შეფასდეს საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში დოკუმენტური ფილმების ციკლის – “მრავალეროვანი საქართველო“-ს მომზადება, რომელიც საქართველოში მცხოვრებ 9 ეთნიკური უმცირესობის ისტორიასა და კულტურას ეხებოდა და რომლის მიზანი მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა იყო.

ეთნიკური უმცირესობების ყოფის, კულტურისა თუ პრობლემების შესახებ საინფორმაციო ვაკუუმის შევსება მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით ხდებოდა და არა სხვა ქართულენოვანი კომერციული ტელევიზიების მიერ. მათთვის მსგავსი ტიპის გადაცემების მომზადება კომერციულ ინტერესს არ შეიცავდა და ეთნიკური უმცირესობების თემატიკაც კომერციული ტელევიზიებისათვის მხოლოდ მაშინ ხდებოდა აქტუალური, როდესაც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში მიტინგები, მაღალი დონის სახელმწიფო მოხელეების ვიზიტები, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება ან კრიმინალური ფაქტი ხდებოდა.

საქართველოს საზოგადოებრივი რადიო

2009-2014 წლების სამოქმედო გეგმით ყოველწლიურად იყო დაგეგმილი უმცირესობების ექვს ენაზე საინფორმაციო პროგრამების მომზადება. საზოგადოებრივი რადიოს ეთერში ყოველდღიურად გადიოდა 10-წუთიანი საინფორმაციო პროგრამები აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ქურთულ და რუსულ ენებზე.⁴⁸ აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი “ნაციონალურ მოამბის” აუდიოვერსია ყოველდღე გადაიცემოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი რადიოს ეთერით.

მრავალფეროვნებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშესაწყობად საზოგადოებრივი რადიოს ეთერში ყოველკვირეულად გადიოდა 45-წუთიანი საავტორო გადაცემა “ჩვენი საქართველო”, რომელიც 2010 წლის 1 მარტიდან აღარ გადიოდა ეთერში. გადაცემაში შუქდებოდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ისტორია, ეთნიკური და რელიგიური თვითმყოფადობის საკითხები. 2011 წლიდან “ღია საზოგადოება – საქართველოს” დაფინანსებით გადაცემა ხელახლა გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემის მომზადება გათვალისწინებული იყო სამოქმედო გეგმით, 2012 წლის სექტემბრიდან გადაცემა აღარ გადის ეთერში. გადაცემის გასვლასთან დაკავშირებული პრობლემები ძირითადად არასტაბილურ დაფინანსებას უკავშირდებოდა.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ასევე ვრცელდებოდა ქართულენოვანი კომერციული რადიოარხების მაუწყებლობა, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ქართულად მაუწყებლობენ, მოსახლეობა ძირითადად ამ არხებზე გასულ მუსიკას უსმენდა. სამცხე-ჯავახეთში შეიძლება ათამდე

⁴⁷ 2010 წლამდე თოქ-შოუ “იტალიური ეზოს” სახელით გადიოდა.

⁴⁸ რუსულ ენაზე მაუწყებლობა 2010 წლის სამოქმედო გეგმაში აღარ არის მითითებული.

რადიოსადგურის დაჭერა, რომელიც ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე მაუწყებლობდა, თუმცა მათ მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილი უსმენდა.

საზოგადოებრივ რადიოში ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენებზე გადაცემების მომზადება უდავოდ პოზიტიური მომენტი იყო, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებრივი რადიოს დაფარვის ზონა არ ვრცელდებოდა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის უმეტეს ნაწილში, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების მიმართულებით ეროვნული რადიოს რესურსი გამოუყენებელი იყო. ამის გამო აღნიშნულ რეგიონებში საზოგადოებრივ რადიოს მსმენელი პრაქტიკულად არ ჰყავდა. ამდენად, ამ გადაცემების ეფექტი ამ რეგიონების მოსახლეობის ინფორმირების თვალსაზრისით ძალზე უმნიშვნელო იყო.

ბეჭდვითი მედია

არაქართულენოვან ენაზე გამომავალი გაზეთების უმრავლესობა სერიოზული გამოწვევების წინაშე იდგა. საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით მათი ტირაჟი და ფორმატი გაცილებით მცირე იყო, მათი გავრცელების ოპერატიულობა და არეალი კი – შეზღუდული და ეს მათ პოპულარობაზეც აისახა. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული გაზეთები მთავრობის პოლიტიკას ატარებდნენ და ისინი ძირითადად ადგილობრივი დონის სახელმწიფო უწყებებში ვრცელდებოდა.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის “ლიტერატურის განვითარების პროგრამის” ფარგლებში საქართველოს მთავრობა აფინანსებდა ეთნიკური უმცირესობების ენებზე გამოცემულ რამდენიმე ბეჭდვით გამოცემას, რომელიც უკვე მრავალი ათეული წელია გამოდის: ყოველკვირეულ სომხურენოვან გაზეთ, “ვრასტან“-ს 2009 წელს სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება გაეზარდა 55 000 ლარამდე, ყოველკვირეულ აზერბაიჯანულენოვან გაზეთ “გურჯისტან“-ს კი – 40 000 ლარამდე. აღნიშნული გაზეთები, შესაბამისად სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ვრცელდებოდა. რუსულენოვანი გაზეთი “სვობოდნაია გრუზია”, რომელიც პერიოდულად გამოდიოდა, კვირაში ერთხელ, თვითდაფინანსებაზე იყო. ფოკუსჯგუფებში გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, მოსახლეობის ძირითადი პრეტენზია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული გაზეთების მიმართ ისაა, რომ ვერ ხერხდებოდა გაზეთების სათანადო დისტრიბუცია და მოსახლეობის დიდ ნაწილს გაზეთი ფიზიკურად ნანახიც კი არ ჰქონდა, ხოლო ის, ვინც ეცნობოდა გაზეთს, მიიჩნევს, რომ გაზეთში მოძველებული ინფორმაცია შეუქდება.

სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებული გაზეთების გარდა, სხვადასხვა პერიოდულობითა და ტირაჟით, კერძო, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, სათვისტომო ორგანიზაციების თუ ცალკეული ჯგუფების მხარდაჭერით გამოდიოდა არაქართულენოვანი გაზეთები და ჟურნალები, თუმცა მათი გავრცელების არეალი ფართო არ იყო და, შესაბამისად, მათი როლი საზოგადოების ინფორმირების კუთხით მოკრძალებული იყო. მსგავსი გამოცემებიდან აღსანიშნავია “მრავალეროვანი საქართველო”, “სამხრეთის კარიბჭე“, “ზია“, “რეგიონპრესი“, “ოზანი“, “თრიალეთის ექსპრესი“, “ზლატა პრაგა“, Литературный альманах «На холмах Грузии», «Украинский вестник», «Русское вече» და სხვ.

გაზეთები მწირი დაფინანსების, დაბალი პროფესიონალიზმისა და სხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებდნენ რეგულარულად და ოპერატიულად ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისათვის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას ჯეროვან დონეზე. ამიტომაც მათ რეგიონის მოსახლეობისათვის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებლის ფუნქცია ვერ დაეკისრებოდათ.

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, ცენტრალური გაზეთების გარდა, მეზობელი სახელმწიფოებიდანაც შემოდიოდა გაზეთები. სამცხე-ჯავახეთში ვრცელდებოდა გაზეთები სომხეთიდან და რუსეთიდან, ქვემო ქართლში კი – აზერბაიჯანიდან. შესაბამისად, მოსახლეობა ძირითადად ეცნობოდა სომხურენოვან, რუსულენოვან და აზერბაიჯანულ ბეჭდვით მედიას, თუმცა მათი რაოდენობა საკმაოდ მცირე იყო და დაგვიანებით ჩადიოდა რეგიონებში.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების მიხედვით, პრობლემას წარმოადგენდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობისათვის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ საქართველოს საინფორმაციო არხების საშუალებებით ინფორმაციის დროული და სრულყოფილი მიწოდება მათთვის გასაგებ ენაზე.

ქართულ სატელევიზიო ბაზარზე ეთნიკური უმცირესობებისათვის ხელმისაწვდომი იყო რამდენიმე ცენტრალური და ადგილობრივი სატელევიზიო არხი, რომლებსაც ეროვნულ უმცირესობებში დაბალი რეიტინგი ჰქონდათ. ცენტრალური სატელევიზიო არხების გადაცემისა და გეოგრაფიულად ეთნიკური უმცირესობების დასახლების ძირითადი ადგილების დაფარვის მიუხედავად, ქართული ენის არცოდნის გამო, მათ მცირერიცხოვანი მაყურებელი ჰყავდათ, ძირითადად ურბანულ ადგილებში. ადგილობრივი სატელევიზიო არხების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ეთნიკური უმცირესობების ენებზე გადასცემდნენ, მათი მაყურებელიც მცირერიცხოვანი იყო, რადგან შეზღუდული იყო მათი გავრცელების არეალი და ასევე ძალზე დაბალი იყო მაუწყებლობის ხარისხი.

საზოგადოებრივი მაუწყებელი სხვადასხვა პერიოდში თანამშრომლობდა რეგიონულ ტელეკომპანიებთან, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების ენებზე ამზადებდნენ გადაცემებს, ასეთები იყო: ზუგდიდის ტელეკომპანია “ოდიში“ (აფხაზურ ენაზე), გორის ტელეკომპანია “თრიალეთი“ (ოსურ ენაზე), ახალქალაქის ტელეკომპანია “ატვ-12“ (სომხურ ენაზე), მარნეულის ტელეკომპანია “მარნეული ტვ“, რუსთავის ტელეკომპანია “მე-4 არხი“ (აზერბაიჯანულ ენაზე). ეს ტელეკომპანიები უზრუნველყოფდნენ “ნაციონალური მოამბის“ მიერ მიწოდებული მასალის ტრანსლირებას. გარდა ამისა, რეგიონული ტელევიზიები ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებით თარგმნიდნენ საინფორმაციო გამოშვებებს: “რუსთავი 2-ის“ “კურიერსა“ და “იმედის“ “ქრონიკას“.

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის მიღების საშუალებები არსებობდა, მოსახლეობა მაინც ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა. ზოგი ექსპერტის აზრით, ეს მათი ანკლავური ცხოვრების წესით იყო განპირობებული. ისინი ჩაკეტილნი იყვნენ ვიწრო არეალში და არ ინტერესდებოდნენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით. ამავე დროს, ეროვნულ უმცირესობებში ზოგადად ცენტრალური მედიასაშუალებებისადმი ნაკლები იყო ნდობა, რადგან, ადგილობრივების შეფასებით, რეგიონული ამბები მხოლოდ ნეგატიურ და არაობიექტურ კონტექსტში ვრცელდებოდა. ის გარემოებაც აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას ჰქონდა საშუალება, თანამგზავრული სისტემის მეშვეობით ესარგებლა იმ ტელევიზიების მაუწყებლობით, რომლებიც მათ მშობლიურ ან რუსულ ენაზე მაუწყებლობდნენ (სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი, თურქულენოვანი და რუსულენოვანი არხები). მსგავსი არჩევანი მეტ-ნაკლებად ასევე განპირობებული იყო ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფოს ენის არცოდნით ან ცოდნის დაბალი ხარისხით.

ქართული სატელევიზიო არხების რეიტინგის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის ხარისხის გაზრდა შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაში ქართული სატელევიზიო არხები მეტ-ნაკლებად მაინც შეძლებენ ეროვნულ უმცირესობებში პოპულარობის მოპოვებას, თუმცა ცენტრალურ და ადგილობრივ სატელევიზიო არხებს უახლოეს ათწლეულში, ალბათ, მაინც გაუჭირდებათ, კონკურენცია გაუწიონ რუსულენოვან, სომხურენოვან თუ აზერბაიჯანულენოვან ტელევიზიებს.

ცენტრალური ტელეარხების გარდა, სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი ტელეარხებიც მაუწყებლობდნენ, რომელთა გავრცელების არეალი მხოლოდ ამ რეგიონებით შემოიფარგლებოდა. ზოგადად, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მედიის განვითარების დონე დაბალი იყო. საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით ადგილობრივი მასმედიის განვითარებისათვის პროექტები განხორციელდა, მაგრამ მათ უმრავლესობას რეგიონში ფინანსური თუ სხვა სახის პრობლემების გამო დამოუკიდებლად მუშაობისა და განვითარების საშუალება არ ჰქონდა.

რეგიონული ტელევიზიების განვითარების კუთხით რეგიონული ცენტრის ტელევიზიები უფრო განვითარებული იყო, ვიდრე რაიონული. სამცხე-ჯავახეთში ფუნქციობდა “ატვ 12“ და “ფარვანა ტვ“,

ქვემო ქართლში – “მარნეული ტვ“. მიუხედავად იმისა, რომ მათ უმრავლესობას ლიცენზია მაუწყებლობაზე არ ჰქონდა, ხელისუფლება თვალს ხუჭავდა ამ საკითხზე.

ადგილობრივი ტელევიზიები მხარდაჭერას ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციების (მათ შორის, ეუთო, ევროკავშირი) მიერ გაცემული გრანტებით განხორციელებული პროექტების სახით იღებდნენ. ბიზნესის მხრიდან რეგიონული ტელევიზიების ფლობისადმი ნაკლები ინტერესისა და მწირი სარეკლამო ბაზრის გამო ადგილობრივი ტელევიზიები და სხვა მედიასაშუალებები ფინანსურად მდგრადები არ იყვნენ. მოკრძალებული ფინანსური რესურსები ადამიანური რესურსებისა და კადრების კვალიფიკაციის დეფიციტსაც განაპირობებდა.

ადგილობრივი ხელისუფლება ნაწილობრივ ზრუნავდა ადგილობრივი მედიასაშუალებების ფინანსურ მხარდაჭერაზე, თუმცა ის თანხები, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტით იყო გამოყოფილი, მეტად მცირე იყო. მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებით ახალციხისა და ახალქალაქის ტელევიზიები თარგმნიდნენ სამაუწყებლო ტელეკომპანიების – “რუსთავი 2“-ისა და “იმედის“ საინფორმაციო გადაცემებს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა კრიტიკულად აფასებდა თარგმანის ხარისხს, ამ საინფორმაციო რესურსს მაინც დადებითად აფასებდნენ. ადგილობრივი ტელევიზიები შედარებით აქტიურდებოდნენ წინასაარჩევნო პერიოდებში, ეს პროცესიც, როგორც წესი, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იყო ინიცირებული. თუმცა, ის ფაქტი, რომ ადგილობრივ ტელევიზიებს შეეძლოთ დაფინანსების არსებობის პირობებში შეექმნათ საკუთარი პროდუქტი, მიუთითებდა იმაზე, რომ ადგილებზე არსებობდა საინფორმაციო რესურსი.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში არსებული დემოგრაფიული ვითარება მედიაორგანიზაციების ენობრივ დაყოფაზე ახდენდა გავლენას. ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში მედია ძირითადად სომხურენოვანი იყო. რაც შეეხება ქვემო ქართლს, აქ, ამ მხრივ, უფრო რთული ვითარება იყო და აზერბაიჯანულენოვანი მედია ფაქტობრივად არ არსებობდა. სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი მედიასაშუალებები ქართულ-აზერბაიჯანულ ან ქართულ-რუსულ ენებზე გამოდიოდა (მარნეული, წალკა). ქვემო ქართლში მედიაორგანიზაციები ყველაზე მეტად მარნეულში იყვნენ წარმოდგენილნი. ეს მეტწილად იმით იყო განპირობებული, რომ მარნეულში, ქვემო ქართლის სხვა რაიონებისაგან განსხვავებით, ფუნქციონებდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი მოსაზრებების გავრცელების ერთ-ერთ ფორმად გაზეთების გამოშვებას მიიჩნევდნენ.

ექსპერტთა აზრით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა საინფორმაციო არხები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იყო ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობის დონის ამაღლება, პროცესები არ იყო სისტემური და უმეტეს შემთხვევაში ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა.

სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში კვლავაც მიუწევდომელია ქართული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია და ისინი ძირითადად მეზობელი ქვეყნების საინფორმაციო საშუალებებით სარგებლობენ, რაც ეროვნულ უმცირესობებში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას იწვევს. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ მრავალი ფაქტორი: სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნა, მედიასაშუალებების არასაკმარისი დაფარვის არეალი, გადაცემების ხარისხი და სხვა ტექნოლოგიური ხარვეზები.

მედია და ტოლერანტობა

საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან ეთნიკური უმცირესობების საკითხისადმი ყურადღების აღმნიშვნელი ფაქტია “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2006 წელს მიღებული ქვევის კოდექსი, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიზანია, “სრულფასოვნად და სამართლიანად გააშუქოს საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხი და კულტურა, პატივი სცეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.” თუმცა, ეს კოდექსი არ ვრცელდება მთლიანად ქართულ მედიაზე, რომელიც ხშირად ეთნიკური შუღლის ენას იყენებს თავის რეპორტაჟებში, რაც ეთნიკური უმცირესობებისადმი სტერეოტიპული და ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ან უკვე არსებულის განმტკიცებას უწყობს ხელს.

გარდა ამისა, “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ეთერში საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნების წარმოდგენის მიზნით შექმნილი იყო რვა საზოგადოებრივი საბჭო, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების საბჭო (შექმნა 2006 წელს). საბჭო შეისწავლიდა საზოგადოებისათვის აქტუალურ, პრობლემურ საკითხებს თავისი საქმიანობის სფეროს მიხედვით და შეიმუშავებდა რეკომენდაციებს “საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის”. თუმცა, რეალურად საბჭო გავლენას ვერ ახდენდა პოლიტიკის ფორმირებაზე.

უმცირესობების თემების გაშუქებისას ხშირი იყო დისკრიმინაციული, შეურაცხყოფილი და ქსენოფობიური ტერმინოლოგიის გამოყენება. გაშუქების თვალსაზრისით მედია უმცირესობებს უმეტესად ყურადღებას მაშინ უთმობდა, როდესაც კონფლიქტი ან კრიმინალი ხდებოდა, რელიგიური ან ეთნიკური დღესასწაული იმართებოდა, რომელსაც სახელმწიფოს ლიდერები ესწრებოდნენ. მედიასაშუალებებიდან ქსენოფობიური და შეურაცხყოფილი განცხადებებით უფრო ბეჭდვითი მედია გამოირჩეოდა, რომელიც აგრძელებდა ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში სტერეოტიპების გავრცელებას და კანონდამრღვევის ან ექვმიტანილზე საუბრისას მათ ეთნიკურ წარმომავლობას უსვამდა ხაზს.

მედია მონიტორინგის თვალსაზრისით შეიმჩნეოდა ცალკეული პოზიტიური მოვლენები, რამაც ქართულ მედიაში ძირითადი ტენდენციების გამოვლენის შესაძლებლობა შექმნა. მედიის განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართული მედია ნაკლებად აშუქებდა უმცირესობების თემატიკას და რასაც აშუქებდა, მეტწილად, სტანდარტების დარღვევით. მედიის განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, უმცირესობების თემა უფრო ხშირად გაზეთებში შუქდებოდა, ვიდრე ტელევიზიებში, შესაბამისად, გაზეთებში უფრო ხშირად გვხვდებოდა დისკრიმინაციული გამონათქვამები და არასწორი მიდგომა აღნიშნული თემის მიმართ.

პოზიტიური მოვლენა იყო, როდესაც 2009 წლის დეკემბერში 139-მა ჟურნალისტმა ხელმოწერით დაადასტურა, რომ დაიცავს პროფესიული ქცევის საერთო სტანდარტებს და ამავე ხელმოწერით ყველა მათგანი გახდა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრი და დამფუძნებელი. მრავალფეროვნების გაშუქებისას ჟურნალისტმა განსაკუთრებით უნდა დაიცვას ქარტიის მე-7 და მე-10 პრინციპები. მათ შორის მე-7 პრინციპი ამბობს: ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული/ეთნიკური და სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით. ჟურნალისტების მხრიდან თვითრეგულირების მექანიზმის შექმნა პოზიტიური მოვლენა იყო, რამაც საბოლოო ჯამში ხელი უნდა შეუწყოს სიძულვილის ენის გამოყენების შემცირებას, მაგრამ სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში მასში არ იყო გაწევიანებული ჟურნალისტების დიდი ნაწილი და მისი გავლენის ბერკეტებიც საკმაოდ სუსტი იყო.

ძირითადი დასკვნები

შემწყწარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმაში მედიისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით ხუთი ამოცანაა ჩამოყალიბებული.

1. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნული მაუწყებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

სამოქმედო გეგმის პირველ ამოცანასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, რათა შესაძლებელი გამხდარიყო საქართველოს რეგიონებში, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამების ტრანსლაცია. ამის მიუხედავად, საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამები ყველგან არ ვრცელდებოდა. თუმცა ამ საკითხის მოგვარება 2015 წლიდან იქნება შესაძლებელი, როდესაც სატელევიზიო მაუწყებლობა ციფრულ სისტემაზე გადავა.

2. ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

სამოქმედო გეგმის მეორე ამოცანასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესშივე სახელმწიფო ცდილობდა, გაეუმჯობესებინა ხელმისაწვდომობა სამაუწყებლო პროგრამებზე, მაგრამ ამ მცდელობების მიუხედავად, აღნიშნული გადაცემების რეიტინგი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში დაბალი იყო, რაც ამ მიზნის მისაღწევად სხვა ტიპისა და მასშტაბის ღონისძიებების დაგეგმვას მოითხოვს.

3. სამაუწყებლო პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების გაშუქებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა

მიუხედავად იმისა, რომ “ჩვენი ეზო” წარმოადგენს პოზიტიურ გადაცემას, მედიის ზოგიერთ ექსპერტი მაინც აკრიტიკებს მას და ამბობს, რომ ერჩიათ ეთნიკური უმცირესობები ენახათ ყოველდღიურ პროგრამებში ქართველ მოსახლეობასთან. შოუში პერიოდულად ხაზგასმულია ისეთი თემები, რომლებიც აძლიერებს ეთნიკური უმცირესობების მიმართ სტერეოტიპებს.

4. ეთნიკური უმცირესობების ენებზე ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსგან დახმარებას იღებდა ორი ყველაზე დიდი ეროვნული უმცირესობის ბეჭდვითი გამოცემა, მათი აუდიტორიაც მცირე იყო და მსგავსი ფორმით დაფინანსებაც – ნაკლებად ეფექტური. რეალურად მსგავსი ღონისძიებები სამოქმედო გეგმით დასახული მიზნის მიღწევას ნაკლებად ემსახურებოდა და სასურველია ამ საკითხზე მომავალში განსხვავებული მიდგომა ჩამოყალიბდეს.

5. მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა

ამ მხრივ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები მოკრძალებული იყო. რაც განხორციელდა (დოკუმენტური ფილმების ციკლი “მრავალეროვანი საქართველო”, საავტორო გადაცემა “ჩვენი საქართველო”), პოზიტიური იყო, მაგრამ დასახული მიზანი აშკარად გაცილებით უფრო მასშტაბიანი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა და არა პერიოდულ ნაბიჯებს.

პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა

არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა

ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციისა და პოლიტიკური ჩართულობის თვალსაზრისით საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა ზოგადი დებულებებით შემოიფარგლება. მნიშვნელოვანია კონსტიტუციური დებულებები თანასწორობასთან დაკავშირებით. კონსტიტუცია უზრუნველყოფს მოქალაქეთა თანასწორობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა (მუხლი 38). იგივე მუხლი უფლებას ანიჭებს მოქალაქეებს, დისკრიმინაციისა და ყოველგვარი ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ. ამას გარდა, კონსტიტუცია აცხადებს, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა (მუხლი 14).

პოლიტიკური მონაწილეობის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციისა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანული კანონის შესაბამისი დებულებები. კონსტიტუციის მიხედვით, ყველა მოქალაქეს აქვს უფლება საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება, ასევე, მოქალაქეებს აქვთ უფლება, შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში (მუხლი 26). ორგანული კანონი ამასთანავე კრძალავს პარტიის წევრობის შეზღუდვას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (მუხლი 11). ამავე დროს, ორგანული

კანონი დაუშვებლად აცხადებს პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციას რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით (მუხლი 6). აღნიშნული დებულება გამიზნულია ადგილობრივ დონეზე სეპარატისტული მოძრაობების აღკვეთისაკენ, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ეროვნული/ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად არიან წარმოდგენილი.

ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობის და ჩართულობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ყველაზე მკაფიო დებულებებით გამოირჩევა შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, ნაწილი ამ ნორმებისა სავალდებულოა, ნაწილს კი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია. კერძოდ, აღსანიშნავია ევროსაბჭოს, გაერო-ს და ეუთო-ს კონვენციები, დეკლარაციები და რეკომენდაციები.

ევროსაბჭოს კონვენციებს შორის უმნიშვნელოვანესია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია. ეს ერთადერთი იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტია, რომელიც ხელმომწერ სახელმწიფოებს (მათ შორის, საქართველოს) ავალდებულებს, რათა მათ მიიღონ ადეკვატური ზომები ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობისათვის (მუხლი 4). მონაწილე მხარეებმა ასევე უნდა უზრუნველყონ ეროვნულ უმცირესობათა მშვიდობიანი შეკრების, გაერთიანების, გამოხატვის და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება (მუხლი 7).⁴⁹

გაერო-ს ეგიდით მიღებულ დოკუმენტებს შორის აღსანიშნავია დეკლარაცია ეროვნული ან ეთნიკური და ლინგვისტური უმცირესობებისადმი მიკუთვნებულ პირთა უფლებების შესახებ, რომლის მიხედვითაც უმცირესობებს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ კულტურულ, რელიგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დეკლარაცია ასევე ამახვილებს ყურადღებას უმცირესობების მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების აუცილებლობასა და საკუთარი გაერთიანებების ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე (მუხლი 2).

მართალია, ამ დეკლარაციას არ აქვს იურიდიული ვალდებულებების დაკისრების უფლებამოსილება, თუმცა ის მნიშვნელოვან პოლიტიკურ და მორალურ ვალდებულებას აკისრებს გაერო-ს წევრ სახელმწიფოებს.⁵⁰

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტია ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ეგიდით შემუშავებული თემატური რეკომენდაციები, რომელთაც ასევე იურიდიულად არასავალდებულო ხასიათი გააჩნია, თუმცა ეუთო-ს წევრი სახელმწიფოებისათვის პოლიტიკური თვალსაზრისით სავალდებულოა და მნიშვნელოვანი ნორმატიული ბერკეტის როლს ასრულებს იმ სახელმწიფოთათვის, რომელთაც ევროკავშირში გაწევრიანება სურთ. ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური და საზოგადოებრივი მონაწილეობის თვალსაზრისით აქტუალურია ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნულ უმცირესობათა ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით (1999).

ლუნდის რეკომენდაციები აქცენტს აკეთებს ეთნიკური უმცირესობების მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღებაზე, რეკომენდაციები ასევე ეხება თვითმმართველობის საკითხებს, ანუ სახელმწიფოში დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების გადაჭრას ეროვნულ უმცირესობათა სპეციფიკის გათვალისწინებით.⁵¹

ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია "ლუბლიანას სახელმძღვანელო პრინციპები ეთნიკურად მრავალფეროვანი საზოგადოებების ინტეგრაციის შესახებ"⁵², რომელიც 2012 წლის ნოემბერში შეიმუშავეს. დოკუმენტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ეუთო-ს წევრი სახელმწიფოებისათვის შექმნილ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც უკავშირდება უმცირესობათა ეფექტური მონაწილეობის გაძლიერებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მონაწილეობა საჯარო ურთიერთობებში და პოლიტიკური ჩართულობა; სოციალური და ეკონომიკური მონაწილეობა და მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში. სახელმძღვანელო პრინციპებში დეტალურად არის გაწერილი ის ზომები, რომელთა გატარების შემთხვევაში სახელმწიფოები უზრუნველყოფენ უმცირესობათა ეფექტურ ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სახელმძღვანელო პრინციპებში ასევე გათვალისწინებულია

⁴⁹ კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა 1995 წელს, საქართველოში ის ძალაში შევიდა 2006 წლის 1 აპრილს.

⁵⁰ დეკლარაცია გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ 1992 წლის 18 დეკემბერს მიიღო.

⁵¹ The Lund Recommendations on the Effective Participation of National Minorities in Public Life, OSCE HCNM, 1999.

⁵² The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies, OSCE HCNM, November 2012.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის და დეცენტრალიზაციის საკითხები, როგორც უმცირესობათა მონაწილეობის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება.

პოლიტიკური ინტეგრაციისა და სამოქალაქო მონაწილეობის მიმართულების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი/შეფასება

ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია მიმართულია ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებისაკენ. მიუხედავად ამისა, მის ერთ-ერთ ხარვეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მასში გათვალისწინებული არ არის ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და კონცეფციის ის ნაწილი, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციას და პოლიტიკურ მონაწილეობას ეხება, არ ეფუძნება არც საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებას (ჩარჩო კონვენცია), არც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ამ სფეროში მიღებულ სარეკომენდაციო ხასიათის, თუმცა ინტეგრაციის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს.

ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციაში ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციისა და პოლიტიკური მონაწილეობის გასაძლიერებლად ძირითადად სამი სახის აქტივობაა გამოყოფილი, ესენია:

1. ეთნიკური უმცირესობებისათვის თანაბარი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფა;
2. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის გაუმჯობესება;
3. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის პოპულარიზაცია.

ეთნიკური უმცირესობებისათვის თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფა

ამ ამოცანის მისაღწევად სახელმწიფო პოლიტიკა, ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ძირითადად მიმართული იყო ეთნიკური უმცირესობების ცნობიერების ამაღლების, თანასწორი საარჩევნო უფლებების უზრუნველყოფისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის გაძლიერებისაკენ. მთავარი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში აღნიშნული მიმართულებით ახორციელებს საქმიანობას, არის ცენტრალური საარჩევნო კომისია. დღევანდელი მდგომარეობით ჩატარებულია შემდეგი სახის საქმიანობა:

ა) პოლიტიკის შემუშავება

ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების, საარჩევნო პროცესებში მათი ჩართვის და ზოგადად ეროვნულ უმცირესობათა მიმართ პოლიტიკის შემუშავების მიზნით 2011 წლიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ფუნქციობს კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტი, ასევე 2012 წლის მაისში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული არიან სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციები, სულ 19 სუბიექტი, რომლებიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას კონსულტაციებს უწევენ პოლიტიკის და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვის თვალსაზრისით.

სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა 2012 წლის სამოქმედო გეგმა, ასევე გრძელვადიანი 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ აქტივობებს: ეთნიკური უმცირესობების თანასწორი საარჩევნო უფლებების უზრუნველყოფა; ახალგაზრდა ამომრჩეველთა ინფორმირება და საარჩევნო პროცესებში ჩართულობა, ქალ ამომრჩეველთა ინფორმირება და საარჩევნო პროცესებში ჩართულობა; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესებში მონაწილეობა და ამ

პროცესის ხელშეწყობა; ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენებზე საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმნა; ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა ინფორმირება მედიის საშუალებით.⁵³

ბ) ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება

ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით ყოველი არჩევნების წინ ცენტრალური საარჩევნო კომისია თარგმნის და გამოსცემს შესაბამის საარჩევნო მასალებს ეროვნულ უმცირესობათა ენებზე (ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე).

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მომზადდა შემდეგი სახის ლიტერატურა: ამომრჩეველთა სამახსოვრო ფლაერი; საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო; კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია; კომისიის წევრთა სამახსოვრო ინსტრუქცია; საუბნო საარჩევნო კომისიაში კედელზე გამოსაკრავი, კენჭისყრის შენობისა და პროცედურების ამსახველი პოსტერი.

ამავე დროს ითარგმნა საარჩევნო ბიულეტენები, ამომრჩეველთა ერთიანი სია, ბიულეტენის შევსების წესი და შშმპ ამომრჩეველთა კენჭისყრის უბანზე მოპყრობის შესახებ ინსტრუქცია.

ეროვნულ უმცირესობათა ინფორმირების მიზნით მომზადდა ასევე ვიდეორგოლები უმცირესობათა ენებზე, რომლის ჩვენებაც ხდება ექვსი ადგილობრივი ტელევიზიის მეშვეობით. ცესკო-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და ფეისბუქის გვერდზე განთავსდა ბანერი “ეთნიკური უმცირესობები”, სადაც ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხური და აზერბაიჯანული) განთავსდა ინფორმაცია საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

გ) საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციის ამაღლება

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებულ ყველა წევრს ეროვნულ უმცირესობათა თემებიდან. ასევე ცესკო-ს ცხელი ხაზის სამსახურში დასაქმდნენ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ოპერატორები, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში პასუხობენ ზარებს ეროვნულ უმცირესობათა რეგიონებიდან საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

დ) გრანტები სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებისათვის

2008 წლიდან ცენტრალური საარჩევნო კომისია გასცემს მცირე გრანტებს არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ეროვნულ უმცირესობათა ცნობიერების ამაღლების და მათი პოლიტიკური ჩართულობის გაზრდის მიზნით. 2013 წელს საგრანტო პროგრამის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი, ქისტი მოსახლეობა და ბოშათა თემი. განხორციელებული პროექტების გეოგრაფიული არეალი შემდეგ დასახლებებს მოიცავს: სამცხე-ჯავახეთი (ასპინძის, ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხის, ნინოწმინდის და ბორჯომის მუნიციპალიტეტები), ქვემო ქართლი (მარნეულის, გარდაბნის, წალკის, ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტები), შიდა ქართლი (გორის მუნიციპალიტეტი), კახეთი (თელავის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, გურჯაანის და სიღნაღის მუნიციპალიტეტები), გურია (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).

2013 წელს სულ დაფინანსდა 14 საპროექტო განაცხადი. დაფინანსებულია როგორც ეროვნულ უმცირესობათა არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე უმცირესობათა თემატიკაზე მომუშავე სხვა ორგანიზაციები.⁵⁴

კვლევის პროცესში ჩატარებული კონსულტაციების და ფოკუსჯგუფების დისკუსიების დროს აღინიშნა, რომ ეროვნულ უმცირესობათა მხრიდან საარჩევნო და ხმის მიცემის პროცედურების ცოდნის დონე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, განსაკუთრებით საარჩევნო ბიულეტენების და სხვადასხვა საარჩევნო ლიტერატურის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნის ხარჯზე, თუმცა ინფორმირების შედეგად

⁵³ ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული საქმიანობის ანგარიში, ცესკო, 2012.

⁵⁴ ინფორმაცია ცესკო-ს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ მოპოვებულია ცესკო-ს კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტის და რეგიონული წარმომადგენლობების თანამშრომლებთან კონსულტაციის შედეგად და ცესკო-ს ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

არჩევანის გაკეთების თვალსაზრისით მოსახლეობის ცნობიერების დონე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში კვლავინდებურად დაბალია. მცირე გრანტების პროგრამა, რომელსაც ცესკო-ს დაფინანსებით არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ, საკმარისი აქტივობა არ არის აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად. ჩატარებულმა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ განხორციელებული პროექტები ლოკალური ხასიათისაა და მოიცავს მხოლოდ ბენეფიციართა შეზღუდულ წრეს. მოსახლეობის ფართო მასები, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას ასეთი საგრანტო კომპონენტის შესახებ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციის დონე ცესკო-ს მიერ ჩატარებული ტრენინგების პროგრამების შედეგად, ასევე აღსანიშნავია, რომ ეროვნულ უმცირესობათა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში თავად უმცირესობები წარმოდგენენ საარჩევნო კომისიის შემადგენლობას, მათ შორის თავმჯდომარეების დონეზე. ამის მიუხედავად, ხშირია საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან არაკომპეტენტურობის გამოვლინებაც და საარჩევნო კომისიის წევრთა მხრიდან კომპეტენციების აღრევაც, თუმცა, არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ ტრენინგების პროგრამის გაგრძელების შემთხვევაში ხარვეზები და საარჩევნო კომისიების წევრთა არაკომპეტენტურობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის გაუმჯობესება

აღნიშნული მიმართულება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაციის და მონაწილეობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, თუმცა ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, თუ კონკრეტულად რა სახის ღონისძიებები გატარდება ამ მიზნის მისაღწევად. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობას ეროვნულ კონცეფციაში მხოლოდ ზოგადი დატვირთვა აქვს და არ გამოხატავს მკაფიო სახელმწიფოებრივ ხედვას ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, კონკრეტული აქტივობები არ არის მიზნული “ეროვნულ უმცირესობათა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაუმჯობესების” მიმართულებასთან.

ეროვნულ კონცეფციაში ასევე არ არის განმარტებული, ეთნიკური უმცირესობების მხრიდან კონკრეტულად რა სახის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა იგულისხმება, თუმცა, სავარაუდოდ, ამ თვალსაზრისით კონცეფციის მიზანი მდგომარეობს ეთნიკური უმცირესობების გააქტიურებაში ადგილობრივ და ცენტრალურ მმართველობით დონეებზე პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენაში. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, კონცეფციაში მთავარი აქცენტი გაკეთებულია ეროვნულ უმცირესობათა პროფესიული კომპეტენციის ამაღლებაზე, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს მათი ეფექტურობის გაზრდა მმართველობით ორგანოებში მონაწილეობის დროს, თუმცა კონკრეტული აქტივობა გათვალისწინებულია მხოლოდ პროფესიული განვითარების კუთხით. წარმოდგენილ კვლევაში განხილულია სწორედ ეს მიმართულება და ასევე წარმოდგენილია ეროვნულ უმცირესობათა მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ხარისხი და მათი პოლიტიკური ჩართულობის ამჟამინდელი მდგომარეობა.

1. ეროვნულ უმცირესობათა ადმინისტრაციული კადრების განვითარება

ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების თვალსაზრისით ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება, რაც გათვალისწინებული იყო შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმაში, არის ეროვნულ უმცირესობათა შესაძლებლობების ამაღლება საჯარო ადმინისტრირების სფეროში. ეს მიმართულება ითვალისწინებს სახელმწიფო სტრუქტურებში, განსაკუთრებით ადგილობრივ თვითმმართველობებში, დასაქმებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიერ მართვის და საჯარო ადმინისტრირების უნარ-ჩვევების შეძენას სპეციალიზებული სასწავლო კურსების შეთავაზების გზით.

მთავარი ინსტიტუტი, რომელიც უფლებამოსილია, აღნიშნულ სფეროში გააძლიეროს ეთნიკური უმცირესობები, არის ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლა, რომელიც 2006 წლიდან ფუნქციონირებს ქუთაისში. სკოლა არის ერთ-ერთი ყველაზე კარგად აღჭურვილი სახელმწიფო სასწავლო

დაწესებულება, მისი წლიური ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 500 ათას ლარს. ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლას გააჩნია კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალ დონეზე აღჭურვილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასადილო, საერთო საცხოვრებელი.

სკოლის პროფილი მნიშვნელოვნად შეიცვალა 2010 წლის შემდეგ. 2010 წლამდე სასწავლო პროგრამა ძირითადად ორიენტირებული იყო ეროვნულ უმცირესობათა რეგიონებიდან ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებულთა გადამზადებაზე, 2010 წლიდან კი სკოლა გაერთიანდა რეგიონულ ენების სახლებთან და უმეტესად დაკავებულია ეროვნულ უმცირესობათა რეგიონებიდან საჯარო სკოლების დირექტორების და მასწავლებლებისათვის ქართული ენის სწავლებით.

სკოლის ადმინისტრაციას მომზადებული აქვს სასწავლო პროგრამა ახალი სასწავლო სემესტრისათვის, თუმცა ის ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რაც აფერხებს სასწავლო პროცესის დაწყებას. ახალი სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი სახის სწავლებას: 1) ქართული ენის 10-თვიანი პროგრამა, რომელიც განხორციელდება ქართული ენის რეგიონულ ცენტრებში, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლებისათვის, ისე ნებისმიერი დაინტერესებული მოქალაქისათვის, 2) საჯარო მოხელეთა ენობრივი კვალიფიკაციის ამაღლების 4-კვირიანი პროგრამა, რომელიც განხორციელდება ქუთაისში მხოლოდ საჯარო მოხელეთათვის. პროგრამას გააჩნია სამი მოდული: წერა და მეტყველება ქართულ ენაზე, ინფორმაციის საფუძვლები, პოლიტიკის საფუძვლები, 3) ადგილობრივი თვითმმართველობების უმცროსი საჯარო თანამდებობის მოხელეთა საბაზო კვალიფიკაციის ამაღლების 8-კვირიანი პროგრამა, რომელიც განხორციელდება ქუთაისში. პროგრამა დაყოფილია 5 მოდულად: საჯარო სამსახურის საფუძვლები; ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის ორგანიზაციული საფუძვლები; ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის ფინანსური და მატერიალური საფუძვლები; საინფორმაციო ტექნოლოგიები სახელმწიფო მართვის სისტემებში; ინფორმაციის საფუძვლები.⁵⁵

ახალციხესა და ახალქალაქში ჩატარებული ფოკუს-გუგუფების და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ინდივიდუალური შეხვედრების შედეგად გამოვლინდა, რომ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და თვითმმართველობები კარგად იცნობენ აღნიშნულ სკოლას და მას განიხილავენ, როგორც რეალურ რესურსს ადგილობრივი კადრების მოსამზადებლად. ამავე დროს, ზოგად უკმაყოფილებას იწვევს არსებული გაურკვეველობა სკოლის ამჟამინდელ სტატუსთან დაკავშირებით.⁵⁶

ეროვნულ უმცირესობათა პროფესიული განვითარება

ეროვნულ უმცირესობათა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვან აქტივობას წარმოადგენს ახალციხესა და სოფელ კაჭრეთში (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) პროფესიული განვითარების კოლეჯების არსებობა. ორივე კოლეჯი ორიენტირებულია ზრდასრულთა პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაზე.

ა) სსიპ ახალციხის პროფესიული კოლეჯი "ოპიზარი"

კოლეჯი გაიხსნა 2007 წელს, სასწავლო კორპუსი რეაბილიტირებული იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, კოლეჯს ასევე მხარს უჭერს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია და ფონდი, კერძოდ: გაერო-ს განვითარების ფონდი, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, დიდი ბრიტანეთის საელჩო, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვები. სასწავლებელი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, ფუნქციობს ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, სასტუმრო, სასადილო, სამედიცინო ოთახი. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის არსებობს საჯარო სახელოსნოები, ლაბორატორიები, კლას-კაბინეტები. სასწავლებელში არსებობს სველი წერტილები, ცივი და ცხელი წყალი.

⁵⁵ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა – ადგილობრივი თვითმმართველობის უმცროსი საჯარო თანამდებობის საჯარო მოხელეთა საბაზო კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, ქუთაისი, 2013.

⁵⁶ ინფორმაცია სკოლის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ მოპოვებულია სკოლის დირექტორებთან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად.

2013 წლის სექტემბრიდან კოლეჯი ამზადებს 16 დასახელების სხვადასხვა სპეციალისტს, კერძოდ: დურგალს, მეფილე-მომპირკეთებელს, ელექტრიკოსს, შემდუღებელს, ავტომობილის ზეინკალს, სავალი ნაწილის ტექნიკოსს, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტს, ხილ-ბოსტნეულის პირველად გადამამუშავებელს, ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტს (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სხვ.), სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტს, აგრარული ტექნიკის მექანიკოსს, მზარეულს, სარესტორნო საქმის მწარმოებელს, კონდიტერს, მცენარეების (სამკურნალო, არომატული) დამამზადებელს, ბუღალტერს. კოლეჯში არსებობს ასევე ფასიანი, მოკლევადიანი კურსები.

ბ) საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი" (სოფელი კაჭრეთი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი)

საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი" მრავალფეროვან პროფესიულ განათლებას სთავაზობს სტუდენტებსა და მსმენელებს. ამჟამად კოლეჯში ამზადებენ 21 დასახელების სხვადასხვა სპეციალისტს, კერძოდ: მზარეულს, დურგალს, ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტს, მეფუტკრეს, მევენახეს, ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელს, გიდს, ტუროპერატორს, სასტუმროს საქმის მწარმოებელს, ელექტრიკოსს, მეფილე-მომპირკეთებელს, კალატოხს, სავალი ნაწილის ტექნიკოსს, მრავის შემკეთებელს, ტრაქტორისტ-მემანქანეს, კომპიუტერული ქსელების და სისტემების ტექნიკოსს, ექთნის თანაშემწეს, თექის ხელოსანს, დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტს, მეღვინეს, მევენახეს, ფარმაცევტის თანაშემწეს.


ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ორივე აღნიშნული მიმართულება – ადმინისტრაციულ სფეროში უმცირესობათა მომზადება და უმცირესობათა პროფესიული განვითარება – სპონტანურად მიმდინარეობს და არ არის გათვლილი გრძელვადიან შედეგზე. ადმინისტრაციული შესაძლებლობების ამაღლების თვალსაზრისით, ეს გამოიხატება მართვის კომპონენტის გაუქმებაში ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლაში და ახალი სასწავლო პროგრამის დამტკიცების გაჭიანურებაში. ამავე დროს, სკოლის ადმინისტრაციაში არ არიან ადგილობრივი თვითმმართველობის და საჯარო ადმინისტრაციის ექსპერტები და სპეციალისტები, რომლებიც შეძლებდნენ სასწავლო პროგრამის დახვეწას და მისადაგებას ეროვნულ უმცირესობათა საჭიროებებთან.

რაც შეეხება პროფესიული განვითარების კოლეჯებს, მიუხედავად მათი გამართული მუშაობისა და სწავლების მრავალფეროვანი სისტემის შეთავაზებისა, ეს კოლეჯები რეალურად არ წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის და მათი შესაძლებლობების ამაღლების ზოგადი პოლიტიკის ნაწილს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ორივე კოლეჯი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მდებარეობს, არც ერთი მათგანი არ არის ორიენტირებული უმცირესობათა თემებიდან მსმენელების მოზიდვასა და მათთვის სასწავლო პროგრამების შეთავაზებაზე. მაგალითად, ახალციხის პროფესიული განვითარების კოლეჯში მსმენელების აბსოლუტური უმრავლესობა რეგიონის უმეტესად ქართულენოვანი მუნიციპალიტეტებიდანაა: 2013 წლის მონაცემებით, კოლეჯში ჩაირიცხა 552 მსმენელი, რომელთაგან ეთნიკურად არაქართველი არის 77. თუმცა, ახალქალაქიდან და ნინოწმინდიდან, ანუ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტებიდან დარეგისტრირდა სულ 15 მსმენელი. ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში კოლეჯის შესახებ ინფორმაციის სიმცირე დადასტურდა ასევე ახალქალაქში ჩატარებული ფოკუსჯგუფის შეხვედრის დროს, რომლის მონაწილე 12 ადგილობრივი წარმომადგენლიდან არც ერთი არ იყო ინფორმირებული კოლეჯის არსებობის შესახებ. ანალოგიური სიტუაციაა კაჭრეთის პროფესიული განვითარების კოლეჯში, სადაც ამჟამად ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთა რაოდენობა ძალზე შეზღუდულია, ახალციხის მსგავსად, არც კახეთის რეგიონის ეროვნულ უმცირესობათა თემების უმეტესობაა ინფორმირებული აღნიშნული პროფესიული კოლეჯის არსებობის შესახებ.

განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა და რეალური მონაწილეობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჯერ კიდევ მინიმალურია. შეფასებისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის მონაცემები საპარლამენტო და ადგილობრივი საკრებულოების დონეებზე. უკანასკნელი, 2012 წლის მოწვევის პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა სულ რვა წარმომადგენელია, წინა მოწვევის პარლამენტების ანალოგიურ მაჩვენებელს თუ გავითვალისწინებთ, დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება: 2008-2012 წლის მოწვევის პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა ექვსი წარმომადგენელი იყო, 2004-2008 წლის მოწვევის

დროს – თორმეტი, ხოლო 1999-2004 წლების მოწვევის პარლამენტში მათი რაოდენობა თექვსმეტს შეადგენდა.⁵⁷

ეთნიკური უმცირესობები საქართველოს პარლამენტში



საქართველოს პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა ასეთი მცირე დოზით წარმოდგენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია იმისა, რომ ცენტრალურ დონეზე ეთნიკური უმცირესობები თითქმის არ მონაწილეობენ საერთო ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ეთნიკური უმცირესობები არ არიან ჩართული საჯარო პოლიტიკურ პროცესებში. მინიმალურ დონეზეა დასული მათი წევრობა და აქტიური მოღვაწეობა ეროვნული მნიშვნელობის პოლიტიკურ პარტიებში. შესაბამისად, ეს აისახება ხოლმე წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიების მხრიდან თავიანთ პარტიულ სიებში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების იგნორირებაში. ასე მაგალითად, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარ პარტიულ სიებში სულ ეროვნულ უმცირესობათა 55 წარმომადგენელი გაითვალისწინეს. კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებიდან ყველაზე მეტი – რვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი – საკუთარ საარჩევნო სიაში “ერთიან ნაციონალურ მოძრაობას” ჰყავდა შეყვანილი, თუმცა პირველი მათ შორის 31-ე ნომრად, ხოლო დანარჩენები – 50-ე ნომრის შემდეგ. ანუ ე.წ. “გამსვლელი” ადგილები ეთნიკური უმცირესობებისათვის არ გაუთვალისწინებიათ. ამ თვალსაზრისით შედარებით უკეთესად გამოიყურებოდა რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო სია, რომელშიც ეროვნულ უმცირესობათა ხუთი წარმომადგენლიდან სამს შედარებით მაღალი საარჩევნო ნომერი ჰქონდა მინიჭებული – 9, 15 და 31.

უკანასკნელი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა პოლიტიკურ პარტიათა საარჩევნო სიებში შემდეგნაირი იყო: “ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” ეროვნულ უმცირესობათა 12 კანდიდატი გაითვალისწინა საარჩევნო სიაში (შვიდი აზერბაიჯანელი და ხუთი სომეხი), მათგან ყველაზე მაღალი საარჩევნო ნომერი იყო #39. კოალიცია “ქართულმა ოცნებამ” ეროვნულ უმცირესობათა ცხრა წარმომადგენელი ჩასვა საარჩევნო სიაში (ოთხი აზერბაიჯანელი, ორი სომეხი, ერთი ქურთი და ორი ოსი), რომელთაგან ყველაზე მაღალი საარჩევნო ადგილი ნომერ 35-ს ჰქონდა მინიჭებული.


ადგილობრივი საკრებულოების დონეზეც ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური წარმომადგენლობა მთელი ქვეყნის მასშტაბით მინიმალურია. როგორც 2006, ისე 2010 წლების ადგილობრივი არჩევნების შედეგად დაკომპლექტებული საკრებულოების შემადგენლობაში ეთნიკური უმცირესობები მათი განსახლების პროპორციების გათვალისწინებით ადეკვატური არ არის. დიდი ქალაქების საკრებულოებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ქობულეთი) ეთნიკური უმცირესობები საერთოდ არ არიან წარმოდგენილები.

⁵⁷ მონაცემები სხვადასხვა წლებში ეროვნულ უმცირესობათა საპარლამენტო წარმომადგენლობის შესახებ ეყრდნობა ცესკო-ს ოფიციალურ მონაცემებს.

უმცირესობათა წარმომადგენლობა დაფიქსირებულია მხოლოდ კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში. სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით, სომხები მათი პროცენტული რაოდენობის გათვალისწინებით ადეკვატური რაოდენობით არიან წარმოდგენილი ახალქალაქის, ნინოწმინდის, ახალციხის, წალკის და მარნეულის საკრებულოებში.

აზერბაიჯანელთა რაოდენობა მთელ ქვეყანაში აღემატება სომხებისას, თუმცა მათი წარმომადგენლობის დონე გაცილებით დაბალია. აზერბაიჯანელები, მათი რაოდენობის შესაბამისად, ადეკვატურად არიან წარმოდგენილი მხოლოდ გარდაბნის და მარნეულის მუნიციპალიტეტებში.⁵⁸

საკრებულოს წევრი ეროვნული უმცირესობები ქვემო ქართლში



გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის თვალსაზრისით სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში ჩატარებულმა ინდივიდუალურმა შეხვედრებმა და ფოკუსჯგუფების დისკუსიებმა შემდეგი სურათი გამოკვეთა: აღნიშნული სამი რეგიონიდან მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის სომხურენოვანი მუნიციპალიტეტების ოფიციალურმა წარმომადგენლებმა და არასამთავრობო სექტორის წევრებმა გამოხატეს მკვეთრად ნეგატიური შეფასება გასული წლების განმავლობაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით. კერძოდ, როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ასევე არასამთავრობო სექტორი მიიჩნევს, რომ გასული რამდენიმე წლის მანძილზე ადგილობრივი ხელისუფლების რეალური გავლენა რეგიონზე იყო მინიმალური, მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ სტრუქტურებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, რეგიონისათვის ყველაზე უმნიშვნელო საკითხებიც კი ცენტრალური ხელისუფლების გარეშე გადაეწყვიტათ.

მსგავსი შეფასებები არ ყოფილა ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, თუმცა ქვემო ქართლის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (ეთნიკური აზერბაიჯანელები) მიიჩნევენ, რომ აზერბაიჯანული თემი არასაკმარისად არის წარმოდგენილი რეგიონის მუნიციპალიტეტების მართვაში, მათ შორის აზერბაიჯანელებით ყველაზე მეტად დასახლებულ რაიონებშიც. კერძოდ, ეთნიკურ აზერბაიჯანელებს არასდროს ეკავათ გამგებლის თანამდებობა შესაბამის მუნიციპალიტეტებში, ისინი წარმოდგენილი არიან მხოლოდ ერთ-ერთი მოადგილის სახით. ასევე არასაკმარისია მათი რაოდენობა მმართველობის საშუალო რგოლში. აღნიშნული პრობლემა სახელდება, როგორც ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, ისე ქვემო ქართლის ცალკეული მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ, თუმცა მათი მხრიდან აზერბაიჯანულენოვანი კადრების სიმცირე აიხსნება იმ გარემოებით, რომ აზერბაიჯანულენოვან თემებში ძალიან მცირეა კვალიფიციური პროფესიული კადრები.

⁵⁸ მონაცემები ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის საკრებულოებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის შესახებ ეყრდნობა უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის (ECMI) მიერ ჩატარებულ მოკვლევას.

ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო და პოლიტიკური ცნობიერების შეფასებისათვის ასევე გამოდგება საარჩევნო შედეგები, უმცირესობათა საარჩევნო აქტიურობა და ხმის მიცემის ანალიზი. 1990-იანი წლებიდან დაწყებული, საქართველოში დამკვიდრებულია ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ეთნიკური უმცირესობების აბსოლუტური უმრავლესობა ნებისმიერი არჩევნების დროს მმართველი პარტიის სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში პოლიტიკური პროცესები და სამოქალაქო აქტივობა უკიდურესად შეზღუდულია. სტატისტიკურად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მუნიციპალიტეტებიდან მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმები 90%-ს აჭარბებს ხოლმე. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად პროგრესი და ცნობიერების ამაღლების ტენდენციები შეინიშნება უკანასკნელი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, როდესაც არც ერთ მუნიციპალიტეტში მმართველ პარტიას არ მიუღია 80%-იც კი.

არჩევნების შედეგები ეროვნულ უმცირესობათა მუნიციპალიტეტებში (2012)

მუნიციპალიტეტი	“ქართული ოცნება“	“ნაციონალური მოძრაობა“	სხვა	ამომრჩევლის აქტივობა
ახალქალაქი	21,29%	76,54%	2,17%	54,55%
ნინოწმინდა	17,13%	79,59%	3,28%	60,07%
წალკა	28,28%	67,82%	3,90%	35,59%
მარნეული	17,42%	78,91%	3,67%	43,98%
დმანისი	25,78%	69,83%	4,39%	53,47%
ბოლნისი	29,49%	66,99%	3,52%	48,44%
საერთო ეროვნული	54,97%	40,34%	4,69%	60,80%

სამოქალაქო და პოლიტიკური ცნობიერების მდგომარეობაზე მიუთითებს ასევე პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობა და აქტიურობა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. კვლევის პროცესში ჩატარებულმა კონსულტაციებმა და შეხვედრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სრულფასოვანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესები აღნიშნულ რეგიონებში არ მიმდინარეობს, რაც გამოიხატება პოლიტიკურ პარტიათა პასიურობით. პოლიტიკური პარტიები ეროვნულ უმცირესობათა მუნიციპალიტეტებში აქტიურდებიან და ოფისებს ხსნიან მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის პოპულარიზაცია

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ ჩარჩო კონვენციის შესახებ ეროვნულ უმცირესობათა თემები მეტწილად ინფორმირებულები არიან კომპაქტურად დასახლებულ ორივე რეგიონში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი). აღსანიშნავია, რომ გარკვეულ ინფორმაციას აღნიშნულ კონვენციის შესახებ ფლობენ როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე მოსახლეობა, მათ შორის, სოფლად. ფოკუსჯგუფებში შეხვედრების შედეგად გამოვლინდა, რომ ძირითადი ინფორმაციის წყარო, საიდანაც მოსახლეობა ინფორმაციას იღებს კონვენციის შესახებ, არის არა იმდენად სახელმწიფო სტრუქტურები, არამედ ადგილობრივი ტელევიზიები, პრესა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტები. რაც შეეხება სხვა რეგიონებს, მაგალითად, კახეთს, სადაც ეთნიკური უმცირესობები დისპერსულადაა წარმოდგენილი, კონვენციის შესახებ ინფორმირებულობის დონე მინიმალურია. კახეთის რეგიონში ჩატარებული ოთხი ფოკუსჯგუფის შედეგად დადასტურდა, რომ მოსახლეობის წარმომადგენლებს მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გააჩნდათ ადეკვატური ინფორმაცია ჩარჩო კონვენციის შესახებ. სხვა რეგიონებში მსგავსი გამოკითხვა არ ჩატარებულა, თუმცა, კახეთის მაგალითის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე იმ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები მნიშვნელოვანი რაოდენობით არ არიან წარმოდგენილნი, უკიდურესად დაბალი იქნება.

ეროვნულ კონცეფციაში ასახული არ არის ევროპის საბჭოს მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტის – რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის – პოპულარიზაციის საკითხები, თუმცა

მიმდინარე პერიოდში აღნიშნულმა ქარტიამ აქტუალობა შეიძინა, რადგან რეალურად დღის წესრიგში დადგა ქარტიის ხელმოწერის და რატიფიცირების საკითხი. შეფასების განხორციელებისას ეს საკითხიც იქნა გამოკვლეული. ფოკუსჯგუფებში დისკუსიების და ინდივიდუალური შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დამოკიდებულება ქარტიის მიმართ არაერთგვაროვანია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებსა და ქართულენოვან მოსახლეობაში. განსხვავებულად ხდება მისი ინტერპრეტაცია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების მხრიდან. განსაკუთრებული ინტერესი ქარტიის მიმართ შეინიშნება სამცხე-ჯავახეთში სომხური თემის მხრიდან, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ქარტიის მიღების და რატიფიცირების შემთხვევაში სომხური ენა მიიღებს რეგიონული ენის სტატუსს, რაც, მათი აზრით, რეგიონში სომხური ენისა და კულტურის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ქართულენოვან რეგიონებში ქარტიის შესახებ ინფორმირების დონე ძალზე დაბალია, თუმცა არსებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია ასევე არასათანადოდ ხდება. კერძოდ, გავრცელებული შეხედულებით, ქარტიის მიღების შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მეტი გასაქანი მიეცემა სეპარატისტულ მოძრაობებს და ეს საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ამავდროულად, ქარტია ხელს შეუწყობს დეზინტეგრაციულ პროცესებს თავად ეთნიკურად ქართულ საზოგადოებაში. კერძოდ, გავრცელებული მოსაზრებით, ქარტიით გათვალისწინებული დაცვის საშუალებები შესაძლოა გავრცელდეს მეგრულ და სვანურ ენებზეც, რაც ნეგატიურად აისახება ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ეფექტურ მუშაობაზე.

აღნიშნული მოსაზრებები ქარტიასთან დაკავშირებით როგორც ეროვნულ უმცირესობათა თემებში, ისე ქართულენოვან საზოგადოებაში ცხადყოფს, რომ ცნობიერების დონე ქარტიასთან დაკავშირებით სრულიად არადაამაკმაყოფილებელია, მთავარი პრობლემა ამასთან დაკავშირებით ისაა, რომ დღემდე არ ჩატარებულა კომპლექსური საინფორმაციო კამპანია მოსახლეობის და საზოგადოების სხვადასხვა წრეების (არასამთავრობო სექტორი, პოლიტიკური პარტიები, ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლება) ადეკვატური ინფორმირებისთვის.

ეროვნულ კონცეფციაში გამოტოვებული საკითხები

მარგინალიზებული ეთნიკური ჯგუფები

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და 2009-2014 წლის სამოქმედო გეგმაში ასახული არ არის მარგინალური ეთნიკური ჯგუფების პრობლემატიკა და, შესაბამისად, არც არის გათვალისწინებული ღონისძიებები მათი საჭიროებების გამოსავლენად და მოსაგვარებლად. მარგინალიზებული ეთნიკური ჯგუფები რამდენიმე კატეგორიად იყოფა:

- *ბოშები* (დაახ. 1500 ადამიანი) – განსახლებულები არიან შემდეგ დასახლებებში: თბილისის სამგორის დასახლება, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელი გაჩიანი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი ჭოეთი, ქალაქი თელავი, ქალაქი ქუთაისი, ქალაქი ქობულეთი;
- *მოხეტიალე ქართულენოვანი მოსახლეობა* (დაახ. 700 ადამიანი) – ძირითადად განსახლებული არიან თბილისსა და ქუთაისში;
- *მოლდოველები* (დაახ. 1200 ადამიანი) – ძირითადად განსახლებულები არიან თბილისში, ლოტკინის დასახლებაში;
- *დომები/ლომები*⁵⁹ (დაახ. 500 ადამიანი) – ძირითადად ცხოვრობენ თბილისში, აფრიკის დასახლებაში.

ჩამოთვლილი ეთნიკური ჯგუფებიდან მხოლოდ ბოშების პრობლემატიკაა მეტ-ნაკლებად შესწავლილი. მათი საჭიროებები დოკუმენტირებულია უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის მიერ, ასევე შესაბამისი სახელმწიფო უწყებები ინფორმირებული არიან ბოშათა ძირითადი პრობლემატიკის შესახებ. 2010-2012 წლებში საქართველოს უშიშროების საბჭოს ფასილიტაციით ბოშათა საკითხებზე მუშაობდა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა ბოშების სამართლებრივი პრობლემები და გადაიღო პოზიტიური ნაბიჯები ბოშათა აღწერის და პირადობის მოწმობების გაცემის მიმართულებით.

⁵⁹ ბოშათა თემის ერთ-ერთი განშტოება, თუმცა გააჩნიათ დამოუკიდებელი ეთნიკური იდენტობა. ლინგვისტური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ბოშებისაგან.

თუმცა 2012 წლიდან აღნიშნულ სამუშაო ჯგუფს შეხვედრა არ გაუმართავს, შესაბამისად, ბოშათა დახმარების და ინტეგრაციის სახელმწიფო მხარდაჭერის ეს არაფორმალური ინიციატივა შეჩერებულია.

რაც შეეხება დანარჩენ მარგინალიზებულ ეთნიკურ ჯგუფებს, მათთან მიმართებაში სახელმწიფოს მხრიდან ინიცირებული არც ერთი პროგრამა არ განხორციელებულა. მეტიც, მათ შესახებ სანდო და ზუსტი ინფორმაცია ჯერ კიდევ არ არსებობს. განსაკუთრებით ბუნდოვანია დომების მდგომარეობა, უკანასკნელ დრომდე დომების საქართველოში არსებობის შესახებ ინფორმაციაც კი არ არსებობდა.

ბოლო მონაცემებით, საქართველოში მცხოვრები მარგინალიზებული ეთნიკური ჯგუფების ძირითადი საჭიროებები შემდეგია:

ბოშებთან მიმართებაში: ბოშების ინტეგრაციისათვის მთავარი ხელისშემშლელი პრობლემა – პირადობის და დაბადების მოწმობების არქონა – მეტწილად მოგვარებულია. არსებული მონაცემებით, საქართველოში მცხოვრები ბოშების დაახლოებით 80%-ს პირადობის და დაბადების მოწმობები აქვთ. თემის განვითარებისათვის ყველაზე მწვავე საკითხს ამჟამად წარმოადგენს საშუალო განათლების მიღება. ბოშა ბავშვები მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში დადიან სკოლაში. არანაკლებ მწვავეა დასაქმების და სოციალური საკითხები. მინიმალურია ბოშათა ჩართულობა მიმდინარე სოციალურ პროგრამებში და მათი აქტიურობა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სხვა დანარჩენ მარგინალიზებულ ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებაში: ბოშებისაგან განსხვავებით, სხვა მარგინალიზებული ეთნიკური ჯგუფები უმეტეს შემთხვევაში ყოველგვარი სამართლებრივი სტატუსის გარეშე ცხოვრობენ, არ გააჩნიათ არც პირადობის და არც დაბადების მოწმობები. საქმიანობის ძირითადი სფერო არალეგალური ვაჭრობა და მათხოვრობაა.

მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციაში სათანადოდ არ არის ასახული საქართველოში მცხოვრები მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციისა და განვითარების საკითხი. ასევე, სამოქმედო გეგმაში არ არის გაწერილი შესაბამისი ღონისძიებები. ისევე, როგორც ყველა სხვა სახელმწიფო ინიციატივაში, ეროვნული კონცეფციის ძირითადი აქცენტიც გადატანილია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებზე და მუნიციპალიტეტებზე. მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები შეიძლება შემდეგი კატეგორიების მიხედვით დაჯგუფდეს:

- უდიები, ასურელები, აფხაზები, ავარები: მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები, რომელთაც საზოგადოებაში ინტეგრაციაზე მეტად საკუთარი ეთნიკური იდენტობის გადარჩენის პრობლემა აქვთ;
- ოსები, ქურთები, ქისტები: შედარებით მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები, რომელთაც გამოკვეთილი ეთნიკური იდენტობა გააჩნიათ, თუმცა საკუთარი ეთნოსის განვითარებისა და კულტურული თვითმყოფადობის გადარჩენისათვის არასაკმარის ბერკეტებს ფლობენ;
- ე.წ. “ევროპელი” და “ბალტიელი” ეროვნული უმცირესობები (გერმანელები, პოლონელები, ჩეხები, ლატვიელები და ა. შ.): ძირითადად რუსულენოვანი, ნაწილობრივ ქართულენოვანი ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც კულტურულ მხარდაჭერას საკუთარი წარმოშობის ქვეყნებიდან იღებენ;
- ეთნორელიგიური ჯგუფები: რუსი დუხობორები და მალაკნები, რომელთაც ძირითადად შენარჩუნებული აქვთ საკუთარი კულტურული თვითმყოფადობა, თუმცა მათი კულტურული მონუმენტები სავალალო მდგომარეობაშია.

ძირითადი დასკვნები

ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის დოკუმენტის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: დოკუმენტის ერთ-ერთ მთავარ კონცეპტუალურ ხარვეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის და პოლიტიკური მონაწილეობის ნაწილში სრულყოფილად არ არის გააზრებული ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური ჩართულობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საკითხი. მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, თუ

კონკრეტულად რა სახის ღონისძიებები უნდა გატარებულიყო ამ მიზნის მისაღწევად. ასევე პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ეროვნული კონცეფცია უშუალოდ არ ეფუძნება იმ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს, რომლებიც სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენს ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ახალი ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნას ის კონკრეტული შეთავაზებული ღონისძიებები, რომლებიც ასახულია შესაბამის საერთაშორისო კონვენციებსა და დეკლარაციებში, კერძოდ, ეს დოკუმენტებია: ევროსაბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია, გაერო-ს დეკლარაცია ეროვნული ან ეთნიკური და ლინგვისტური უმცირესობებისადმი მიკუთვნებულ პირთა უფლებების შესახებ, ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ლუნდის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ და ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ლუბლიანას სახელმძღვანელო პრინციპები ეთნიკურად მრავალფეროვანი საზოგადოებების ინტეგრაციის შესახებ.

ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიმართულებებიდან გამომდინარე, ყველაზე მეტი და არსებითი ცვლილება განხორციელდა ეროვნულ უმცირესობათა თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფისა და საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმირების თვალსაზრისით. ამავე დროს, კვლავინდებურად დაბალია ეთნიკური უმცირესობების მხრიდან არჩევნებში გაცნობიერებული და ინფორმირების შედეგად არჩევანის გაკეთების დონე, რაც უკავშირდება რეგიონებში დაბალ პოლიტიკურ კულტურას.

ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების კუთხით გატარებული ღონისძიებები, არსებული შედეგების გათვალისწინებით, კვლავინდებურად დაბალ დონეზეა. გასული წლების მანძილზე გატარებული სახელმწიფო პროგრამები და აქტივობები არათანმიმდევრობით გამოირჩეოდა, რისი მაგალითიცაა ეროვნულ უმცირესობათა პროფესიული კადრების და საჯარო მოხელეთა გადამზადების პროგრამა. ეროვნული კონცეფციის მიხედვით, აღნიშნული მიმართულება ერთ-ერთი საკვანძოა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობის ამაღლების თვალსაზრისით, თუმცა შესაბამისი აქტივობები ადეკვატური არ იყო, კერძოდ, ზურაბ ჭვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლამ, რომელიც უფლებამოსილი იყო, მოემზადებინა ეროვნულ უმცირესობათა რეგიონებიდან საჯარო სექტორში დასაქმებული კადრები, რეალურად დაკარგა თავისი ძირითადი ფუნქცია და შეითავსა ენების ცენტრის ფუნქცია. ასევე, ეროვნულ უმცირესობათა პროფესიული გადამზადების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ არსებული პროფესიული კოლეჯები გურჯაანსა (კაჭრეთი) და ახალციხეში არ არის ფოკუსირებული ეროვნულ უმცირესობათა თემებზე და მათი პროგრამები ზოგადი სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკაში არ მოიაზრება.

ამ პრობლემის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში გაძლიერდეს ზურაბ ჭვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლის და ზოგადად ეროვნულ უმცირესობათა თემებიდან ადმინისტრაციული კადრების მომზადების მიმართულება. მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს შესაბამისი სასწავლო პროგრამა და განისაზღვროს ეროვნულ უმცირესობათა თემებში საჯარო ადმინისტრირების ზუსტი პრიორიტეტები. ეროვნულ უმცირესობათა თემების პროფესიული განვითარების კუთხით კი მნიშვნელოვანია, რომ არსებული საშუალებები და პროფესიული კოლეჯების პროგრამები მოერგოს ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის ზოგად პოლიტიკას და პროგრამებს.

ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა სახელმწიფო სტრუქტურებში – როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ (განსაკუთრებით ქვემო ქართლის შემთხვევაში) დონეზე უმცირესობათა წარმომადგენლობა. ამავე დროს პრობლემას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების დროს მკვეთრი დამოკიდებულება ცენტრალურ სახელისუფლებო სტრუქტურებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მოწყობის დროს მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნას ეროვნულ უმცირესობათა და შესაბამისი რეგიონების სპეციფიკა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ ახალი სამოქმედო გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის და დეცენტრალიზაციის საკითხების მოწყობის ის საერთაშორისო ნორმები და რეკომენდაციები, რომლებიც უმცირესობათა სპეციფიკის

შესაბამისად წარმოდგენილია ეუთო-ს ლუნდის რეკომენდაციებსა და ლუბლიანას სახელმძღვანელო პრინციპებში.

პოლიტიკური კულტურის ამაღლების თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნას ცნობიერების ამაღლების პროგრამები და სხვადასხვა ტრენინგები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთათვის.

როგორც ეროვნულ უმცირესობათა თემებში, ისე ქართულენოვან მოსახლეობაში დაბალია ცნობიერების დონე ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, განსაკუთრებით უმცირესობათა ან რეგიონულ ენათა ევროპული ქარტიის შესახებ. აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში ზუსტად გაიწეროს ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ინფორმირებულობის გაზრდას აღნიშნული ხელშეკრულებების შესახებ.

ეროვნულ კონცეფციაში ასახული არ არის მარგინალიზებული ეთნიკური ჯგუფების და მცირერიცხოვანი ეთნოსების საჭიროებები და მათი პრობლემატიკა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში გაიწეროს ღონისძიებები მარგინალური ჯგუფებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის (პირადობის და დაბადების მოწმობები) გაცემის, ბავშვებისათვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაადვილების და ზრდასრულთათვის მიმდინარე სოციალურ პროექტებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია

არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს კანონმდებლობა ამ სფეროში არ შეიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებს.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

შრომის კოდექსის 2.3 მუხლის მიხედვით, შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან ეროვნული კუთვნილების მიხედვით. დისკრიმინაციად ითვლება ადამიანის როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს მტრული, ღირსების შემლახველი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნას, აგრეთვე ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც აუარესებს ადამიანის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით (მუხლი 2.4). გამოწვეულია ისეთი შემთხვევა, როდესაც განსხვავებული მოპყრობა გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან და ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას (მუხლი 2.5).

“ჯანმრთელობის დაცვის შესახებ” კანონის 6.1 მუხლის თანახმად, დაუშვებელია პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, რწმენისა და აღმსარებლობის, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილების ნიადაგზე. იმავე კანონის 6.2 მუხლით აკრძალულია სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პაციენტის დისკრიმინაცია სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას.

“ჯანმრთელობის დაცვის შესახებ” კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე, “საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს, მისთვის გასაგები ფორმით მიიღოს ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია, აგრეთვე მოიძიოს მეორე აზრი საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ”. ეს ნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ პაციენტებს უფლება აქვთ, საკუთარ ენაზე მიიღონ ინფორმაცია მათი ჯანმრთელობის შესახებ.

სოციალური და რეგიონული ინტეგრაციის მიმართულების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი/შეფასება

სოციალური დაცვა და მობილობა

2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის პროცესში მთავრობა ქვეყნის ყველა რეგიონში ატარებდა ღონისძიებებს ეთნიკური უმცირესობების რეგისტრაციის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სახელმწიფოს მიერ მათთვის განკუთვნილი სოციალური დახმარებისა და შემწეობების გაცემის საკითხის უკეთ უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირების ხარისხის გასაუმჯობესებელი პოზიტიური ქმედებები 2011 წლიდან კიდევ უფრო გააქტიურდა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ჯანდაცვითი თუ სოციალური პროგრამები ერთნაირად მოიცავდა ქვეყნის ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი ეთნიკური, სოციალური თუ რელიგიური წარმომადგენლობისა. თუმცა სამედიცინო და სოციალური მომსახურების სახელმწიფო გარანტიებით სარგებლობაზე ხელმისაწვდომობა დამოკიდებული იყო ინფორმაციულ ბარიერებთან. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების გარკვეული ნაწილისთვის ასეთად ენობრივი ბარიერი გვევლინებოდა, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში და უმეტესად შუახნის ან ხანდაზმული მოსახლეობის პრობლემას წარმოადგენდა. მოსახლეობის აღნიშნული ნაწილი მოკლებული იყო შესაძლებლობას, წაეკითხა ან გაეგო სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია/რეკლამა დაგეგმილი სახელმწიფო პროგრამების შესახებ, დროულად მიეღო ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე, რაც ერთმნიშვნელოვნად უშლიდა ხელს მოსახლეობას, დროულად ესარგებლა სერვისებით, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობდა. საინფორმაციო ვაკუუმის აღმოფხვრისათვის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის დაიგეგმა სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო კამპანიები და ინფორმაციის მიწოდება მშობლიურ ენაზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2011 წელს მიიღო 2011-2015 წლების ჯანდაცვის სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც რამდენიმე ძირითად პრინციპს ეფუძნებოდა. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა თანასწორ ხელმისაწვდომობასა და პაციენტზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობას. თანასწორი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სამედიცინო და სოციალურ მომსახურებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, მიუხედავად მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, წარმომადგენლობისა, სტატუსისა და აღმსარებლობისა. შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამებით თანაბრად სარგებლობს საქართველოს ყველა მოქალაქე.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქეთა მიერ ინფორმირებულობის შედეგად გადაწყვეტილების მიღება და საკუთარი უფლებების ცოდნის შესაძლებლობა პირდაპირ უკავშირდება სამედიცინო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიებისა თუ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას.

2011 წელს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის, სკრინინგის ეროვნული ცენტრისა და “საქართველოს ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდის” ორგანიზებითა და ევროკავშირის დაფინანსებით ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში გაიმართა შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე გაიმართა კიბოს სკრინინგის, თამბაქოს პრევენციის, ფიზიკური აქტივობის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანსაღი კვების სახელმწიფო პროგრამების პრეზენტაცია. საინფორმაციო მასალები დარიგდა აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

2011 წელს “სსიპ ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურმა” განახორციელა პროექტი “ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის ფუნქციებისა და სერვისების შესახებ”. გამომდინარე იქიდან, რომ სამედიცინო დაზღვევა და დაზღვევის მედიაციის

სამსახური შედარებით ახლადშექმნილი მიმართულებები იყო, მოქალაქეებს ხშირ შემთხვევაში არ ჰქონდათ ინფორმაცია ამ სერვისებისა და საკუთარი უფლებების შესახებ, ვერ ახერხებდნენ სამედიცინო მომსახურების სრულფასოვნად მიღებას. ამიტომ, სახელმწიფომ მნიშვნელოვნად ჩათვალა საზოგადოების ინფორმირება სადაზღვევო პრინციპების, მედიაციის სამსახურის ფუნქციებისა და საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ, რათა მოქალაქეებს დროულად და მიზანმიმართულად შესძლებოდათ მათთვის აუცილებელი სერვისებით სარგებლობა. ამ მიმართულებით გაიმართა შეხვედრები, მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სხვადასხვა სოციალური გარანტიით უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას. სოციალური გარანტიების მოპოვების შესახებ სახელმწიფო სოციალური პროგრამებით სარგებლობის თაობაზე სრული ინფორმაციის მისაღებად *“ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ინფორმირების უზრუნველყოფა სოციალური სფეროს სახელმწიფო გარანტიებზე”* პროექტის ფარგლებში 2011 წელს სოციალური მომსახურების სააგენტომ შეიმუშავა 3 ტიპის საინფორმაციო ბუკლეტი სხვადასხვა სოციალური გარანტიებით სარგებლობის შესახებ.

2011 წელს *“საქართველოს ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეების სისტემატური ინფორმირება ქვეყანაში მიმდინარე ჯანდაცვის და სოციალურ სფეროში მიმდინარე რეფორმებისა და მდგომარეობის შესახებ”* პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამიხნე ჯგუფებთან შეხვედრები მათი ინფორმირების მიზნით.

სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მოცულობისა და სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით *“ეროვნული უმცირესობების ინფორმირება ჯანდაცვის სფეროში მოქალაქეთა უფლებებისა და სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებული სამედიცინო მომსახურების შესახებ”* პროექტის ფარგლებში დაიგეგმა საინფორმაციო ბანერის შემუშავება. სადაზღვევო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარებისათვის ბანერზე განთავსდა ინფორმაცია ჯანდაცვის სადაზღვევო პოლისის სერვისების სრული მოცულობის შესახებ. ბანერის ტექსტის შინაარსი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განთავსებულ სამედიცინო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დაევალებათ ორენოვანი ბანერის განთავსება ბენეფიციარებისთვის თვალსაჩინო ადგილზე.

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობდა მოქალაქეთა სისტემატურ ინფორმირებას მიმდინარე რეფორმების შესახებ, რასაც, თავის მხრივ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის. *“საქართველოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა სისტემატური ინფორმირება ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ”* პროექტის ძირითადი მიზანი იყო მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო დაზღვევის ახალი ეტაპის შესახებ. 2012 წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა 6 წლამდე ასაკის ბავშვთა, საპენსიო ასაკის მოქალაქეთა, სტუდენტთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევის პროგრამა. პროექტის ფარგლებში მომზადდა და სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა გასვლითი, საინფორმაციო შეხვედრები არაქართულენოვანი მოქალაქეებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

სხვადასხვა პროექტების შესახებ მთავრობის მიერ წარმოებული საინფორმაციო კამპანიები ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ ეთნიკური უმცირესობების ინფორმირების კუთხით პოზიტიური მოვლენა იყო. მსგავსმა ღონისძიებებმა ხელი უნდა შეუწყოს სამედიცინო დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართვიანობის გაზრდას და მათ ჩართულობას პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი მოგვარების საკითხებში. თუმცა საინფორმაციო კამპანიების მასშტაბი ეთნიკური უმცირესობების მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით საკმაოდ მოკრძალებულია და სახელმწიფოს მხრიდან გაცილებით ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვას მოითხოვს.

რეგიონული განვითარების ხელშეწყობა

2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში შეინიშნებოდა სახელმწიფოს მიერ რეგიონული პრობლემების მიმართ სისტემური მიდგომის შემუშავების მცდელობები. 2011 წელს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, რომელიც რეგიონულ განვითარებაში წამყვანი სახელმწიფო უწყების როლს ასრულებდა, შემუშავებული იქნა რეგიონის და მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო პროგრამა და მოხდა მასში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართვა.

2012 წელს მომზადდა რეგიონის განვითარების სტრატეგიის შედგენის მეთოდური სახელმძღვანელო. ამ სახელმძღვანელოს მიხედვით მიმდინარეობდა საქართველოს ყველა რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესი. სტრატეგია წარმოადგენდა პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს, რომელიც ასახავდა არსებულ ვითარებასა და იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა რეგიონების განვითარების პოტენციალის ხელშეწყობა. სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა კონკრეტული პროექტების სამოქმედო პროგრამის, განხორციელების ვადების, ხარჯების და დაფინანსების წყაროების განსაზღვრა. სტრატეგიის შემუშავება მიზნად ისახავდა ცალკეულ რეგიონში არსებული პოტენციალის განსაზღვრასა და წინადადებების შეთავაზებას დასახული მიზნების მისაღწევად.

რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება

1990-იან წლებში ქვეყანაში განვითარებული პროცესების შედეგად ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, სხვა რეგიონების მსგავსად, სრულად მოიშალა არსებული ინფრასტრუქტურა, რამაც ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების იზოლაციას შეუწყო ხელი. ამ მხრივ ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში, 2009-2014 წლებში, როდესაც დაიწყო მასშტაბური პროექტების განხორციელება სოციალური და რეგიონული ინტეგრაციის მიმართულებით. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო. ის გარემოება, რომ კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობების დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ ბოლო წლებში შეიცვალა, ნაწილობრივ იმანაც განაპირობა, რომ რეგიონების ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით მასშტაბური პროექტების განხორციელება დაიწყო. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საგზაო და სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა.

სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაცია

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინტენსიურად მიმდინარეობდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც “ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს” პროექტის ფარგლებში განხორციელდა. სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის მიზანი იყო რეგიონში საგზაო-სატრანსპორტო ქსელის აღდგენა. პროექტის ღირებულება 203.5 მლნ აშშ დოლარი იყო და ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში 223 კმ გზის რეაბილიტაციას ითვალისწინებდა. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2008-2010 წლებში მიმდინარეობდა.

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში გზის რეაბილიტაციამ უკეთესი გარემო შექმნა ამ ორ რეგიონში სავაჭრო-სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის, საერთაშორისო და შიდა ვაჭრობის გაზრდისათვის, ბიზნესის განვითარებისათვის და კერძო ინვესტიციების მოზიდვისათვის, ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული სხვა ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისათვის. რეგიონული გზების რეაბილიტაციის შედეგად შეიქმნა პირობები სამცხე-ჯავახეთის დანარჩენი საქართველოსგან იზოლაციის შესასუსტებლად, რამაც პერსპექტივაში ხელი უნდა შეუწყოს რეგიონის ეკონომიკურ ინტეგრაციას, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილებას. ფოკუსგუფებში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, გზების რეაბილიტაციამ პოზიტიური გავლენა მოახდინა წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე და ასევე გაუმჯობესდა ვაჭრობის პირობები საქართველოს სხვა რეგიონებთან, მათ შორის, თბილისთან.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავეს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი პროექტი, რომლის მშენებლობასაც საფუძველი 2007 წელს ჩაეყარა.

პროექტის ეკონომიკური მნიშვნელობა დიდია როგორც საქართველოსათვის, ისე მთელი რეგიონისათვის. სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისა და მშენებლობის დასრულების შემდეგ ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსი გახდება უმოკლესი გზა ცენტრალურ აზიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთს, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებს შორის. პროექტის დასრულების შემდეგ ტვირთების გატარება დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რაიონების ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებაზე.

პროექტი ითვალისწინებს მარაბდა-ახალქალაქის 153 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას და ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე 30 კმ-იანი რკინიგზის მონაკვეთის მშენებლობას. გარდა ამისა, მოხდება 10 სადგურის რეაბილიტაცია-აღდგენა-რეკონსტრუქცია, აშენდება ახალი სარკინიგზო სადგური “კარწახი” თურქეთის რესპუბლიკის საზღვართან.

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

საქართველოს მთავრობის, განსაკუთრებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებით და საერთაშორისო მხარდაჭერით 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის პერიოდში არაერთი პროექტი განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პროექტები საქართველოს მთელი მასშტაბით მიმდინარეობდა და იგი უშუალოდ ეთნიკური უმცირესობებისთვის არ იყო გამიზნული, მაგრამ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მსგავს პროექტებს არაქართველი მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით უდავოდ პოზიტიური მნიშვნელობა ჰქონდა.

სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის, სოფლის მხარდაჭერის, სკოლების რეაბილიტაციის თუ სხვადასხვა სახის პროგრამების ფარგლებში განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი: მოხდა საავტომობილო გზებისა და საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, შეკეთდა სასოფლო გზები და ხიდები, სასმელი წყლის სისტემები, გარეგანათება, კულტურის სახლები, სტადიონები, სპორტული დარბაზები, კლუბები და სხვ.

ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

2008 წლიდან საქართველოს რეგიონების გაზიფიკაციის პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში გაზსადენების აღდგენა ან ახლის გაყვანა დაიწყო, რაც უახლოეს წლებში მოსახლეობის გაზით მომარაგებას გააუმჯობესებს. გაზიფიკაციის პარალელურად აღნიშნული რეგიონების ინფრასტრუქტურის განვითარება უახლოეს წლებში მათ იზოლაციას შეასუსტებს და ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის უფრო აქტიურ ჩართვას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

აგრობიზნესის განვითარება

“ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში გაიცა გრანტები თანადაფინანსების პრინციპით პირველადი წარმოების, ფერმერთა მომსახურების ცენტრების, მცირე გადამამუშავებელი საწარმოების და უწყვეტი საწარმოო ჯაჭვის განვითარებისათვის საქართველოს რეგიონებში. აგრობიზნესის განვითარების პროექტი ორ კომპონენტს მოიცავდა: საწარმოთა ხელშეწყობასა და უწყვეტი საწარმოო ჯაჭვის შექმნას. პროექტების მიზანი იყო არსებული წვრილი ფერმერული მეურნეობების გარდაქმნა მომგებიან აგრობიზნესებად, რაც ხელს შეუწყობდა რეგიონებში აგრობიზნესების განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებით დაფინანსდა პროექტები საქართველოს რეგიონებში, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. პროექტების განხორციელების შედეგად დასაქმდა სოფლის მოსახლეობა, ასევე არაპირდაპირი სარგებელი

მიიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ. თუმცა ფოკუსჯგუფებში გამოთქმული პრეტენზიებით, აგრობიზნესში დაფინანსების შესაძლებლობის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად იყო ინფორმირებული.

სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერა

2009 წელს საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სოფლებში “სოფლის მხარდაჭერის პროგრამა” ეტაპობრივად განხორციელდა. სახელმწიფოს მიერ თანხები იმ პირველადი გადაუდებელი სამუშაოების შესასრულებლად გამოიყო, რომელიც სოფლის პრიორიტეტს წარმოადგენდა. ზოგიერთ შემთხვევაში ამ თანხას ემატებოდა თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო სახსრებიდან და დამატებით მოზიდული საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების სახსრები. სოფლის მოსახლეობა უშუალოდ იყო ჩართული პრიორიტეტების განსაზღვრაში. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სხვადასხვა სოფელში არსებული მწვავე პრობლემების გადასაჭრელად მოსახლეობის მობილიზაცია განახორციელეს. იმ სოფლებში, სადაც არსებობდა ფერმერული გაერთიანების ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ინიცირებული სათემო კავშირების ჩანასახი, მობილიზაცია უფრო ეფექტური იყო და გაცილებით ადვილად დასახელდა სოფლის პრიორიტეტები. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სხვადასხვა ტიპის აქტუალური პროექტები დაფინანსდა, მაგალითად:

- სოფლის გაზიფიკაცია;
- საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით დახმარება;
- სარწყავი და სასმელი წყლის არხების გასუფთავება/გაყვანა, სათავო ნაგებობის აღდგენა;
- საქონლის სასმელი წყლის ტბორების გაკეთება;
- ტექნიკის გამოყოფა წვრილი სარწყავი არხების გასაწმენდად;
- შიდა გზების რეაბილიტაცია.

სამუშაოთა შესასრულებლად დასაქმდა შესაბამისი სოფლის მოსახლეობა. ფოკუსჯგუფებში გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები უდავოდ დადებითი მოვლენა იყო, თუმცა აუცილებელია მათი მასშტაბის გაზრდა.

ადგილობრივი მოსახლეობა და რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები

სამცხე-ჯავახეთში გზის რეაბილიტაციისა და სარკინიგზო მაგისტრალის სამუშაოებთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ, მიუხედავად დაპირებებისა, ადგილობრივი მოსახლეობის ძალიან მცირე რაოდენობა იყო დასაქმებული გზისა და რკინიგზის მშენებლობაზე. აღსანიშნავია, რომ გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებდნენ კონკურენტულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიები და, ხელისუფლების წარმომადგენლების შეფასებით, ისინი ვალდებულნი იყვნენ, დაესაქმებინათ ადგილობრივი მოსახლეობა. თუმცა დასაქმების პროცენტული მაჩვენებლით არ იყვნენ კმაყოფილნი არც ხელისუფლების და არც ადგილობრივი თემის წარმომადგენლები.

ადგილობრივები ითხოვდნენ მათი ინტერესების დაცვას, სამუშაო ადგილების გარკვეული რაოდენობის მათთვის გამოყოფას და შესაბამისი სასწავლო ტრენინგების ჩატარებას, რათა ისინი დასაქმებულიყვნენ როგორც რკინიგზის მშენებლობაზე, ისე რკინიგზის გახსნის შემდგომ, მუშა პერსონალად. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დაპირება მოსახლეობას, მათივე განმარტებით, ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან მიუღია, მაგრამ, ადგილობრივების განცხადებით, ეს პირობა არ შესრულდა. მართალია, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ნაწილს მსგავსი ვითარება ექსკლუზიურად მათი რეგიონის პრობლემად მიაჩნია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ანალოგიური პრეტენზიები აქვთ სხვა სამშენებლო ობიექტებთან დაკავშირებით ძირითადად ეთნიკური ქართველებით დასახლებულ რეგიონებშიც.

ზოგადად, გზების რეაბილიტაციის პროექტებს ადგილობრივი მოსახლეობა დადებითად აფასებს. ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობა 2-3 საათს ანდომებდა რეგიონის ცენტრამდე ჩაღწევას, რასაც ამჟამად გაცილებით ნაკლებ დროში ახერხებს. ასევე განახევრდა თბილისამდე მგზავრობის დროც. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა უსაფუძვლო შიში სარკინიგზო მაგისტრალის მიმართ, დღეს ეს შიში მხოლოდ

მოსახლეობის მცირე ნაწილს შემორჩა. 2007 წელს ახალქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზის გაყვანის შემდეგ ზოგიერთი ადგილობრივი პოლიტიკური ჯგუფი პროექტის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე საუბრობდა და პროექტის მიზნად სომხეთის იზოლაციას ასახელებდა. ასევე შიშობდნენ, რომ რკინიგზის დასაცავად თურქული და აზერბაიჯანული სამხედრო შენაერთები ჩამოვიდოდნენ და რეგიონში სხვა რეგიონებიდან ჩამოსულები დასაქმდებოდნენ. დროთა განმავლობაში ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის მიმართ დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობამ ფოკუსჯგუფებში გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს პროექტი მომავალში გააჩენს ადგილობრივი თემისთვის დასაქმების საშუალებას.

ძირითადი დასკვნები

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმაში სოციალური და რეგიონული ინტეგრაციის მიმართულებით სამი ამოცანაა ჩამოყალიბებული:

1. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება

სამოქმედო გეგმის პირველ ამოცანასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით სახელმწიფომ მასშტაბური ნაბიჯები გადადგა. აღნიშნული პროექტების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიზნები იყო: საერთაშორისო და შიდა ვაჭრობის ზრდის, ბიზნესის განვითარების, აგრობიზნესისა და ფერმერული მეურნეობების განვითარების, ინვესტიციებისათვის კარგი პირობების შექმნის, უმუშევრობის დონის შემცირების, ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული სხვა ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისა და რეგიონის ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში დასახული მიზნების სრულად მიღწევა უახლოეს წლებში ვერ მოხდება, მსგავსი პროექტების განხორციელება უდავოდ პოზიტიური ტენდენციაც იყო და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების იზოლაციის დაძლევისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მათი შემდგომი ინტეგრაციის დაჩქარების კუთხით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯიც.

2. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიული გადამზადება და მათი დასაქმების ხელშეწყობა

2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მიმდინარე პროექტებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისთვისაც უნდა შეეწყო ხელი, თუმცა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროექტები ეფექტურობის თვალსაზრისით უკეთესი მიდგომის შემუშავებას მოითხოვს. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივების კრიტიკული დამოკიდებულება ინფრასტრუქტურულ პროექტებში მათი დასაქმებისადმი საფუძვლიანი იყო, მაგრამ დასაქმების საკითხი პირდაპირ უკავშირდებოდა პროფესიულ მომზადებას და კვალიფიკაციას. აღნიშნული მიმართულებით არსებული ხარვეზები მიმდინარე პროექტებში ადგილობრივების მცირე რაოდენობით დასაქმებას განაპირობებდა. სახელმწიფოს მხრიდან პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით გადადგმული ნაბიჯები პოზიტიური მოვლენა იყო, მაგრამ მსგავსი პროექტების მოკრძალებული მასშტაბი და სწავლების პროცესში არსებული ხარვეზები ეთნიკური უმცირესობების დასაქმებას ხელს არ უწყობდა.

3. ეთნიკური უმცირესობების სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა

2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მთავრობამ ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებში არაერთი პროექტი განახორციელა. ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში სახელმწიფო სერვისების მიწოდების თვალსაზრისით პრობლემას სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ქმნიდა. შესაძლოა, მსგავსი პრობლემა ქართულენოვან მოსახლეობასაც ჰქონდა, მაგრამ ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში ინფორმაციის ნაკლებობას ქართული ენის არცოდნაც უწყობდა ხელს. სამოქმედო გეგმის

განხორციელების ბოლო წლებში მთავრობამ არაერთი ღონისძიება გაატარა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის მიწოდების კუთხით, თუმცა ამ მხრივ ეფექტურობის მისაღწევად სახელმწიფოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში უფრო ინტენსიური საინფორმაციო კამპანიების განხორციელება სჭირდება. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება, ეროვნულმა უმცირესობებმა მეტი ინფორმაცია მიიღონ და მეტადაც ისარგებლონ სახელმწიფო სერვისებით.

კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება

არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციის⁶⁰ შესაბამისად, საქართველოს თითოეული მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე განურჩევლად მისი აღმსარებლობისა (მუხლი 9).

საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 9

სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია თითოეული მოქალაქის კულტურული განვითარება, კულტურულ ცხოვრებაში თანამონაწილეობა, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინება და გამდიდრება (მუხლი 34.1)

მუხლი 34

1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.
2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია, ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ, თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ (მუხლი 38).

მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ, თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და

⁶⁰ საქართველოს კონსტიტუცია: http://www.parliament.ge/index.php?option=com_content&view=article&id=180&Itemid=85&lang=ge.

ჩარევის გარეშე, განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად. უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლებას და კრძალავს შემოქმედებით საქმიანობაში ჩარევას.

მუხლი 23

1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია, ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.
2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.
3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

საქართველოს კონსტიტუციის გარდა, კულტურის სფეროსთან დაკავშირებით შემდეგი კანონი ითვალისწინებს უმცირესობათა კულტურის და თვითმყოფადობის შენარჩუნებას:

საქართველოს *კანონი “კულტურის შესახებ”*, რომლის მიხედვით საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან კულტურულ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა (მუხლი 6)

მუხლი 6. ადამიანის კულტურული მოღვაწეობის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, კულტურული მოღვაწეობა საქართველოში არის ადამიანის შეუვალი უფლება. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან კულტურულ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა.

ამავე კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, ყველა მოქალაქეს აქვს კულტურული თვითმყოფადობის უფლება.

მუხლი 10. ადამიანის კულტურული თვითმყოფადობის უფლება

ყოველ ადამიანს აქვს კულტურული თვითმყოფადობის დაცვისა და მხატვრულ-ესთეტიკური ორიენტაციის თავისუფლად არჩევის უფლება.

გარდა ზემოაღნიშნული კანონისა, რომელიც პირდაპირ არეგულირებს ეთნიკური უმცირესობების უფლებებს, ეთნიკური უმცირესობების კულტურის და საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ საქართველოს საერთო კანონმდებლობით, როგორცაა საქართველოს კანონი “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ”⁶¹, საქართველოს კანონი “პროფესიული თეატრების შესახებ”⁶², საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ⁶³ და საერთაშორისო კონვენციები, ევროპის კულტურული კონვენცია და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენცია.

კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნების მიმართულების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი/შეფასება

ეროვნული კონცეფციის ამ მიმართულებით სახელმწიფოს აქვს აღებული ვალდებულება, მხარი დაუჭიროს კულტურულ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობასა და მათი კულტურული

⁶¹ საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ:

https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=11932.

⁶² საქართველოს კანონი პროფესიული თეატრების შესახებ: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1900035.

⁶³ საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ: <http://www.nplg.gov.ge/geo/7/alias%2063/id27>.

მემკვიდრეობის დაცვას. ამ მიზნით სახელმწიფომ დაგეგმა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით, რაც მოიცავს შემდეგი ამოცანების განხორციელებას:

- ა) სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ბ) ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა;
- გ) ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- დ) ტოლერანტობის სულისკვეთების მხარდაჭერა, კულტურათაშორისი დიალოგისა და კავშირების ხელშეწყობა;
- ე) საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ვ) ეთნიკური უმცირესობების კულტურის, ისტორიის ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ცოდნის გაღრმავება და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებზე მათი წარმოჩენა.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურის ხელშეწყობის პროგრამა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 2009 წლიდან ახორციელებს საქართველოს ეროვნული უმცირესობების კულტურის მხარდაჭერის პროგრამას, რომელიც ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ქვეპროგრამას წარმოადგენს. პროგრამის ძირითადი მიზნები ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის დაცვის, განვითარების და პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ეთნიკური უმცირესობების კულტურათა დიალოგის ხელშეწყობა და თავისუფალი ინიციატივების წახალისებაა. იმავე პროგრამის ფარგლებში 2010-2013 წლებში ფინანსდებოდა სომხურენოვანი გაზეთი “ვრასტანი” და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი “გურჯისტანი”, ხოლო 2013 წელს ამ გამოცემებს რუსულენოვანი გაზეთები “სვობოდნაია გრუზია” და “ვექერნი ტფილისი” დაემატა. აღნიშნული გამოცემები სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი უმცირესობების ინფორმირებულობის ამაღლებაზე იყო ორიენტირებული. პროგრამის ბიუჯეტი ყოველწლიურად 100 000 ლარით იყო განსაზღვრული, საიდანაც 60 000 ლარი ბეჭდვითი მედიის დაფინანსებას ხმარდებოდა, ხოლო დანარჩენი 40 000 ლარით თავისუფალი პროექტები ფინანსდებოდა.

აღსანიშნავია, რომ, პროექტების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობის პროექტები დამატებითი სახსრებით ფინანსდებოდა სხვადასხვა პროგრამებიდან, ისეთებიდან, როგორებიცაა **“წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის”** პროგრამა, რომელიც ორიენტირებული იყო ლიტერატურის, წიგნისა და საბიბლიოთეკო სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაზე, ქვეყანაში ლიტერატურული პროცესის განვითარებაზე, მწერლობის ხელშეწყობაზე, წიგნისა და ლიტერატურის პოპულარიზაციაზე, ბიბლიოთეკების ხელშეწყობაზე; ასევე **“ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის”** პროგრამიდან, პროგრამა ემსახურებოდა პროფესიული მუსიკალური ხელოვნების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას, მის პოპულარიზაციასა და ტრადიციების დაცვას. **“ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა”** პროგრამა ემსახურებოდა პროფესიული თეატრალური ხელოვნების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, ქართული თეატრალური ხელოვნების ტრადიციების დაცვას, განვითარების ხელშეწყობას და პოპულარიზაციას. **“ქართული სეზონის”** პროგრამა⁶⁴ ქართული კულტურის უცხოეთში პოპულარიზაციაზე იყო ორიენტირებული.

საქართველოს კულტურის სამინისტროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები – მუზეუმები და თეატრები

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით ექვემდებარებიან მირზა ფათალ ახუნდოვის სახელობის საქართველოს აზერბაიჯანული კულტურის

⁶⁴ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო: www.culture.gov.ge.

ცენტრი, დავით ბაზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი, სმირნოვების მუზეუმი, ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრი, თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი, თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი.⁶⁵

მუზეუმები

სსიპ მირზა ფათალ ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი

მუზეუმი შექმნილია და ფუნქციობს მირზა ფათალ ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის ცენტრის, აგრეთვე ნარიმან ნარიმანოვის და მირზა ჯალილ მამედყულიზადეს სახლ-მუზეუმების ექსპონატების ბაზაზე და წარმოადგენს მათ სამართალმემკვიდრეს. მუზეუმში დაცულია მირზა ფათალ ახუნდოვის მემორიალური ნივთები, პიესები, საგაზეთო და სხვა ჩანახატები, აგრეთვე საქართველო-აზერბაიჯანის კულტურული ურთიერთობების ამსახველი ფოტომასალა, წიგნები, დოკუმენტები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის გამოცემები აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე.

2008 წლის დეკემბერში მუზეუმთან შეიქმნა კულტურის ცენტრი, რომელიც ეწევა კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობას საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის.

ცენტრში ფუნქციობს სიმღერისა და ცეკვის წრე, ხატვის კურსები, ხალიჩის ქსოვის, ხელოვნების, აზერბაიჯანული ეროვნული მუსიკალური საკრავების, ენების (ინგლისური, ქართული, აზერბაიჯანული), კომპიუტერის შემსწავლელი კურსები და სხვ.

“სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიისთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 13 მაისის №326 განკარგულებით, გორგასლის ქ. №17-ში არსებული შენობის მე-2 სართულზე არსებული ფართი, სადაც ფუნქციობდა სსიპ მირზა ფათალ ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი, პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიას. მასვე დაევალა გადაცემული ქონების ბაზაზე მუზეუმის ფუნქციონის უზრუნველყოფა და აღნიშნული შენობის რეკონსტრუქცია. ვინაიდან შენობას სამინისტროს მიერ მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, მისი, როგორც ძეგლის, ტერიტორიისა და მასში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაზიანებისა და განადგურებისაგან დასაცავად, გარემოს და მისთვის ისტორიულ-კულტურული ან სამეცნიერო ღირებულების შენარჩუნების მიზნით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის მერიას, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის საქართველოს წარმომადგენლობას შორის დაიდო ხელშეკრულება “ძეგლის მოვლა-პატრონობის შესახებ” (№07/01, 12.10.2009 წ.). მუზეუმის საქმიანობა განისაზღვრება “მუზეუმების შესახებ” საქართველოს კანონის და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრის მიერ 2007 წლის 27 მარტს დამტკიცებული №3/59 დებულების საფუძველზე.⁶⁶

მუზეუმში იმართება დოკუმენტური ფილმების ჩვენება, შეხვედრები, საიუბილეო საღამოები, ასევე აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები.⁶⁷

⁶⁵ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ <http://www.culture.gov.ge/text-8.html>.

⁶⁶ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=69958.

⁶⁷ ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ აზერბაიჯანელთა ეროვნულმა საბჭომ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა თბილისში, მეფისნაცვლის სასახლეში, 1918 წლის 28 მაისს გამოაცხადა.

	<i>2009 წ.</i>	<i>2010 წ.</i>	<i>2011 წ.</i>	<i>2012 წ.</i>	<i>2013 წ.</i>
სსიპ მირზა ფათალ ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის საბიუჯეტო დაფინანსება (ლარი)	31,900	29,400	31,900	30,000	30,000
მნახველის რაოდენობა	-	-	-	-	1210

სსიპ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი

საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი დაფუძნდა 1932 წლის 30 ნოემბერს, როგორც საუწყებო ორგანიზაცია, მშრომელ ებრაელთა კულტბაზის ფარგლებში. სსრკ-ში მიმდინარე ანტისემიტური მოძრაობის დროს, 1951 წელს, მუზეუმი დაიხურა. აღდგა საქართველოს მთავრობის 1992 წლის 30 ნოემბრის №1017 დადგენილებით და მიენიჭა ცნობილი რაბინისა და საზოგადო მოღვაწის, დავით ბააზოვის სახელი. უმწვავესი ავარიული მდგომარეობის გამო, მუზეუმი წლებია არ ფუნქციონებს. არსებული ისტორიული ნაგებობისა და ეროვნული საერთაშორისო მნიშვნელობის სამუზეუმო დაწესებულების გადასარჩენად მუზეუმისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის 2004 წლის 25 ივლისის №654 განკარგულებით “დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის აღდგენა-რეკონსტრუქციის ღონისძიებათა შესახებ” დაისახა მუზეუმის, როგორც ებრაელთა საქართველოში ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმტკიცებისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა შემსწავლელი უნიკალური სამეცნიერო ცენტრის, ფუნქციონებისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებები. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 17 აგისტოს №493 ბრძანებულებით,⁶⁸ განისაზღვრა მუზეუმის ახალი სამართლებრივი სტატუსი – “სსიპ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი”.

მუზეუმში დაცული მასალა – ეპიგრაფიკული, ხელნაწერი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ისტორიული, მხატვრული, არქივები და ა.შ., – 1951 წელს, მუზეუმის გაუქმების შემდეგ განთავსდა საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში, ინსტიტუტებსა და საცავებში. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის №654 განკარგულებით, განსაზღვრულია შენობის რეკონსტრუქციის დამთავრებისთანავე მუზეუმში კუთვნილი მასალების დაბრუნება.

მუზეუმი ეწევა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას საქართველოს ებრაელთა ისტორიის, ეთნოლოგიის, კულტურული მემკვიდრეობის, ქართულ-ებრაული ისტორიული ურთიერთობების საკითხებზე. ასევე გამოსცემს მუზეუმის კრებულს. მუზეუმმა გამოსცა სამეცნიერო კონფერენციის მასალები “კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა”.

მუზეუმის, როგორც სსიპ-ის, ყოველწლიური ბიუჯეტი ძირითადად სახელფასო ფონდია და იგი ვერ წვდება გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების ხარჯებს, რომელსაც მუზეუმი საჭიროებს. 2010 წელს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობათა საბჭოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიის დროს კულტურის მინისტრმა განაცხადა, რომ არსებობს ამ მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი, თუმცა ამ შენობას სჭირდება სოლიდური ფინანსური რესურსები, რომელიც ამჟამად სამინისტროს ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ სამინისტრომ თხოვნით მიმართა ქალაქ თბილისის

⁶⁸ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=98620.

მერიას და მიიღო პირობა, რომ მერია ამ შენობას შეიტანს სარეაბილიტაციო ძეგლთა ნუსხაში, მაგრამ პირობა არ შესრულდა. 2013 წელს საქველმოქმედო ფონდ “ქართუს“ მიერ განხორციელდა მუზეუმის შენობის (XIX ს. სინაგოგა, რომელსაც მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი) სარეაბილიტაციო-გამაგრებითი სამუშაოები, რის შემდეგაც მოეწყო ექსპოზიცია. ამჟამად მიმდინარეობს სპილენძით სახურავის გადახურვა. მიმდინარე სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2014 წლის მეორე ნახევარში.

მუზეუმის დასახელება	2009 წ.	2010 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.
სსიპ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის საბიუჯეტო დაფინანსება (ლარი)	79,200	79,200	70,000	75,000	75,000
მნახველის რაოდენობა	0	0	0	0	0

სსიპ ჩერქეზული (ადილეური) კულტურის ცენტრი

სსიპ შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 11 ოქტომბრის №606 ბრძანებულების და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 9 ნოემბრის №3/286 ბრძანების⁶⁹ საფუძველზე. ცენტრის მიზნად განისაზღვრა ქართველი და კავკასიელი ერების დაახლოება, მათი კულტურის განვითარება და პოპულარიზაცია; კავკასიის ერებს შორის დიალოგის, ურთიერთთანხმობისა და თანამშრომლობის მხარდაჭერა; საქართველოსა და კავკასიის ერებს შორის სამეცნიერო კვლევების, კულტურულ და საზოგადოებრივ საკითხებზე ურთიერთთანამშრომლობის ინიცირება და მისი მხარდაჭერა; კავკასიის რეგიონის კულტურის, ისტორიის, საზოგადოების, ეკონომიკისა და პოლიტიკის შესწავლა და შესაბამისი ცოდნის პოპულარიზაცია.

სსიპ თელავის ისტორიული მუზეუმი

თელავის ისტორიული მუზეუმი ამ ეტაპზე არ მუშაობს, 2012 წლის ბოლოს დაიწყო მუზეუმის კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ფინანსდება. მუზეუმი მდიდარი ისტორიული მასალის და ხელოვნების ნიმუშების საცავია, აქტიურად მუშაობს დამთვალიერებელთა მოზიდვაზე. ამისათვის მუზეუმმა შეიმუშავა სპეციალური პროგრამა “დოპ” (დამთვალიერებელზე ორიენტირებული პროგრამა). ამ პროგრამის ფარგლებში მუზეუმი აქტიურად თანამშრომლობს სკოლებთან, მათ შორის სოფ. ყარაჯალის⁷⁰ აზერბაიჯანულ სკოლასთან. აღნიშნული სკოლის მოსწავლეები ხშირად მოდიან მუზეუმში. აქ ისინი ატარებენ ღია გაკვეთილებს და თეატრალურ წარმოდგენებს. მუზეუმი მომავალშიც გეგმავს სოფელ ყარაჯალის სკოლასთან თანამშრომლობას. მუზეუმი ფინანსდება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ. მუზეუმისათვის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია კოლექციის განახლება, რადგან მწელია თანხის გამონახვა ახალი ექსპონატების შესაძენად.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი (ახალციხე)

⁶⁹ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1506830.

⁷⁰ თელავის რაიონში არის მხოლოდ ერთი სოფელი – ყარაჯალა, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები.

მუზეუმი შესანიშნავი მაგალითი და რესურსია კულტურათა დიალოგის წარმოსაჩენად, ამჟამად იგი ეროვნული მუზეუმის ნაწილია. მუზეუმი დაარსდა 1923 წელს ახალციხეში, როგორც სამაზრო მუზეუმი და მას ივანე გვარამაძემ ყველა თავისი მასალა გადასცა. 1937 წელს მის ბაზაზე გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. 2005 წლამდე ის იყო სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი, 2005 წლიდან კი შევიდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში. მუზეუმში რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია თავმოყრილი: უძველესი ხელნაწერები, ეპიგრაფიკული, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, ეთნოგრაფიული მასალა და ფოტოდოკუმენტები. დღეისათვის მუზეუმის ფონდებში 25 ათასზე მეტი ექსპონატია დაცული, მათ შორის, ხელნაწერთა და ძველ ნაბეჭდ წიგნთა ფონდი. განსაკუთრებული ადგილი ქართულ ლაპიდალურ ნიმუშებსა და ხალიჩა-ფარდაგების გამოფენებს უკავია. 2011 წელს რაბათის უზნის რესტავრაციის ფარგლებში მოხდა მუზეუმის შენობის რესტავრაცია. მუზეუმი ყოველწლიურად ატარებს ნორჩ ისტორიკოსთა კონფერენციას. იგი ადრე სიმბოლურად ტარდებოდა ახალციხის ძველ უბანში, სინაგოგის ტერიტორიაზე. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქართველი და სომეხი სტუდენტები. გარდა ამისა, ეროვნული მუზეუმის მიერ ჩატარდა თვითნასწავლი ებრაელი მხატვრის, შალვა კობოშვილისადმი მიძღვნილი სემინარი.

მუზეუმში დაცულია ქართულ-ებრაული ურთიერთობის, ახალციხეში ებრაული თემის ისტორიის ამსახველი მდიდარი მასალა, ასევე, მე-19 საუკუნეში ქართველი კათოლიკე განმანათლებლების მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

აიკ გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

მუზეუმი სუბსიდიის სახით ფინანსდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ. მუზეუმის ბიუჯეტი 2010 წელს შეადგენდა 55 000 ლარს, 2011 წელს – 58 000 ლარს. მუზეუმს 3 ფილიალი აქვს **მარტყოფში, ნორიოში და სართიჭალაში**. მუზეუმი ყოველწლიურად 18 მაისს აღნიშნავს მუზეუმის საერთაშორისო დღეს და აწყობს ღია კარის დღეს. გარდაბნის მუზეუმში დაცულია როგორც ქართული კულტურის ნიმუშები, ისე აზერბაიჯანული ყოფის ნივთები, ტრადიციული საკრავები და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ არასაკმარისი ფინანსური რესურსების მიუხედავად, თანამშრომლები აგრძელებენ ქართული და აზერბაიჯანული კულტურის ნიმუშების შეგროვებას. მუზეუმს მუდმივად ჰყავს დამთვალიერებელი. აქ ხშირად დადიან ქართველი და აზერბაიჯანელი მოსწავლეები. მუზეუმის ექსპონატები კარგ შესაძლებლობას აძლევს მათ, ერთ საგამოფენო დარბაზში იხილონ სხვადასხვა კულტურისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ნაკეთობები, ყოფითი და საბრძოლო იარაღი. მუზეუმი ყოველწლიურად აწყობს სამეცნიერო სესიებს და გამოსცემს შრომების კრებულს⁷¹. ამჟამად მუზეუმის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ფართის საკითხი. რამდენიმე წელია, მუზეუმი ძველი შენობიდან გადმოვიდა და განთავსებულია კულტურის ცენტრის შენობის 2 ოთახში, რაც საკმარისი ფართი არ არის მუზეუმის ფუნქციონირებისთვის. ექსპონატების ნაწილი გამოფენილია შემოსასვლელში, ნაწილი კი ყუთებში ინახება.

ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ბოლნისში ფუნქციონებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხოლო სოფელ ხაჩინში არის საბავშვო მწერლის, ღაზაროს ალიანის სახლ-მუზეუმი. აღნიშნული მუზეუმები, ისევე, როგორც დმანისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფინანსდება ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ.

სოფელ დუისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

ახმეტის რაიონის სოფელ დუისში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გაიხსნა 2011 წლის შემოდგომაზე. მუზეუმის ექსპონატები შეაგროვა მუზეუმის თანამშრომელმა გებიმ ხანგოშვილმა. ეს არის ქისტური და ქართული ყოფა-ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ნივთები. ასეთი მუზეუმის არსებობა პანკისის ხეობაში მისასაღმებელია, ვინაიდან ის ხელს უწყობს ხეობაში ტურისტების მოზიდვას და ადგილობრივი კულტურის პოპულარიზაციას.

⁷¹კონფერენციის რამდენიმე თემა ეხებოდა საკითხს, თუ როგორ დასახლდა ზოგიერთი აზერბაიჯანული სოფელი: ქანდარა და სხვა; მ. ბულოლაშვილმა მოამზადა ნაშრომი "ქვემო ქართლის ეთნიკური სურათი მე-12-15 საუკუნეში".

დუხობორების მემკვიდრეობა

საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების და ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია დუხობორების თემი ჯავახეთის და ქვემო ქართლის რამდენიმე სოფელში. ჯავახეთის რამდენიმე სოფელში ამ რელიგიურმა ერთობამ თვითმყოფადი კულტურული გარემო შექმნა, რომლის ანალოგი უკვე სხვა ქვეყნებში აღარ შემორჩა, რადგან უკვე კარგა ხანია, მორწმუნეთა რიცხვი თემში მცირდება და ბევრ ქვეყანაში იგი თვითლიკვიდაციითაც დასრულდა. 90-იანი წლებიდან დაიწყო დუხობორების მასობრივი მიგრაცია ისტორიულ სამშობლოში, რუსეთში, სადაც დუხობორების კონფესიის დასუსტება და ასიმილაცია მოხდა. დღეს ჯავახეთში, ნინოწმინდის რაიონის ორ პატარა სოფელში, გორელოვკასა და ორლოვკაში ცხოვრობენ. სოფელ გორელოვკაში ცენტრალურ ქუჩას გამორჩეული ორნამენტებიანი ხის სახლებით, ე.წ. “ობოლთა სახლის” სამლოცველო სახლს, აბანოს, კალმიკოვების სახლს, კალმიკოვების საზაფხულო სახლს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრის 31.10.2008 წლის №3/221 ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა. სამწუხაროდ, კომპლექსი დღეს არ ფუნქციონებს და დღემდე გადაწყვეტილი არ არის მისი მომავალი. საჭიროა, რომ მუზეუმს მიენიჭოს იურიდიული პირის სტატუსი. საკითხის გადაწყვეტაში ჩართული უნდა იყოს როგორც კულტურის სამინისტრო, ისე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი.

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი “კავკასიური სახლი”

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი “კავკასიური სახლი” არის საბჭოთა კავშირის პერიოდში დაარსებული მთარგმნელობითი კოლეგიის სამართალმემკვიდრე და პირდაპირ ფინანსდებოდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ბიუჯეტიდან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გართულებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და მჭირი დაფინანსების გამო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ იმავე სახელით და იმავე მიზნებით დაარსდა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი “კავკასიური სახლი”, რომლის ძირითადი მიზანია ორგანიზაციის ფუნქციების შესასრულებლად საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და დამატებითი დაფინანსების მოძიება.

ორგანიზაციამ წარმატებული მუშაობის შედეგად მოახერხა ფონდ “ჰორიზონტის” მხარდაჭერის მოპოვება, რის შედეგად საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ფონდ “ჰორიზონტს” შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ფონდს უნდა განეხორციელებინა ორგანიზაციის ოფისის სრული რეაბილიტაცია-რესტავრაცია და დამატებითი სამუშაო ფართის დაშენება, ხოლო კულტურის სამინისტრო ორგანიზაციის მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებისათვის ხელშეწყობის ვალდებულებას იღებდა. ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებდა შემდეგს: თუ ორგანიზაცია შეიცვლიდა პროფილს, კულტურის სამინისტრო ფონდ “ჰორიზონტისათვის” დახარჯული თანხის დაბრუნების ვალდებულებას იღებდა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის ფარგლებში აიღო ვალდებულება საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის – “კავკასიური სახლის” საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ. 2009 წელს “კავკასიური სახლი” პროგრამულად დაფინანსდა 20 000 ლარით. “კავკასიურ სახლში” წლის განმავლობაში ჩატარდა სერგო ფარაჯანოვის 85 წლისადმი მიძღვნილი საღამო, შეხვედრები მოსწავლეებთან, სემინარები რელიგიურ და პოლიტიკურ თემებზე, რუსული, აზერბაიჯანული, სლავური დამწერლობისადმი მიძღვნილი საღამოები, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების კულტურის, ფოლკლორის, პოეზიის საღამოები და ფილმების ჩვენება. 2010 წელს “კავკასიური სახლი” აღარ დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რადგან ის არ არის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სსიპ სმირნოვების მუზეუმი

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის – “კავკასიური სახლის” ბაზაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 18.10.2010 წლის №3/227 ბრძანებით დაარსდა საჯარო

სამართლის იურიდიული პირი – “სმირნოვების მუზეუმი“. “სმირნოვების მუზეუმის“ ფონდს შენობაში რამდენიმე ოთახი უკავია. 2010 წლიდან მუზეუმი დალუქულია. მიუხედავად საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებისა, მუზეუმს არ აქვს ბიუჯეტი, არ ჰყავს დირექტორი, თანამშრომლები და სსიპ-ისათვის დამახასიათებელი სხვა ატრიბუტიკა, შესაბამისად, ის ამჟამად არ ფუნქციონებს.

ამჟამად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და “კავკასიურ სახლს“ შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები მუზეუმის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

თეატრები

სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი⁷²

სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითა და თავისი დებულების შესაბამისად, დამოუკიდებლად წარმართავს თავის შემოქმედებით და სამეურნეო საქმიანობას. თეატრი დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ და შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

თეატრი წარმოადგენს ხანგრძლივი ტრადიციების მქონე სარეპერტუარო-სტაციონარულ და პროფესიულ სახელმწიფო თეატრს, რომელსაც აქვს მუდმივი სარგებლობისათვის განკუთვნილი შენობა, ჰყავს მუდმივმოქმედი თეატრალური დასი, რომლის უშუალო მონაწილეობით იდგმება თეატრალური ხელოვნების ნაწარმოები, დრამატული, ტრაგიკული, კომედიური, თოჯინური, მარიონეტული თუ სხვა სახის სცენური წარმოდგენები და სპექტაკლები.

თეატრს აქვს განცალკევებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა ანგარიშები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი საკუთარი დასახელებით, შტამპი, ბლანკი, ემბლემა და იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები. თეატრს შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, საკუთარი სახელით შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იტვირთოს ვალდებულებები, უფლებამოსილია, დადოს ხელშეკრულება-გარიგებები, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში თავისი საქმიანობის განსახორციელებლად.

თეატრის ძირითადი მიზანი, ფუნქცია და საქმიანობის საგანია მსოფლიო და ეროვნულ ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების დადგმა და მათი მეშვეობით მოსახლეობის ფართო ფენებში თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა, სულიერი და ესთეტიკური აღზრდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, სასცენო ხელოვნების მეშვეობით სალიტერატურო ენის დაცვა, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების პროპაგანდა, საქართველოს თეატრალური ხელოვნების მსოფლიო კულტურულ სივრცეში გაერთიანება.

თეატრისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი ძირითადად გათვალისწინებულია ხელფასებზე. თეატრის შენობა ავარიულია და დარბაზში სპექტაკლის ჩატარება საშიშია, რის გამოც დასი ძირითადად ორიენტირებულია გასვლითი სპექტაკლების გამართვაზე. თეატრის ხელმძღვანელობამ თეატრის რეკონსტრუქციის მიზნით არაერთხელ მიმართა საქართველოს მთავრობას, საიდანაც მიიღო დაპირება რომ 2010 წლის მეორე ნახევარში დაიწყება შენობის რეაბილიტაცია, მაგრამ შენობა ისევ ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება.

თბილისში სომხური დრამატული თეატრის შენობა აშენდა XX საუკუნის ოცდაათიან წლებში და ექსპლუატაციაში შევიდა 1936 წელს. მას რეკონსტრუქცია ჩატარდა 1968-1972 წლებში. მას მერე შენობის კაპიტალური რემონტი არ განხორციელებულა. საქველმოქმედო ფონდ “ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარესთან საუბრისას გაირკვა, რომ თეატრის მხრიდან ფონდში შესული განაცხადის საფუძველზე ფონდმა განიხილა და საკითხის შესასწავლად თეატრში სპეციალისტები გააგზავნა, რომლებიც ადგილზე გაეცნენ მდგომარეობას. თეატრის რეკონსტრუქციის საკითხი ფონდს ჯერ კიდევ არ განუხილავს.

⁷² საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დებულება.
https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1994597.

თეატრის დასი ძირითადად გასტროლებზეა ორიენტირებული. გასტროლები ჩატარდა სომხეთის ქალაქებში – ერევანში, გიუმრში, ვანაძორში, ასევე საქართველოს რეგიონებში – სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. 2011 წელს თეატრის დასი გასტროლებით იმყოფებოდა პარიზში.

<i>სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი⁷³</i>	<i>2009 წ.</i>	<i>2010 წ.</i>	<i>2011 წ.</i>	<i>2012 წ.</i>	<i>2013 წ.</i>
საბიუჯეტო დაფინანსება (ლარი)	120,000	130,000	130,000	135,000	402,300
სპექტაკლების რაოდენობა	71	40	32	21	34
პრემიერა	4	4	3	4	7
გასტროლები	22	36	30	19	-
მაყურებლის რაოდენობა	7084	5572	5313	2419	5493

სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი⁷⁴

სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი არის მხატვრულ-საანგარიშითი დაწესებულება, იგი ფუნქციონებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე, დამოუკიდებლად წარმართავს თავის შემოქმედებით საქმიანობას. თეატრი დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ განუსაზღვრელი ვადით.

თეატრი წარმოადგენს სტაციონარულ სარეპერტუარო, პროფესიულ სახელმწიფო თეატრს, რომელსაც გააჩნია მუდმივი სარგებლობისათვის განკუთვნილი შენობა, ჰყავს მუდმივმოქმედი თეატრალური დასი, რომლის უშუალო მონაწილეობით იდგმება თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები თუ სხვა სახის სცენური წარმოდგენები და სპექტაკლები.

თეატრს აქვს სახელმწიფოს მიერ გადაცემული განცალკევებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა სახის ანგარიშები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი საკუთარი დასახელებით, შტამპი, ბლანკი, ემბლემა და იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები. თეატრს შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, საკუთარი სახელით შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იტვირთოს ვალდებულებები, უფლებამოსილია, დადოს ხელშეკრულება-გარიგებები, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

თეატრის ძირითად ფუნქციას, მიზანს და საქმიანობის საგანს წარმოადგენს მსოფლიო და ეროვნულ ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების დადგმა, მათი მეშვეობით თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა და მოსახლეობის ფართო ფენების მხატვრული აღზრდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, სასცენო ხელოვნების მეშვეობით სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების პროპაგანდა, საქართველოს თეატრალური ხელოვნების მსოფლიო კულტურულ სივრცეში გაერთიანება.

⁷³ სტატისტიკური ინფორმაცია მოწოდებულია თეატრის დირექტორის მოადგილის მიერ.

⁷⁴ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის დებულების დამტკიცების შესახებ: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1997398.

სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანულ პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს იგივე ტიპის პრობლემატიკა გააჩნია, რაც სხვა თეატრებს – არასაკმარისი დაფინანსება, რომელიც ძირითადად ხელფასებისთვის და კომუნალური გადასახადებისათვის არის განკუთვნილი. შენობა ასევე ავარიულია, თეატრის დიდ დარბაზში სპექტაკლები ვერ ტარდება, რადგან დარბაზიც ავარიულია. ფუნქციონს პატარა 50-კაციანი დარბაზი, რაც საკმარისი არ არის, რადგან სპექტაკლებს ბევრი მაყურებელი ჰყავს. ხანდახან რუსთაველის თეატრი ან ოპერის თეატრი უსასყიდლოდ სთავაზობდა მათ დარბაზებს. თეატრი ასევე საჭიროებს კოსტიუმებსა და დეკორაციებს.

<i>სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი⁷⁵</i>	<i>2009 წ.</i>	<i>2010 წ.</i>	<i>2011 წ.</i>	<i>2012 წ.</i>	<i>2013 წ.</i>
საბიუჯეტო დაფინანსება (ლარი)	130,000	130,000	130,000	135,000	135,000
სპექტაკლების რაოდენობა	15	18	20	18	11
პრემიერა	3	4	2	1	2
გასტროლები	5	6	5	5	3
მაყურებლის რაოდენობა	1900	2800	3000	3100	4585

სსიპ თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი⁷⁶

სსიპ ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო მხატვრულ-სანახაობითი დრამატული თეატრი წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

თეატრს აქვს სახელმწიფოს მიერ გადაცემული განცალკევებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა სახის ანგარიშები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი საკუთარი დასახელებით, შტამპი, ბლანკი, ემბლემა და იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები. თეატრს შეუძლია, თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, საკუთარი სახელით შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იტვირთოს ვალდებულებები, უფლებამოსილია, დადოს ხელშეკრულება-გარიგებები, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

თეატრი წარმოადგენს სტაციონარულ-სარეპერტუარო, პროფესიულ სახელმწიფო თეატრს, რომელსაც გააჩნია მუდმივი სარგებლობისათვის განკუთვნილი შენობა, ჰყავს მუდმივმოქმედი თეატრალური დასი, რომლის უშუალო მონაწილეობით იდგმება თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები – დრამატული, ტრაგიკული, კომედიური თუ სხვა სახის სცენური წარმოდგენები.

თეატრის ძირითად მიზანს, ფუნქციას და საქმიანობის საგანს წარმოადგენს მსოფლიო ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების დადგმა და მათი მეშვეობით თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა, მოსახლეობის ფართო ფენების მხატვრული აღზრდა და მათთვის რუსული კლასიკური და თანამედროვე თეატრალური ნამუშევრების გაცნობა, რუსული და მსოფლიო თეატრალური ნამუშევრების გაცნობა, რუსული და მსოფლიო თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ზოგადსაკაცობრიო იდეალების პროპაგანდა, ქართველი და რუსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობის განმტკიცება. თეატრის ძირითადი მიზანია რუსული და მსოფლიო ხალხთა

⁷⁵ სტატისტიკური ინფორმაცია მოწოდებულია თეატრის დირექტორის მიერ.

⁷⁶ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება სსიპ თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრის დებულების დამტკიცების შესახებ: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1997346.

დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშების საფუძველზე მაღალმხატვრული სპექტაკლების შექმნა, აგრეთვე, სხვა ტიპის წარმოდგენებისა და შემოქმედებითი პროექტების განხორციელება. თეატრის ამოცანაა საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის განვითარების ხელშეწყობა, აგრეთვე შემოქმედებითი ახალგაზრდული ძალების რეალიზაცია, მათი მხატვრული აღზრდა-დაოსტატება.

აღ. გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გამოყოფილი თანხა გათვალისწინებულია ხელფასებზე. რაც შეეხება სპექტაკლების დადგმას, თეატრი ამ მიზნით სპექტაკლებიდან მიღებულ შემოსავლებს იყენებს. შენობას რეკონსტრუქცია ფონდ “ქართუს” დაფინანსებით ჩაუტარდა, ფონდი “ქართუ” ასევე იხდიდა კომუნალურ გადასახადებს.

ს.ს.ი.პ. თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი⁷⁷	2009 წ.	2010 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.
საბიუჯეტო დაფინანსება (ლარი)	370,000	370,000	399.600	1.097.400	1.100.000
სპექტაკლების რაოდენობა	141	109	132	110	145
პრემიერა	4	4	4	4	4
გასტროლები	0	3	1	2	4
მაყურებლის რაოდენობა	16255	17266	16488	16785	18811

ბიბლიოთეკები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს საბიბლიოთეკო მართვის სისტემა დაიშალა. 1996 წელს მიღებული საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ⁷⁸ და საქართველოს კანონი ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ⁷⁹ საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციას და მართვის ახალი სისტემის ჩამოყალიბებას ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად ავალებდა კულტურის სამინისტროს. მათ ერთობლივად უნდა განეხორციელებინათ ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარება, უნდა უზრუნველყოთ საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების შესრულება, საბიბლიოთეკო კადრების მომზადება-გადამზადების პოლიტიკის განსაზღვრა, საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო სტანდარტების დაცვის კონტროლი, საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებული შეგროვება და ანალიზი. სამწუხაროდ, კანონი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. დღემდე არ არსებობს ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკა და ყველა აქტივობა ამ მიმართულებით სპონტანურია. რეგიონებში ბიბლიოთეკებზე მეურვეობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაეკისრა. მათივე ბიუჯეტიდან ფინანსდება ადგილობრივი ბიბლიოთეკები.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ბიბლიოთეკების დაფინანსებას და მათი შეუფერხებელი ფუნქციონის ხელშეწყობას. ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა ბიბლიოთეკების ბედი, კერძოდ, სოფლის ბიბლიოთეკების მდგომარეობა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2006 წლიდან დაიწყო სოფლის ბიბლიოთეკების ლიკვიდაციის პროცესი, რასაც მწვავე გამოხმაურება მოჰყვა ადგილობრივ თემში. სოფლებში ბიბლიოთეკების ფუნქციონის საკითხი დღემდე აქტუალური რჩება. 2007 წლიდან ბიბლიოთეკები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია (მანამდე კულტურის და და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბიუჯეტზე იყო). ზოგიერთ რეგიონში (მაგ. იმერეთში) ფინანსების სიმცირის გამო მასობრივად დაიხურა სოფლის ბიბლიოთეკები. მსგავსი პრობლემის წინაშე დგანან ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების ბიბლიოთეკები. თუმცა ბოლო წლებში ამავე რეგიონებში დადებითი ნაბიჯიც გადაიდგა, აღდგა რამდენიმე დახურული ბიბლიოთეკა.

⁷⁷ სტატისტიკური ინფორმაცია მოწოდებულია თეატრის დირექტორის მოადგილის მიერ.

⁷⁸ საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ: <http://www.nplg.gov.ge/geo/7/alias%2063/id27>.

⁷⁹ საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ: <http://www.nplg.gov.ge/geo/7/alias%2062/id26>.

2009 წელს საქართველოს პრეზიდენტის ეროვნული პროგრამით 120 ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი იქნა 939 651 ლარი, მათთვის შეიძინეს ახალი ლიტერატურა, კომპიუტერული ტექნიკა და საბიბლიოთეკო ინვენტარი. სამინისტროში მოეწყო ახალი წიგნების გამოფენა, სადაც უწყებამ თითოეული მუნიციპალური ბიბლიოთეკისათვის შეიძინა ახალი გამოცემები ათასი ლარის ფარგლებში.

ახალციხეში 2007 წლის გაზაფხულზე ფუნქციობდა მხოლოდ მთავარი ბიბლიოთეკა და ლიკვიდირებული იქნა 41 ფილიალი. 2008 წლის გაზაფხულზე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით, ყველა მუნიციპალიტეტის ორ-ორ სოფელში კვლავ გაიხსნა ბიბლიოთეკები. ამჟამად ახალციხის რაიონში ხუთი ბიბლიოთეკა ფუნქციობს (რაბათის და ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკა ახალციხეში, სოფ. აწყურში, სოფ. ურაველში და ქ. ვალეში). 2011 წელს მოხდა ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის განახლება. ყოველწლიურად ბიბლიოთეკას 5000 მკითხველი ჰყავდა. ბიბლიოთეკას აქვს მდიდარი ფონდები ქართულ, სომხურ, თურქულ, რუსულ, ბერძნულ ენებზე. განახლება ხდება ყოველწლიურად. ორი წლის წინ შეივსო ბიბლიოთეკების ფონდი აწყურში, რაბათში.

ღიად დგას საკითხი, თუ რა ბედი ეწევათ იმ ბიბლიოთეკის წიგნებს, რომლებიც დაიხურა⁸⁰. ლიკვიდირებული ბიბლიოთეკების წიგნის ფონდების ნაწილი გადაეცათ სკოლის ბიბლიოთეკებს, რასაც აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. კარგია, რომ ამ წიგნებს ისევ ეყოლება მკითხველი, დაცული იქნება სკოლის შენობაში, მაგრამ სკოლის განრიგი შეუთავსებელია ჩველებრივი ბიბლიოთეკის მკითხველისათვის. საზაფხულო და სხვა სასკოლო არდადეგებზე წიგნები მიუწვდომელი ხდება მკითხველისათვის.

ახალქალაქის რაიონში სულ 17 ბიბლიოთეკაა⁸¹. თითოეულში თითო თანამშრომელი მუშაობს. ახალქალაქის ბიბლიოთეკების კავშირის დირექტორის ინფორმაციით, რაიონის სოფლებში არის მოთხოვნა ბიბლიოთეკებზე, მაგრამ ისინი ვერ გეგმავენ ახალი ფილიალების გახსნას, რადგან არ აქვთ დაფინანსება. მოთხოვნა დიდია სოფლებში: ტურცხი, ოლავერდი, სამსარი, ალათუმანი, ბუღაშენი, ლომატურცხი, მერენია. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სომხური მოსახლეობით დასახლებულ დილისკისა და ხანდოს სასოფლო ბიბლიოთეკებს ჩაუტარდა რემონტი და აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით.

ნინოწმინდის რაიონში 2010 წელს ბიბლიოთეკების დაფინანსებისთვის გამოყოფილი იყო 55 000 ლარი. 2011 წელს განმაში, დიდ გონუდრაში პრეზიდენტის პროგრამის ფარგლებში გაიხსნა ბიბლიოთეკები და გადაეცათ კომპიუტერები, მომარაგდა შესაბამისი ინვენტარით. სოფლის კლუბების, ბიბლიოთეკების დაფინანსება ხდება სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში.

გარდაბნის რაიონში 19 ბიბლიოთეკაა. დღეში 20-25 მკითხველი ჰყავთ. როგორც ბიბლიოთეკების გაერთიანების ცენტრის უფროსმა აღნიშნა, გარდაბნის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ხშირად მოდიან აზერბაიჯანულენოვანი სკოლებიდან. გარდაბნის პირველმა სკოლამ ბიბლიოთეკაში მოაწყო “ვეფხისტყაოსნის” საჯარო კითხვის დღე. 2010 წელს ცენტრი დაფინანსდა 2000 ლარით. ბიბლიოთეკის ამჟამინდელი პრობლემა სამკითხველო დარბაზის გათბობა ზამთარში. ასევე ბიბლიოთეკა საჭიროებს სტენდების და წიგნის ფონდების განახლებას.

მარნეულის რაიონში 6 ბიბლიოთეკაა, აქედან 1 სომხური, 4 აზერბაიჯანული და 1 შერეული ცენტრალური ბიბლიოთეკა. ყველა ბიბლიოთეკა საჭიროებს რემონტს და წიგნების ფონდის განახლებას. მარნეულის რაიონში გარემონტდა სოფელ სადახლოს ბიბლიოთეკა და აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით.

დმანისის რაიონში 4 ბიბლიოთეკაა: 1 აზერბაიჯანული სოფ. ამაგლოში და 3 ქართული: დმანისის ცენტრალური ბიბლიოთეკა, სოფელ გომარეთში და სოფელ ვარდისუბანში.

2010 წელს **წალკის** რაიონში დაგეგმილი ახალი ბიბლიოთეკები (სოფ. ხაჩკოვში და არსარვანში) არ გახსნილა. 2012 წელს ბიბლიოთეკები გაიხსნა სოფელ თრიალეთში, ხოლო სოფელ განთიადში და კიზილკირასში ბიბლიოთეკები გაიხსნა 2008 წელს. ამავე წელს გარემონტდა წალკის ცენტრალური ბიბლიოთეკა.

⁸⁰ როგორც ახალციხეში, ისე ახალქალაქში ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომლები მაინც პატრონობენ წიგნებს, რომლებიც ან დაკეტილ ბიბლიოთეკაში ან კერძო სახლებშია შენახული.

⁸¹ ბიბლიოთეკებში 2010/2011 წლებში გაკეთდა რემონტი, სველი წერტილები. რემონტს საჭიროებს რამდენიმე ბიბლიოთეკა (მაგ., სოფ. მაჯადია).

ქართული წიგნებით ფონდების განახლებას ეს ბიბლიოთეკებიც საჭიროებენ. მათ სომხურ წიგნებს პერიოდულად გადასცემს სომხეთის საელჩო საქართველოში.

წიგნის ფონდები თითქმის ყველა ბიბლიოთეკაში ორი წლის წინ საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში განახლდა. გათბობის საკითხი მწვავედ დგას ყველა მოქმედ ბიბლიოთეკაში. ეს კი ზამთარში აფერხებს მათ ფუნქციონებას. ყველა რაიონისთვის მტკივნეულ და გადაუჭრელ საკითხად რჩება სოფლის ბიბლიოთეკების ბედი. მათი არსებობისთვის ფინანსების მოძიება ყველა მუნიციპალიტეტში ჭირს. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკების მხარდაჭერა სამოქმედო გეგმის ნაწილია, ბიბლიოთეკების განვითარება არცერთი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულება არ არის და 2009 წლიდან არ ხორციელდება არცერთი დამატებითი პროგრამა მდგომარეობის შესაცვლელად. საჭიროა, რომ მოხდეს ასეთი მიმართულების ცენტრალური ხელისუფლებიდან ინიცირება და მასში მონაწილეობა მიიღოს განათლების და მეცნიერების და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროებმა, რეგიონული განვითარების მიმართულებით მომუშავე სხვადასხვა სტრუქტურებმა.

სამუსიკო სკოლები

ეროვნული კონცეფცია ითვალისწინებს სამუსიკო სკოლების ფუნქციონების ხელშეწყობას. 2008 წლის რეფორმის შემდეგ სამუსიკო სკოლები ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში გადავიდა. სამუსიკო განათლებასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი გამოიკვეთა, რომელიც ეხება საქართველოს ყველა რეგიონის სამუსიკო სკოლას, მათ შორის, უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს, სადაც სამუსიკო განათლების მიღება უფრო გართულდა. რეფორმის შემდეგ საქართველოში გაუქმდა სამუსიკო სასწავლებლები, ე.წ. მუსიკალური ათწლედი, რომელიც იყო სამუსიკო სკოლების შემდეგი საფეხური და წინაპირობა უმაღლესი მუსიკალური განათლების მისაღებად. ასეთი სასწავლებელი დღეს მხოლოდ თბილისში არსებობს.⁸² კონსერვატორიაში სწავლის მსურველი რეგიონებში მცხოვრები ყველა მოსწავლისათვის დგება საკითხი: ჩააბაროს თბილისში არსებულ სასწავლებელში და, შესაბამისად, ოჯახთან ერთად შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი, რაც მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული: მატერიალური, ოჯახური და ა.შ. რაიონებში სამუსიკო სასწავლებლების დახურვა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს რეგიონში მცხოვრებ მოსწავლეებს. მცირდება მათი შანსი, მიიღონ უმაღლესი მუსიკალური განათლება. უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობაში ჩნდება ტენდენცია, ასეთი განათლება მიიღონ მეზობელ ქვეყნებში: სომხეთი, რუსეთი და ა.შ., სადაც მათ უფრო მეტი ნათესავები ჰყავთ და მეტი კონტაქტები აქვთ.

ახალციხის რაიონში დღეს ფუნქციონებს 4 სამუსიკო სკოლა⁸³. რაიონებში არსებული სამუსიკო სასწავლებლების კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ჰქონდათ, კარიერა გაეგრძელებინათ, როგორც მუსიკის პედაგოგებს. 2008 წლამდე ახალციხეში არსებობდა თბილისის 1 სამუსიკო სასწავლებლის ფილიალი. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულებს შეეძლოთ, სწავლა გაეგრძელებინათ კონსერვატორიაში ან ემოშავათ პედაგოგებად სამუსიკო სკოლებში. როგორც ახალციხის სამუსიკო სკოლის დირექტორმა განაცხადა, “რეგიონში თითქმის ყველა სამუსიკო სკოლის პედაგოგი ამ ფილიალის კურსდამთავრებულია (ბორჯომი, აბასთუმანი, ასპინძა და ა.შ.)“. დღეს ფილიალი გაუქმდა და იგი არსებობს, როგორც ექვსწლიანი სამუსიკო სკოლა. ჯერჯერობით სკოლას ჰყავს კვალიფიციური პედაგოგები, მაგრამ რამდენიმე წელიწადში მწვავედ დადგება ახალი კადრების საჭიროების საკითხი.

მუსიკალური სკოლები მონაწილეობდნენ ფესტივალში “გზა პარნასისაკენ“. ახალციხის მუსიკალური სკოლის დირექტორის და პედაგოგების ინიციატივით იწვევდნენ ქართველ კომპოზიტორებს, მართავდნენ კლასიკური მუსიკის საღამოებს. სამწუხაროდ, ასეთი ღონისძიება მხოლოდ რამდენიმე ადამიანის ენთუზიაზმზეა დამოკიდებული. სხვა რეგიონებში მუსიკალური ცხოვრება პასიურია. არ არსებობს

⁸² 2006 წლამდე თბილისში არსებობდა 3 სამუსიკო სასწავლებელი: დ. არაყიშვილის სახელობის, ზ. ფალიაშვილის სახელობის, მ. ბალანჩივაძის სახელობის. 2006 წელს ისინი ერთ სამუსიკო სასწავლებლად გაერთიანდა და 2009 წელს გადაკეთდა მუსიკალურ სემინარიად.

⁸³ წინოწმინდაში 1 მუსიკალური სკოლაა, ბოლნისის რაიონში – 2: ქ. ბოლნისში და დაბა კაზრეთში; წალკაში სამუსიკო სკოლა არ არის.

პროფესიული კავშირები, რაიონებში არ სტუმრობენ კლასიკური მუსიკის შემსრულებლები, რის სურვილსაც ადგილობრივი მოსახლეობა გამოხატავდა.

უნდა აღნიშნოს დადებითი ინიციატივები, რომელიც ახალციხის, ნინოწმინდის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებმა შემოიღეს: ფინანსური შეღავათები სამუსიკო სკოლის მოსწავლეებისთვის.

პრობლემად რჩება მასწავლებელთა დაბალი ხელფასი. მუსიკალური სკოლის მასწავლებლები ვერ სარგებლობენ სხვადასხვა სოციალური შეღავათით, რომელიც არსებობს საჯარო სკოლის მასწავლებლებისთვის.

რადგანაც სამუსიკო სკოლები და, ზოგადად, კულტურის სფერო ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია, მათ თითქმის არ აქვთ კავშირი კულტურის სამინისტროსთან, რაზეც წუხილს გამოთქვამს ყველა ადგილობრივი წარმომადგენელი და კულტურის სამსახურის თანამშრომელი. ხშირად მათ ინიციატივებს და პროექტებს უგულბებლყოფენ იმ მიზეზით, რომ “ეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საქმეა”.

2013 წლის 20 დეკემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეხვედრა გამართა საქართველოს მუნიციპალიტეტების და თვითმმართველობის ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა საგნობრივი პროგრამების ნიმუში ცხრაწლიანი ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლებისათვის, ასევე განიხილეს 2014 წლის სამუშაო-სასწავლო გეგმა. სამუსიკო სკოლების ხელმძღვანელებს გადაეცათ აღნიშნული სასწავლო პროგრამის ციფრული და ბეჭდური ვერსიები.

ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

ეთნიკურ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული ძეგლები იმავდროულად არის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი⁸⁴. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა მოიცავს სამართლებრივ, სამეცნიერო-კვლევით, სარეაბილიტაციო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის სრული მრავალფეროვნებით შენარჩუნება და მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა⁸⁵.

კულტურული მემკვიდრეობის უმრავლესობის სტატუსი შენობა-ნაგებობას ენიჭება მისი გამორჩეული ისტორიულ-კულტურული თუ არქიტექტურული მახასიათებლებიდან გამომდინარე და იგი არ არის დიფერენცირებული ეთნიკური უმცირესობის ნიშნით ან რომელიმე კონფესიისადმი კუთვნილების მიხედვით.

მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ყოველწლიურად ხდება ახალი საკულტო და კულტურული ნაგებობების გამოვლენა და ინვენტარიზაცია. სპეციალური შესწავლის შემდეგ შესაბამის კულტურულ ნიმუშებს სამინისტრო ანიჭებს ძეგლის სტატუსს. ძეგლთა საერთო ნუსხაში არ არის ცალკე გამოყოფილი ქართული და არაქართული, ქრისტიანული და არაქრისტიანული ძეგლები, რადგანაც ყველა მათგანი საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობად ითვლება. თუმცა მაინც სასურველია ასეთი ტიპოლოგია ტექნიკური თვალსაზრისით, საძიებო სისტემის გასამარტივებლად.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება და აღრიცხვა დღემდე მიმდინარეობს. საქართველოში აღრიცხულია 50-მდე სომხური ეკლესია (თბილისში, ბათუმში, თელავში, ზოლნისში, ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში)⁸⁶.

⁸⁴ ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს მუშაობის მიმართულებები გახლავთ: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია და მონიტორინგი; ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საინფორმაციო ბანკის ამოქმედება; ძეგლთა ინტეგრირებული ინფრასტრუქტურის შექმნა; მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ქართული ძეგლების დოკუმენტირება და რეაბილიტაცია.

⁸⁵ იხ. კანონი “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ”, მუხლი 3.

⁸⁶ შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, 2010 წელი.

2011 წელს ძეგლის სტატუსი მიენიჭა სომხურ ეკლესიას ბათუმში. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის ეროვნულ უმცირესობთა საბჭოს რეკომენდაციით, ძეგლთა დაცვის ეროვნულმა სააგენტომ 2011 წელს აღწერა ქვემო ქართლში არსებული მუსულმანური კულტურის ძეგლები (მეჩეთი, ჯამე, აბანო, მავზოლეუმი).⁸⁷

2010 წელს დასრულდა სამწლიანი პროექტი “ოსმალური ძეგლების ინვენტარიზაცია“. პროექტის ფარგლებში შეისწავლეს თბილისის მუზეუმებსა და არქივებში დაცული მასალა, ისტორიულ სამცხესა და აჭარაში არსებული ოსმალური ძეგლების ნაწილი, ოსმალური არქიტექტურის რამდენიმე ათეული ობიექტი⁸⁸.

2013 წელს თურქეთის მხარესთან გააქტიურდა თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში. 2013 წლის 14 თებერვალს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის, ანკარაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში თურქულ მხარესთან განხილული იქნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის სფეროში თანამშრომლობის საკითხები. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ კულტურული ძეგლების დაცვის საკითხების განხილვა არ მოხდება ნაცვალგების პრინციპზე დაყრდნობით, რადგან მემკვიდრეობის დაცვა ყველა ქვეყნის ვალდებულებაა.

თურქეთის მხარესთან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, ოშკისა და იშხნის მონასტრების მდგომარეობის ადგილზე შესწავლის მიზნით, 2013 წლის განმავლობაში თურქეთში ქართველ სპეციალისტთა ჯგუფის ხუთი ვიზიტი შედგა. ვიზიტის ფარგლებში ქართულმა დელეგაციამ მოინახულა ოშკისა და იშხნის მონასტრები და შეაფასა იშხნის მონასტერში მიმდინარე სამუშაო პროცესი. ასევე თურქულ მხარეს გადაეცა ქართული მხარის შენიშვნები და რეკომენდაციები იშხნის მონასტრის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით. მიმდინარეობს მოლაპარაკებები თურქულ მხარესთან ოშკის მონასტერში დაგეგმილ სარეაბილიტაციო სამუშაოებში ქართველი სპეციალისტების ჩართვის შესახებ. ამასთან, იგეგმება თურქი სპეციალისტების ვიზიტი საქართველოში აპმედ ფაშას მიერ ახალციხის ციხეში აგებულ მეჩეთსა და მედრესეზე განხორციელებული სარესტავრაციო სამუშაოების შესწავლის მიზნით.

ამას გარდა, 2013 წლის განმავლობაში განხორციელდა მაღალი დონის ვიზიტები, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, განხილული იყო კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის თემატიკა. მათ შორის აღსანიშნავია 2013 წლის 27 მარტს თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ აჰმედ დავითოღლუს ოფიციალური ვიზიტი საქართველოში.

2013 წლის 12 აპრილს შედგა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, მარინე მიზანდარის, შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრის პირველ მოადგილესთან, ოზგულ ოზასლანსთან.

ასევე, 2013 წლის 27-29 ოქტომბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია ეწვია თურქეთის რესპუბლიკას “საერთაშორისო აბრეშუმის გზის კონგრესის“ ფარგლებში. ვიზიტის დროს ორი ქვეყნის კულტურის მინისტრებს შორის შედგა შეხვედრა, რომლის დროსაც განხილული იქნა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის საკითხები.

რაც შეეხება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, მისი გაფორმება არ მომხდარა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა “საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოს ტერიტორიაზე ოსმალური კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებისა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რესტავრაციის შესახებ“ შეთანხმების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა გრძელვადიან თანამშრომლობას თურქეთის მხარესთან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, ძეგლების ინვენტარიზაციის პროცესის ხელშეწყობას და ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით სამომავლო თანამშრომლობის ეფექტური ფორმატის შემუშავებას, ამასთან, შეთანხმების პროექტი ითვალისწინებდა თურქეთის მხარის მიერ ოშკისა და იშხნის მიმდინარე თუ დაგეგმილ პროექტებში ქართული მხარის როგორც ინტელექტუალური, ისე ფინანსური

⁸⁷ ბოლნისი – 5, დმანისი – 1, გარდაბანი – 1, მარნეული – 12. მოგვიანებით გამოვლინდება თუ რომელ მათგანს შეიძლება მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

⁸⁸ იხ. შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, 2010 წელი, ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაცემები.

რესურსებით ჩართვას, ასევე ქართული მხარის მიერ თურქი ექსპერტების მონაწილეობით აჰმედ ფაშას მიერ ახალციხის ციხეში აგებულ მეჩეთსა და მედრესეზე 2012 წელს წარმოებული სარესტავრაციო სამუშაოებისას დაშვებული ხარვეზების გამოსწორებას.

პროექტმა გაიარა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნოტების გაცვლის გზით მოლაპარაკებების გამართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით 2013 წლის 29 მარტს გადაგზავნილი იქნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. ზემოაღნიშნული შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტის მიერ არ მომხდარა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რის გამოც შეთანხმებას ვერ მიეცა შემდგომი მსვლელობა.

2011 წელს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა ორთა ჯამეს ბათუმში.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე იმ კულტურული ღირებულების ძეგლების მდგომარეობაა, რომლებიც სასწრაფოდ მოითხოვს რეაბილიტაციას. მათ გადასარჩენად პირველ ეტაპზე აუცილებელია გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება. თბილისში არსებული სომხური ეკლესიებიდან რეაბილიტაციას საჭიროებს მუღნუ სუბ გევორქის ეკლესია, რომელიც 1751 წლის არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს, სუბ ნიშნის ეკლესია, რომელიც წარმოადგენს მე-18 საუკუნის დასაწყისის არქიტექტურულ ძეგლს და სუბ მინასის ეკლესია.

ამ ეკლესიების მდგომარეობაზე სახალხო დამცველმა რამდენჯერმე გაამახვილა ყურადღება თავის მოხსენებებში⁸⁹. 2010 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა მუღნუ სუბ გევორქის ეკლესიის რესტავრაციას. მცირე დაფინანსების გამო ეკლესიის აღდგენა არ მოხერხდა და იგი კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია.

2011 წელს მუღნუ სუბ გევორქის, სუბ ნიშნის, ნორაშენის ეკლესიებში და მიმდებარე ტერიტორიაზე ძეგლთა დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ჩაატარა აზომვითი სამუშაოები. ეკლესიათა რესტავრაციის საკითხი კვლავ ღიად რჩება. შემაფერხებელ გარემოებად სახელდება არასაკმარისი ფინანსები და ეკლესიების ისტორიული მემკვიდრის სადავოების საკითხი.

ამჟამად საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ “ქართუს” ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს თბილისში ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ნორაშენის ეკლესიის რესტავრაცია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი სომხეთში ვიზიტის დროს გამართულ შეხვედრებზე სადავო ეკლესიების რესტავრაციის და არქეოლოგიური გათხრების საკითხსაც შეეხო. მან “რადიო თავისუფლება – თავისუფალი ევროპის” სომხურენოვანი რედაქციისათვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში⁹⁰ განაცხადა, რომ სადავო ეკლესიების რესტავრაციას და არქეოლოგიურ გათხრებს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი “ქართუ” განახორციელებდა, მიუხედავად ამისა, ფონდ “ქართუს” გამგეობის თავმჯდომარემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ ეკლესიების სტატუსის დადგენის გარეშე ფონდი არ აპირებს ეკლესიების რესტავრაციას.

რაც შეეხება ებრაულ სალოცავებს – სინაგოგებს, ჯერჯერობით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა სინაგოგა აღწერილი არ არის. სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციაში და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში ხშირად მოხსენიებულია საქართველოში არსებული 5 სინაგოგა. ამ რაოდენობრივ ცდომილებას იწვევს ისიც, რომ კულტურული მემკვიდრეობის სიაში ცალკე არ არის გამოყოფილი სინაგოგები (ისევე, როგორც არც სხვა ეროვნულ უმცირესობათა საკულტო ნაგებობები). არსებობს მხოლოდ არაოფიციალური წყაროები საქართველოში არსებული სინაგოგების რაოდენობის შესახებ. ამ წყაროების მიხედვით მათი რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე მითითებულია 2010 წლის ანგარიშში, რაც ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოშიც დაგვიდასტურეს⁹¹. სასურველია, რომ მოხდეს საქართველოში არსებული ყველა სინაგოგის აღწერა, კვლევის და შეფასების შემდეგ შესაბამის სინაგოგას მიენიჭოს ძეგლის სტატუსი.

⁸⁹ იხ. <http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/ktifezlljkytwmwbpggc.pdf>.

⁹⁰ 17.01.2013 წ. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის, ინტერვიუ “რადიო თავისუფლება – თავისუფალი ევროპის” სომხურენოვანი რედაქციისათვის <http://rus.azatutyun.am/media/video/24846520.html>

⁹¹ თბილისის 2, ქუთაისის 3, ახალციხის 2, ბათუმის, ონის, გორის, სურამის, კულაშის, ლაილაშის, ქარელის, საჩხერეს, ფოთის, სოფ. ბანძას, ვანის სინაგოგები.

ასევე სასურველია, დაიწყოს სინაგოგების და ებრაული სასაფლაოების საკუთრების საკითხის განხილვა, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ებრაული თემისთვის.

ამჟამად კულტურული ძეგლის სტატუსი აქვს თბილისის სინაგოგას “დიდი ლოცავა“, ქუთაისის ერთ სინაგოგას და დამხმარე ნაგებობას ბ. გაპონოვის ქუჩაზე⁹².

2011 წელს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა ბათუმის სინაგოგას. ასევე, ძეგლის სტატუსი მიენიჭა ახალციხეში რაბათის უბანს და მათ შორის 2 უძველეს სინაგოგას. რაბათის უბნის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ამ ძეგლების რეაბილიტაცია.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ “ქართუს“ მიერ გარემონტდა ვანის, ფოთის, სენაკის, ბანძას, ლაილაშის, ონის, სინაგოგები. 2014 წლისათვის დაგეგმილია ქარელის და გორის სინაგოგების სარემონტო სამუშაოების დასრულება.

გარდა ამისა, გარემონტდა ებრაელთა სასაფლაოები ახალციხესა და აწყურში. 2014 წელს დაგეგმილია სურამის სასაფლაოს რემონტის დასრულებაც.

კულტურათა და რელიგიათა თანაზიარობის უნიკალურ ისტორიულ-კულტურულ გარემოს წარმოადგენს რაბათის უბანი ახალციხეში. ქალაქის უძველეს უბანში ერთმანეთის გვერდით არის მეჩეთი, სომხური, კათოლიკური, მართლმადიდებლური ეკლესიები, სინაგოგები⁹³. რამდენიმე მათგანს უკვე ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, 2011 წელს ეს სია გაიზარდა⁹⁴.

ამიტომ 2011 წლის 28 ოქტომბრის პრეზიდენტის N666 ბრძანებულებით “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს – ახალციხის ისტორიული ნაწილის (რაბათის უბანი) ქუჩათა ქსელს.

რაბათს გამორჩეული მხატვრული და ეროვნული ღირებულება აქვს და დაკავშირებულია უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენასთან, ერის განვითარებასთან.

2011 წელს დაიწყო ახალციხის რაბათის კომპლექსის რესტავრაცია-კონსერვაცია. პროექტი ხორციელდება კულტურის სამინისტროსთან ერთად. ახალციხის კულტურის და ძეგლთა დაცვის განყოფილების ცნობით, 2011 წელს დასრულდა კათოლიკური ეკლესიის რესტავრაცია.

ახალციხის გამგებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რაბათის რეაბილიტაციისთვის ადგილობრივ ბიუჯეტში განისაზღვრა მუხლი “რაბათის რეაბილიტაცია“⁹⁵. რეაბილიტაციის პროექტზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი მუშაობდა.

შეფასების დროს გამოვლინდა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ძეგლთა დაცვას და მათ მოვლა-პატრონობას ეხება. რეგიონში ძეგლთა გამოვლენასა და აღრიცხვას კუთრირებს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის სამსახური. როგორც რაიონული სამსახურის წარმომადგენლებმა (ნინოწმინდა, ახლაქალაქი) აღნიშნეს, მათ არ ჰყავთ ამ დარგის კვალიფიციური სპეციალისტი. ამიტომ სურვილი აქვთ, გაიარონ სპეციალური მომზადება, ტრენინგი და ა.შ. ასევე სასურველია, თუ რაიონის

⁹² ქუთაისის სამივე სინაგოგა სათვისტომოს ეკუთვნის. ხშირად მოდიან უცხოეთიდან ჩამოსული ტურისტები, რომელთა დიდი ნაწილი ქუთაისიდან წასული ქართველი ებრაელებია და შესაწირს ტოვებენ. ძირითად ხარჯებს მეცენატების დახმარებით იხდიან. 2010 წელს მერიამ 28 ათასი ლარი გამოყო და იგი სალოცავის შეკეთებას და საფლავების გაწმენდას მოხმარდა.

⁹³ რაბათის უბანში შედიოდა თავად ახალციხის ციხე-გალავანი, ციხის მეჩეთი, მინარეთი, აბანო, ქართველ კათოლიკეთა სკოლის შენობა, იოანე ნათლისმცემლის სახ. ქართველ კათოლიკეთა ეკლესია, სულთმოფენობის ეკლესია, რომელიც სხვადასხვა დროს მოიხსენიებოდა სავარდოს და პატრებიანთ ეკლესიად, სომეხ კათოლიკეთა ეკლესია, წმ. სტეფანეს ეკლესია, ქართველ კათოლიკეთა წმ. ჯვრის ეკლესია, წმ. მარინეს სახ. მართლმადიდებლური ეკლესია, ამაღლების და იოანე ოქროპირის ეკლესიის ნანგრევები, 2 უძველესი სინაგოგა.

⁹⁴ წმინდა ჯვრის სახ. ეკლესიის კომპლექსი და ივანე გვარამაძის საფლავი. 2011 წელს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი გახდა: პატრებიანთ ეკლესია, გრიგოლუს ავორიჩის სახ. სომხური ეკლესია, სუბ სტეფანოზის სახელობის სომხური ეკლესია, წმინდა მარინეს სახელობის ეკლესია.

⁹⁵ 2011 წელს იგი შეადგენდა 8 100 000 ლარს. აქედან 340 000 ლარი გამოყოფილი იყო მთავრობის დადგენილების საფუძველზე, 300 000 ლარი იხარჯება ციხის გალავნის გასაწმენდად, 40 000 ლარი – სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის წინასაპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად.

კულტურის განყოფილებას ხშირად ესტუმრებიან კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, რათა მოხდეს, ინფორმაციის გარდა, პროფესიული უნარ-ჩვევების და გამოცდილების ურთიერთგაცვლა. კულტურის სამინისტროსთან ურთიერთობის დეფიციტს ყველა რაიონის კულტურის განყოფილებაში განიცდიან.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2012 წლის 20 მარტის #3/86 ბრძანების საფუძველზე ახალციხის, ასპინძის, ადიგენის მუნიციპალიტეტებში მეჩეთებს, რაბათის კომპლექსს, მინარეთს, მედრესეს, აბანოს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, ხოლო 2009 წელს აღირიცხა 50-მდე სომხური ეკლესია, 10 მეჩეთი და 5 სინაგოგა.

ძირითადი დასკვნები

საქართველოს ხელისუფლების მიერ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის მიღება უდავოდ დადებითად უნდა შეფასდეს. ამასთან, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პირველ ეტაპზე გამოვლინდა და მისი განხორციელების პროცესში მრავალმხრივ იჩინა თავი. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი მზადდებოდა სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით, კონცეფციის სამოქმედო გეგმის კულტურის და თვითმყოფადობის შენარჩუნების თავში არ აისახა ეთნიკური უმცირესობების უკვე არსებული კულტურული დაწესებულებები, კერძოდ, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში არსებული კულტურული დაწესებულებები – ვაჰან ტერიანის სახლ-მუზეუმი, ვ. ოვსეპიანის სახლ-მუზეუმი, ვლადიმირ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი და ა.შ. ისინი სამოქმედო გეგმის მიღმა აღმოჩნდნენ, რამაც კიდევ უფრო გააუარესა მათი, როგორც სამართლებრივი, ისე მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა. აღსანიშნავია ზოგი ორგანიზაციის არაინფორმირებულობა მათი ორგანიზაციის შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებში, რომ არაფერი ვთქვათ დისპერსიულად განსახლებულ საქართველოს ეროვნულ უმცირესობებზე – ისინი საერთოდ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რაც აუცილებლად გამოსასწორებელია შემდგომი კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის მიხედვით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები არასაკმარისი აღმოჩნდა ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ ეთნიკური უმცირესობების კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ცოდნის გაღრმავებასა და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებზე წარმოჩენაზე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული “**ეროვნული უმცირესობების კულტურის ხელშეწყობის პროგრამის**“ ფარგლებში, რომლის წლიური ბიუჯეტი ასი ათასი ლარით განისაზღვრებოდა, ძირითადი სახსრები ბეჭდვითი მედიის დაფინანსებას, ხოლო დარჩენილი თანხა სხვა მცირე აქტივობებს ხმარდებოდა. აღნიშნული დაფინანსება კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ძალიან მწირ თანხებს წარმოადგენდა: ცხადია, ეს თანხა არც ბეჭდვითი მედიას ჰყოფნიდა და იგი დამატებით ფინანსდებოდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის სახსრებით, შესაბამისად, მომავალი სამოქმედო გეგმის დროს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და ეროვნულ უმცირესობათა კულტურის ხელშეწყობა ცალ-ცალკე უნდა განიხილებოდეს.

კულტურის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები არ იყოფა ქართულ და სხვა ეროვნულ უმცირესობათა დაწესებულებებზე და მათ ერთნაირი სამართლებრივი იურიდიული სტატუსი გააჩნიათ. თეატრები, მუზეუმები, კულტურის ცენტრები, ბიბლიოთეკები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით იყოფა ცენტრალური ხელისუფლების (კულტურის სამინისტროს) და ადგილობრივი ხელისუფლებების მმართველობის დაქვემდებარებაში და რეგულირდება სხვადასხვა კანონმდებლობით. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით ექვემდებარება სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი და სსიპ თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი. აღსანიშნავია, რომ ისინი დაფინანსებას იღებენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საბიუჯეტო ქვეკოდით და მათთვის გამოყოფილი თანხა ძირითადად სახელფასო

ფონდის დაფარვას ემსახურება. სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის და სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობები ავარიულია და საჭიროებს გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს. წლებია, თეატრის დასი ვერ სარგებლობს საკუთარი თეატრების დარბაზებით და იძულებულნი არიან, იქირავონ სხვა თეატრების დარბაზები, ამის გამო დასი ორიენტირებულია გასტროლებზე, როგორც საქართველოს რეგიონებში, ისე საზღვარგარეთ. რაც შეეხება სსიპ თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატულ თეატრს, იგი გარემონტებულია საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ “ქართუს” მიერ და სახელმწიფოს არანაირი რესურსი არ გაუღია ამ მიმართულებით. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა მხოლოდ სახელფასო ფონდს ხმარდება. საქველმოქმედო ჯგუფ “ქართუს” მიერ იფარებოდა კომუნალური გადასახადები და თანამშრომლებისათვის სახელფასო დანამატი. სამწუხაროდ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ვერ თუ არ შუამდგომლობს და ეხმარება მათ დამატებითი დაფინანსების მოძიებაში. მსგავს მდგომარეობაშია მუზეუმებიც, შეფასებაში ნახსენები მუზეუმის შენობა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოძველებულია და არ შეესაბამება თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტებს. 2013 წელს დასრულდა სსიპ მირზა ფათალ ახუნდოვის სახელობის საქართველოს აზერბაიჯანული მუზეუმის და კულტურის ცენტრის რემონტი და აღჭურვა, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის (სოკარ) მიერ განხორციელდა. სამწუხაროდ, აქაც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი დაფინანსება სიმბოლურ სახელფასო ფონდს ხმარდება. მუზეუმი დამატებით დაფინანსებას აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია (SOCAR)-ისგან იღებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად საქართველოს საბიბლიოთეკო მართვის სისტემის დაშლის შემდეგ 1996 წელს მიღებული საქართველოს კანონით “საბიბლიოთეკო საქმის შესახებ” და საქართველოს კანონით “ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ” საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაცია და მართვის ახალი სისტემის ჩამოყალიბება ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად დაევა კულტურის სამინისტროს. მათ ერთობლივად უნდა განეხორციელებინათ ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარება, საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების შესრულების უზრუნველყოფა, საბიბლიოთეკო კადრების მომზადება-გადამზადების პოლიტიკის განსაზღვრა, საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო სტანდარტების დაცვის კონტროლი, საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებული შეგროვება და ანალიზი. სამწუხაროდ, კანონი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა – დღეს ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკა არ არსებობს და ყველა აქტივობა ამ მიმართულებით სპონტანურია. რეგიონებში ბიბლიოთეკებზე მეურვეობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაეკისრა. მათივე ბიუჯეტიდან ფინანსდება ადგილობრივი ბიბლიოთეკები. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ბიბლიოთეკები დღეს გამოიყენება არა მხოლოდ წიგნთსაცავის ფუნქციით, არამედ ისინი ტოლერანტობის, ინტერკულტურულ-საგანმანათლებლო და საინტეგრაციო ძლიერ ინსტრუმენტს წარმოადგენს, სამწუხაროდ, საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა ყველაფერ ამის მიღმა რჩება.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინოს არსებული ხუთწლიანი გამოცდილება კულტურის და თვითმყოფადობის შენარჩუნების მიმართულებით. მომავალი კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს მაქსიმალურად აღმოფხვრას ყველა ის ტექნიკური და პოლიტიკური საკითხი, რომელიც ხელს უშლიდა ეთნიკური უმცირესობების კულტურულ ინტეგრაციას ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში და ამ პროცესში მაქსიმალურად ჩართოს კულტურის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები და დაინტერესებული პირები.

რეკომენდაციები

მიმართულება – კანონის უზენაესობა

- სამოქმედო გეგმაში გაიწეროს უფრო მეტი ღონისძიება კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის კუთხით;
- სამომავლო გეგმაში ყურადღება გამახვილდეს კანონის უზენაესობის პირველ პრიორიტეტულ ამოცანაზე, მოხდეს შეფასება, რა ვალდებულებები აქვს აღებული საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო ვალდებულებებთან ჰარმონიზაციის კუთხით. ჩატარდეს გარკვეული კვლევა, თუ კონკრეტულად რა სფეროებშია ჰარმონიზაცია მნიშვნელოვნად საჭირო, შემდგომ კი აღნიშნული აისახოს სამოქმედო გეგმაში;
- ყურადღება მიექცეს მცირერიცხოვან უმცირესობებსაც და მათი სამოქალაქო ინტეგრაციისათვის დაიგეგმოს გარკვეული აქტივობები;
- ღონისძიებები განხორციელდეს საქართველოს მასშტაბით და არა მხოლოდ რამდენიმე რეგიონში;
- “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” საქართველოს კანონის მიღების შემდეგ მოხდეს მისი პოპულარიზაცია და გაცნობა ეთნიკური უმცირესობებისათვის;
- საჯარო მოხელეების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით დაიგეგმოს უფრო ეფექტური ღონისძიებები;
- გაღრმავდეს მუშაობა საზოგადოებაში ტოლერანტული კულტურის ამაღლების თვალსაზრისით, რაც მოიცავს დისკუსიებს, შეხვედრებს და მათში საზოგადოების ფართო მასების მონაწილეობას.

მიმართულება – განათლება და სახელმწიფო ენა

- მნიშვნელოვანია, კონცეფციამ მოიცვას არა მხოლოდ კომპაქტური განსახლების, არამედ დისპერსული განსახლების ჯგუფების საგანმანათლებლო პოლიტიკა და ორიენტირებული იყოს ამ ჯგუფების საჭიროებებზე;
- მნიშვნელოვანია სახელმწიფო ენის სწავლების მიმართულება ცალკე აისახოს კონცეფციაში, ხოლო განათლებისა და სწავლების მიმართულება – ცალკე, ეთნიკური უმცირესობებისთვის.

კონკრეტული მიმართულებების მიხედვით სასურველია შემდეგი კუთხით პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ:

სკოლამდელი განათლება

- მნიშვნელოვანია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლამდელ დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად საჯარო სკოლებთან ან დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს სკოლამდელი განათლების ცენტრები. სასურველია, ამ მიმართულებით მუშაობამ აქტიურად მოიცვას სასოფლო დასახლებებიც, სადაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები არ ფუნქციონებს;
- მნიშვნელოვანია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლამდელ დაწესებულებებში უზრუნველყოს სწავლების ხარისხის გაზრდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, სკოლამდელი დაწესებულებების ადმინისტრაციის გადამზადებისა და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების შექმნისა და სკოლამდელი დაწესებულებების ფინანსური უზრუნველყოფის გზით;
- სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში მნიშვნელოვანია ბილინგვური სწავლების სხვადასხვა მოდელის დანერგვა და ამ პროცესის შესაბამისი სასწავლო რესურსითა და კადრებით უზრუნველყოფა.

ზოგადი განათლება

სასწავლო გეგმები და სახელმძღვანელოები

- მნიშვნელოვანია, სახელმძღვანელოები ასახავდეს საქართველოში არსებულ მრავალფეროვნებას და არ შეიცავდეს სტერეოტიპულ და დისკრიმინაციულ ელემენტებს. შესაბამისად, სამინისტრომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები სასწავლო გეგმების შედგენის, სახელმძღვანელოების გრიფირებისა და სახელმძღვანელოთა შეფასების მიმართულებით;
- მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენის სწავლების გაუმჯობესების ხელშეწყობი პოლიტიკისა და ღონისძიებების გატარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ;
- მნიშვნელოვანია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ჩამოაყალიბოს მულტილინგვური განათლების რეფორმის კონცეფცია და შეიმუშავოს შესაბამისი განხორციელების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- გადაიხედოს ბილინგვური სახელმძღვანელოების გამოცემის საკითხი და ამ მიმართულებით შემუშავდეს ეფექტური მექანიზმები, რომლის შედეგადაც სახელმძღვანელოები უზრუნველყოფს ენის სწავლების გაუმჯობესებას და საგნობრივი შინაარსის ეფექტურ ათვისებას.

სასკოლო გარემო

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზების მექანიზმების ამუშავება, რათა სასკოლო გარემო თავისუფალი იყოს ინდოქტრინიზაციისა და პროზელიტიზმისაგან და წარმოადგენდეს ყველა მოსწავლისათვის თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნის რეალურ დაწესებულებას.

მასწავლებელთა სერტიფიცირება, პროფესიული განვითარება, მომავალი მასწავლებლების მომზადება

(ა) მასწავლებლების გადამზადება

- მნიშვნელოვანია არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების პოლიტიკის, სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- მნიშვნელოვანია სომხურის და აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენის, მასწავლებელთა სერტიფიცირების, წახალისებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმების შემუშავება და განხორციელება;
- მნიშვნელოვანია არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების უზრუნველყოფა.

(ბ) მომავალი მასწავლებლების მომზადება

- უნდა მოხდეს უმაღლეს სასწავლებლებში მეორე ენის, მშობლიური ენის, საგნობრივი ბილინგვური მასწავლებლების მომზადების პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება.

სასკოლო საატესტატო გამოცდები

- მნიშვნელოვანია, რომ საატესტატო გამოცდებში არაქართულენოვანი სკოლებისთვის ჩაიდოს გონივრული და რეალური მინიმალური კომპეტენციების ზღვარი ახალი სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების დანერგვის პრობლემების გათვალისწინებით, რათა არ შეიქმნას სერიოზული დაბრკოლება მოსწავლეებისთვის ატესტატის მიღების თვალსაზრისით.

ერთიანი ეროვნული გამოცდები

- მოსახლეობაში უფრო აქტიურად უნდა გავრცელდეს ინფორმაცია საშეღავათო პოლიტიკის შესახებ;
- უმნიშვნელოვანესია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავოს პოლიტიკა ქართული ენის ფლობის შეფასების სისტემისა და ინსტრუმენტის შექმნის თაობაზე.
- უმნიშვნელოვანესია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ 17 პრიორიტეტულ მიმართულებაზე, რომელზეც სახელმწიფო დაფინანსება

ვრცელდება და რომელზეც სწავლა “უფასოა” სტუდენტებისთვის, სახელმწიფო დაფინანსება გაავრცელოს საშეღავათო პოლიტიკის შედეგად ჩარიცხულ სტუდენტებზეც, მათი ამ პროგრამებზე მოზიდვისა და თანასწორობის დაცვის მიზნით, უმაღლესი განათლების შესაძლებლობის მიცემისას. სასურველია, სახელმწიფო დაფინანსება გავრცელდეს კვოტირების სისტემის შედეგად ჩარიცხულ სტუდენტებზე იმ კვოტების პროპორციულად, რაც დადგენილია კანონმდებლობით (დაფინანსებული საერთო ადგილების 5% სომხურენოვანთათვის, 5% – აზერბაიჯანულენოვანთათვის, 1% – აფხაზურენოვანთათვის და 1% – ოსურენოვანთათვის). ეს პოლიტიკა მნიშვნელოვანი იქნება ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტების მოზიდვის კუთხით და, ზოგადად, ამ მიმართულებით აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობების გაჯანსაღებისთვის.

- მნიშვნელოვანი იქნება, საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში მოხდეს იმ ეთნიკური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებაც, რომლებიც არ მოიაზრებიან ახლანდელი საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში და, შესაბამისად, იმყოფებიან დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. სასურველია, რომ რუსულ სკოლებსა და რუსულ სექტორებში გაერთიანებული მოსწავლეებისათვის ასევე გამოიყოს შესაბამისი კვოტა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დასაფინანსებლად. ამასთან, სამართლიანობის უზრუნველსაყოფად და სხვა სკოლებიდან შეღავათით სარგებლობის მოტივაციით მოსწავლეების ტრანსფერის თავიდან ასაცილებლად განისაზღვროს დამატებითი კონტროლის მექანიზმი მოსწავლეების საშეღავათო პოლიტიკით სარგებლობის ვალიდურობის დასადგენად და საშეღავათო პოლიტიკის პირობებით მოსარგებლედ მიჩნეული იქნას მოსწავლეების ის ნაწილი, რომელიც მიინიშნებოდა 5 წლის მანძილზე სწავლობს რუსულ სკოლას ან რუსულ სექტორში. რუსულენოვანი აბიტურიენტების კვოტა შესაძლებელია იყოს 1% ან ნაკლებიც გამოყოფილი საერთო ადგილებიდან. აღნიშნული ცვლილება სასარგებლო იქნება რამდენიმე მიმართულებით:

(ა) ხელს შეუწყობს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში სომეხი და აზერბაიჯანელი აბიტურიენტების მოზიდვას, რომელთაც რუსულენოვანი განათლება აქვთ და თანაბარ პირობებში ჩააყენებს სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სკოლადამთავრებულ თანატოლებთან;

(ბ) ხელს შეუწყობს დისპერსული განსახლების სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სამოქალაქო ინტეგრაციასა და მათ თანაბარ პირობებში ჩაყენებას კომპაქტური განსახლების აბიტურიენტებთან;

(გ) საგულისხმოა, რომ რუსულენოვანი კვოტირების სისტემის შემოღება შეიძლება პოზიტიური ნაბიჯი აღმოჩნდეს აფხაზი და ოსი აბიტურიენტების ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსაზიდადაც;

(დ) გადაწყვეტილებამ შეიძლება მცირე პოზიტიური როლიც შეასრულოს რუსეთთან პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების გაუმჯობესების თვალსაზრისითაც.

ზრდასრულთა განათლება

- მნიშვნელოვანია “ენის სახლის” მომსახურებით მოსარგებლეთა წრის გაფართოება და საზოგადოების ფართო ფენების ჩართვა;
- მნიშვნელოვანია ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის რეფორმირება და საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების მიმართულებით არსებულ საჭიროებებზე მორგება;
- მნიშვნელოვანია ზრდასრული მოსახლეობისთვის პროფესიული გადამზადების კურსების ორგანიზება, აგრეთვე მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების პოლიტიკის შემუშავება ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებაში განსაზღვრული სარეკომენდაციო დოკუმენტების პრინციპების კვალდაკვალ და ამ პროცესში ეთნიკური უმცირესობების მაქსიმალური ჩართვა, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე.

მიმართულება – მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

საზოგადოებრივი მაუწყებელი

- ხელი შეეწყო საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის პოპულარიზებას, რათა საზოგადოებამ იცოდეს, თუ რას უნდა მოელოდოს და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი მედიასაშუალებები. ასევე მოხდეს მონიტორინგის სამსახურში გასაჩივრების მექანიზმების შესახებ საზოგადოების ინფორმირება;
- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ქცევის კოდექსის საფუძველზე შეიქმნას საჩივრების საბჭო და შიდა მონიტორინგის ერთეულები მაუწყებელთათვის;
- გაუმჯობესდეს უმცირესობათა ენებზე მომზადებული საინფორმაციო პროგრამები შინაარსის, ფორმატისა და ქრონომეტრაჟის თვალსაზრისით;
- უზრუნველყოფილი იქნას ქვეყანაში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ ეთნიკური უმცირესობების მეტი ინფორმირებულობა მათ მშობლიურ ენებზე;
- გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ რეგიონებში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილი სათანადოდ არ ფლობს ქართულ ენას, მოკლევადიან პერსპექტივაში, მათი ინფორმირებულობის გაზრდისათვის, სასურველია შეიქმნას რუსულენოვანი სატელევიზიო არხი;
- გაშუქდეს ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებული პრობლემები და მიეწოდოს ინფორმაცია მათი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ;
- გაიზარდოს სატელევიზიო პროგრამებში უმცირესობათა საზოგადოებრივ დებატებში ჩართულობა;
- გაფართოვდეს მაუწყებლობის დაფარვის ზონა;
- გაფართოვდეს ეთნიკური უმცირესობების ენებზე საინფორმაციო პროგრამების დაფარვის არეალი პარტნიორი რეგიონული ტელევიზიების რაოდენობის გაზრდის გზით;
- მოხდეს უმცირესობების ენებზე სატელევიზიო პროდუქტების თარგმნა-გახმოვანება და პარტნიორი რეგიონული ტელევიზიებით ტრანსლირება;
- უზრუნველყოფილი იქნას ტრენინგები “ნაციონალური მოამბის” რედაქციების თანაშრომლებისათვის და პარტნიორი რეგიონული ტელევიზიების ჟურნალისტებისათვის;
- უზრუნველყოფილი იქნას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტების სტაჟირება როგორც “ნაციონალური მოამბის”, ისე ქართული “მოამბის” რედაქციებში;
- დაინერგოს ეთნიკური უმცირესობების თემატიკის გაშუქების პერიოდული მონიტორინგისა და თვითშეფასების სისტემა.

კომერციული მასმედია

- დაცული იქნას ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების თემატიკის გაშუქების პროფესიული სტანდარტები;
- გაიზარდოს სატელევიზიო პროგრამებში უმცირესობათა საზოგადოებრივ დებატებში ჩართულობა;
- უზრუნველყოფილი იქნას ეროვნულ უმცირესობათა ჩართვა იმ საკითხებზე მომზადებულ რეპორტაჟებში, რომლებიც მათ შეეხებათ;
- საინფორმაციო გადაცემებში გაშუქდეს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე არა მხოლოდ ნეგატიური მოვლენები, არამედ პოზიტიური პროცესებიც;
- თოქ-შოუებში, სპეციალურ გადაცემებში გადაიცეს ინფორმაცია უმცირესობებზე და, ზოგადად, რეგიონებზე;
- ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ კომპაქტურ ადგილებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი), რეგიონულ მასმედიაში (რეგიონული ტელევიზია, რადიო, გაზეთები) მომზადდეს პროგრამები, საგაზეთო ჩანართები უმცირესობების ენებზე.

არასამთავრობო ორგანიზაციები

- განხორციელდეს მედიამონიტორინგი და პერიოდულად გამოქვეყნდეს კვლევა მასმედიის მიერ ეთნიკური უმცირესობების საკითხის გაშუქების თვალსაზრისით;
- რეგულარულად გამოქვეყნდეს მასმედიის მიერ ეთნიკური შუღლის ენის გამოყენების ფაქტები.

საერთაშორისო ორგანიზაციები

- ხელი შეუწყონ რეგიონული მასშტაბის განვითარების პროექტების განხორციელებას;
- მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ხელი შეუწყონ ჟურნალისტთა მუდმივ და განახლებად ტრენინგ-პროგრამებს მრავალფეროვნების გაშუქების სფეროში;
- გააგრძელონ ადგილობრივი მედიასაშუალებების ტექნიკური მხარდაჭერა;
- ხელი შეუწყონ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ჟურნალისტების პროფესიულ მომზადებას.

მიმართულება – პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა

- ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით რეკომენდებულია, გაძლიერდეს ეროვნულ უმცირესობათა პროფესიული და ადმინისტრაციული კადრების მომზადების პროგრამები. კერძოდ, მნიშვნელოვანია ზურაბ ჟვანია სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლის გაძლიერება, ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება და ეროვნულ უმცირესობათა თემებისათვის საჯარო ადმინისტრირების ზუსტი პრიორიტეტების განსაზღვრა. ეროვნულ უმცირესობათა პროფესიული განვითარების კუთხით კი რეკომენდებულია, რომ არსებული საშუალებები და პროფესიული კოლეჯების პროგრამები (კაჭრეთის და ახალციხის პროფესიული განვითარების კოლეჯები) მოერგოს ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის ზოგად პოლიტიკას და პროგრამებს;
- ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მოწყობის დროს მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნას ეროვნულ უმცირესობათა და შესაბამისი რეგიონების სპეციფიკა. ამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია, რომ ახალი სამოქმედო გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის და დეცენტრალიზაციის საკითხების მოწყობის ის საერთაშორისო ნორმები და რეკომენდაციები, რომლებიც, უმცირესობათა სპეციფიკის შესაბამისად, წარმოდგენილია ეუთო-ს ლუნდის რეკომენდაციებსა და ლუბლიანას სახელმძღვანელო პრინციპებში;
- პოლიტიკური კულტურის ამაღლების თვალსაზრისით რეკომენდებულია, ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნას ცნობიერების ამაღლების პროგრამები და სხვადასხვა ტრენინგები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთათვის;
- ეთნიკური უმცირესობებისათვის შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით რეკომენდებულია, რომ ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში ზუსტად გაიწეროს ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს აღნიშნული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას;
- საქართველოში არსებული ეთნიკური მრავალფეროვნების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში გაიწეროს ღონისძიებები მარგინალური ჯგუფებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის (პირადობის და დაბადების მოწმობები) გაცემის, ბავშვებისათვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაადვილების და ზრდასრულთა მიმდინარე სოციალურ პროექტებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

მიმართულება – სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია

საქართველოს მთავრობა

- გააგრძელოს არსებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;
- შექმნას და განახორციელოს ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამები;
- სტიმული მისცეს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სოფლის მეურნეობის დარგებისა და ტრანსპორტული ვაჭრობის განვითარებას;
- მოკლევადიან პერიოდში განახორციელოს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვების პროგრამები;

- მხარი დაუჭიროს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ადგილობრივ ფერმერებს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში, პროექტების განხორციელებისათვის დაბალპროცენტიანი კრედიტების გაცემაში;
- განახორციელოს ერთობლივი პროექტები აზერბაიჯანულ და სომხურ მხარესთან შეთანხმებით ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში;
- ხელი შეუწყოს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ქართულენოვან რეგიონებთან ეკონომიკურ კავშირებს;
- დაგეგმოს და განახორციელოს მრავალმხრივი და ფართომასშტაბიანი ღონისძიებები სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებზე ეთნიკური უმცირესობების ინფორმირების კუთხით.

არასამთავრობო ორგანიზაციები

- მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებისა და მცირე ბიზნესის დაწყების თაობაზე ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება/კონსულტაციაში;
- მონაწილეობა მიიღონ სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებში სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება/კონსულტაციაში;
- მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგსა და მოსახლეობის რეალური საჭიროებების დადგენაში;
- მთავრობასთან ერთად მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებში.

საერთაშორისო ორგანიზაციები

- მხარი დაუჭიროს მთავრობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსებით ეთნიკური უმცირესობების ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის გასაზრდელად მიმართული პროგრამების განხორციელებაში;
- მხარი დაუჭიროს სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებში სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას;
- მხარი დაუჭიროს ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების განხორციელებას.

მიმართულება – კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება

- სასურველია, მოხდეს ეთნიკური უმცირესობების მოლოდინებისა და საინტეგრაციო პოლიტიკის მიმართ მათი დამოკიდებულების შესწავლა, რა უშლით მათ ხელს, ჩაერთონ საერთო კულტურულ ცხოვრებაში და რა მიაჩნიათ მათ ყველაზე მნიშვნელოვნად კულტურული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, ასეთი მონაცემების არსებობა სასარგებლო იქნება უფრო ეფექტური ღონისძიებების და პროგრამების დასაგეგმად;
- სასურველია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ თავის სტრუქტურაში შექმნას ან გამოყოფს ეთნიკური უმცირესობების კულტურასა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე მომუშავე თანამშრომლები ან სამმართველო, რაც გააუმჯობესებს ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე კულტურის პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას და საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას. აუცილებელია, რომ კულტურის სამინისტრო თანამშრომლობდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კულტურის სამსახურთან, დროულად გააცნოს მათ კულტურის სამინისტროში მიმდინარე პოლიტიკა და პროგრამები;
- მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების პროგრამის მიზნების და ამოცანების, ასევე ბიუჯეტის გადახედვა. არსებული მდგომარეობა არ არის საკმარისი კონცეფციით გაწერილი ამოცანების შესასრულებლად და ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის;

- ეთნიკური უმცირესობების ბეჭდვითი მედიის დასაფინანსებლად შესაძლოა არსებობდეს სხვა პროგრამა ან გაიზარდოს არსებული პროგრამის ბიუჯეტი, რათა აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მოსახლეობის გარდა დაკმაყოფილდეს სხვა მცირერიცხოვანი უმცირესობების საინფორმაციო მოთხოვნები;
- მნიშვნელოვანია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ აღრიცხოს და ერთიან სისტემაში შეიტანოს ეთნიკური უმცირესობების კულტურის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეებზე;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უნდა შეაფასოს არსებული “ეროვნულ უმცირესობათა კულტურის ხელშეწყობის პროგრამა” და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოამზადოს პროგრამის შედეგების ანალიზი;
- მნიშვნელოვანია მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების კულტურულ ცხოვრებაში ჩართვა, მათი ეროვნული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია;
- სსიპ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფუნქციონისათვის და მის შესანარჩუნებლად უნდა მოხდეს მუზეუმის სრული რეაბილიტაცია და განახლება;
- უნდა მოხდეს გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სათანადო პირობებით უზრუნველყოფა.
- უნდა მოგვარდეს საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ “კავკასიური სახლის” და “სმირნოვების მუზეუმის” საკითხები;
- უნდა მოხდეს სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სრული რეაბილიტაცია და დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა;
- უნდა მოხდეს სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის სრული რეაბილიტაცია ან აშენდეს ახალი შენობა;
- მნიშვნელოვანია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს საბიბლიოთეკო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება მთელი საქართველოს მასშტაბით ან ამ საკითხების გადასაწყვეტად დააფუძნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- აუცილებელია, კულტურის სფეროში მომუშავე კადრებისთვის რეგულარული ტრენინგების ჩატარება სფეროში მიმდინარე უახლესი მიღწევების შესაბამისად;
- მნიშვნელოვანია ე.წ. სადავო საკულტო ნაგებობების საკითხის გადაწყვეტა;
- მნიშვნელოვანია, რომ დროულად გამოვლინდეს იმ ძეგლთა სია, რომლებიც გადაუდებელ აღდგენით სამუშაოებს საჭიროებს და დაიწყოს მათი დაუყოვნებლივი გამაგრება და შემდეგ რეაბილიტაცია;
- სასურველია, ჩატარდეს ებრაული კულტურული მემკვიდრეობის უძრავ-მომრავი ძეგლების აღწერა, როგორც საკულტო ნაგებობების, ისე მუზეუმებისა და არქივებში დაცული მდიდარი მასალის აღწერა და შეიქმნას მონაცემთა ბაზა.

რეკომენდაციები შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის

საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს

- მოხდეს ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანი კოორდინირება;

- უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში გაგრძელდეს და გაძლიერდეს მუშაობა თემატურ სამუშაო ჯგუფებში;
- ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგად მიღებული შედეგების გათვალისწინებით შემუშავდეს ახალი სტრატეგიის და მომდევნო წლების სამოქმედო გეგმა;
- უზრუნველყოფილი იქნას მჭიდრო თანამშრომლობა და კონსულტაციები შესაბამის უწყებებთან;
- უნდა არსებობდეს მუდმივი კავშირი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- განხორციელდეს ეფექტიანი კომუნიკაცია და თანამშრომლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

რეზიუმე

კვლევაში წარმოდგენილია შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება. დოკუმენტში განხილულია კონცეფციის ექვსი პრიორიტეტული მიმართულება: კანონის უზენაესობა; განათლება და სახელმწიფო ენა; მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა; სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია; კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება და გაანალიზებულია თითოეული მიმართულების მიხედვით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამები და პროექტები, ამავე დროს, შეფასებულია აღნიშნული პროგრამების რეალური გავლენა ზოგადად სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებზე, ის პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში შეინიშნებოდა.

1. კანონის უზენაესობა

კანონის უზენაესობის მიმართულებით ანგარიშში განხილულია საქართველოს სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმების (საქართველოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის კოდექსი, კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, სამოქალაქო კოდექსი, საგადასახადო კოდექსი და კანონი მაუწყებლის შესახებ) დებულებები ეროვნულ უმცირესობებთან და, ზოგადად, სამოქალაქო ინტეგრაციასა და ტოლერანტობასთან მიმართებაში. ამავე დროს, ანგარიშში დაწვრილებით არის წარმოდგენილი შესაბამისი მიმართულებების მიხედვით საქართველოს ხელისუფლების მიერ უკვე გატარებული ღონისძიებები. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციაზე საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებთან, ეროვნული უმცირესობების მხრიდან მართლმსაჯულების სისტემაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე, ეროვნული უმცირესობების დისკრიმინაციისაგან დაცვასა და საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებაზე ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით ჯერ კიდევ რჩება

გადასაჭრელი პრობლემები, მათ შორისაა ტოლერანტობის კულტურის დეფიციტი დღევანდელ სამოქალაქო საზოგადოებაში. როგორც სახალხო დამცველმა 2011 წლის ანგარიშში აღნიშნა, პრობლემური და აქტუალურია უმრავლესობისა და უმცირესობების ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთგაუცხოება და ნეგატიური სტერეოტიპებით მოცული განწყობა. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უშლის კონცეფციით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას და დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნას.

განხილული საკითხების ანალიზი ცხადყოფს რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს:

1. კანონის უზენაესობის, განსაკუთრებით კი პირველი ორი პრიორიტეტული ამოცანის კუთხით განსაზღვრულ ღონისძიებათა რაოდენობა საკმაოდ მწირია;
2. ღონისძიებების განხორციელებისას პრიორიტეტულია მხოლოდ ყველაზე მსხვილი ეთნიკური ჯგუფები და უყურადღებოდ რჩებიან სხვა ეროვნული უმცირესობები, მაგალითად, ბოშები, რაც აფერხებს სამოქალაქო საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას;
3. ყურადღება გადატანილია მხოლოდ სამ ძირითად რეგიონზე: სამცხე-ჯავახეთზე, ქვემო ქართლსა და კახეთზე, შესაბამისად, ყურადღების მიღმა რჩებიან ეროვნული უმცირესობების ის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს სხვა რეგიონებში ცხოვრობენ;
4. საჯარო მოხელეებისათვის განხორციელებული ღონისძიებები არ არის საკმარისი მათი სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისათვის;
5. საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არსებობს ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის უფლებების რეალიზებას.

2. განათლება და სახელმწიფო ენა

განათლებისა და სახელმწიფო ენის მიმართულებით ანგარიშში განხილულია საქართველოში განათლების შესახებ არსებული ძირითადი საკანონმდებლო ნორმები, კერძოდ: “საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, “საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“ და “საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“. ამავე დროს, სამივე აღნიშნული მიმართულების მიხედვით შეფასებული და გაანალიზებულია ეროვნულ უმცირესობათა განათლებაზე ხელმისაწვდომობა.

სკოლამდელი განათლება: სკოლამდელი განათლების მიმართულებით ორი მნიშვნელოვანი პრობლემა იკვეთება არაქართულენოვან სკოლამდელ დაწესებულებებში: (ა) სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა; (ბ) სკოლამდელ დაწესებულებებში ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებული ორივე პრობლემა დამახასიათებელია, ზოგადად, საქართველოს სკოლამდელი განათლების სისტემისთვისაც, თუმცა ის უფრო მკვეთრად ჩანს არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. საკითხი კი განსაკუთრებით აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ სკოლამდელი განათლების მნიშვნელობას მოსწავლის სოციალურ-კოგნიტური, ემოციური და ენობრივი კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით.

ზოგადი განათლება: ზოგადი განათლების სფეროში რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა და ხარვეზი იქნა გამოვლენილი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ეროვნულ უმცირესობათა საერთო ინტეგრაციის პროცესზე. სასწავლო გეგმებთან და სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით სხვადასხვა კვლევებსა და ანგარიშებში რამდენიმე პრობლემური საკითხია თვალსაჩინო: (ა) სახელმძღვანელოებში კვლავ დგას თარგმანის ხარისხის პრობლემა, (ბ) სახელმძღვანელოებში ხშირია სტერეოტიპული მასალა, აგრეთვე ინტერკულტურული თვალსაზრისით არ არის გათვალისწინებული მრავალი საკითხი და ზოგიერთი ინფორმაცია დამახინჯებულია, (გ) სახელმძღვანელოებში ნათარგმნია მხოლოდ 70%, ხოლო 30% სახელმწიფო ენაზეა დატოვებული. სახელმწიფო ენაზე არსებული მასალა დაუძლეველია მოსწავლეებისთვის, რადგან ვერც მოსწავლე, ვერც მასწავლებელი და ვერც მშობელი ვერ ფლობს

სახელმწიფო ენას სათანადოდ, რათა მასალის ათვისება მოხდეს. ამიტომ მასწავლებლები სახელმწიფო ენაზე არსებულ მასალას უბრალოდ ტოვებენ.

საყურადღებო პრობლემად გამოიკვეთა ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სერტიფიცირების საკითხი. პროფესიული განვითარების პროგრამები ხელმისაწვდომი არ არის მასწავლებლებისთვის, რადგან როგორც კერძო პროვაიდერების, ისე მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული ტრენინგები ტარდება სახელმწიფო ენაზე. სახელმწიფო ენის მცოდნე საგნების მასწავლებლები კომპაქტური განსახლების რაიონებში ძალიან მცირეა. შესაბამისად, კომპაქტური განსახლების რაიონებში არაქართულენოვანი სკოლების საგნების მასწავლებლებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში, რაც, თავის მხრივ, აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე და მოსწავლეთა აკადემიურ და კოგნიტურ განვითარებაზე. ამავე დროს, სასერტიფიკატო გამოცდა არ ტარდება უმცირესობათა მშობლიურ ენაზე, რაც, ერთი მხრივ, მოტივაციას უკარგავთ მათ, არ ხდება მათი პროფესიული განვითარება, დისკრიმინირებულნი არიან, რადგან ვერ სარგებლობენ სერტიფიცირებასთან დაკავშირებული სარგებლით. არსებული სტატისტიკა ცალსახად მიუთითებს როგორც სერტიფიცირების მსურველთა დაბალ რაოდენობაზე, ისე სერტიფიცირებულთა ძალიან დაბალ მაჩვენებელზე.

ანგარიშში ასახულია ბილინგვური განათლების სისტემის ხარვეზებიც. მიუხედავად მულტილინგვური განათლების მიმართ მოსახლეობის პოზიტიური განწყობისა, იკვეთება მთელი რიგი ხარვეზები, რაც გამოიხატება ბილინგვური განათლების რეფორმის არათანმიმდევრულობასა და შესაბამისი საკანონმდებლო ველის მოუწესრიგებლობაში. ასევე შეინიშნება ბილინგვური რეფორმის განხორციელებისათვის შესაბამისი კადრების დეფიციტი, რაც იწვევს მეცნიერულად დაუსაბუთებელი და მეთოდოლოგიურად გაუმართავი ბილინგვური სახელმძღვანელოების შეტანას სხვადასხვა კლასებში.

ზოგადი განათლების მიმართულებით ყველაზე ეფექტურად გამოიყურება ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პროგრამა, თუმცა ამავე დროს მაინც იკვეთება შემდეგი პრობლემატიკა: ქართულის მასწავლებლების დიდი ნაწილი (340 მასწავლებელი) თავად არ ფლობს სათანადოდ სახელმწიფო ენას; ბაკალავრის ხარისხის მქონე ახალგაზრდა პედაგოგების მივლინება ეროვნულ უმცირესობათა რეგიონებში ეფექტურობის და ეფექტიანობის თვალსაზრისით ეჭვის ქვეშ დგება, რადგან ამ პედაგოგების დიდი ნაწილი ერთწლიანი მივლინების შემდეგ საერთოდ ტოვებს რეგიონს და, შესაბამისად, რესურსების ინვესტირება მათში შედეგის მომტანი არ არის, ასევე სხვაობა მათ ხელფასებსა და ადგილობრივი პედაგოგების ხელფასებს შორის უკმაყოფილების საგანი ხდება ადგილობრივ მოსახლეობაში.

უმაღლესი განათლება: 2010 წლიდან კვოტირების სისტემის შემოღების შემდეგ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი აბიტურიენტების, ისევე როგორც ჩარიცხულთა რაოდენობა, მკვეთრად გაიზარდა. სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების ზოგადი უნარების გამოცდების შედეგები და მათი შედარება ქართულენოვანი და რუსულენოვანი აბიტურიენტების შედეგებთან ასევე კარგ სურათს იძლევა ანალიზისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი უნარების გამოცდა ტარდება აბიტურიენტთა მშობლიურ ენაზე, მათი შედეგები გაცილებით დაბალია ქართულენოვანი და რუსულენოვანი აბიტურიენტების შედეგებთან შედარებით, რაც კიდევ ერთხელ ნათლად მიუთითებს ზოგადი განათლების საფეხურზე სწავლების ხარისხთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

“საშეღავათო პოლიტიკის” თვალსაზრისით გარკვეული პრობლემები იკვეთება ერთწლიანი ქართული ენის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ: ქართული ენის ერთწლიანი სწავლების პროგრამა არ არის საკმარისი ზოგიერთი სტუდენტისთვის. ერთი წლის სწავლების შემდეგ ისინი არ არიან მზად, სწავლა გააგრძელონ ბაკალავრიატში; თბილისის სკოლების კურსდამთავრებულებს განსხვავებული მდგომარეობა აქვთ. ისინი ფლობენ სახელმწიფო ენას და ერთწლიანი პროგრამა მათთვის შედეგის მომტანი არ არის, რადგან ისინი სწავლობენ იმავე პროგრამით, რა

პროგრამითაც ის აბიტურიენტები, რომლებიც საერთოდ ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას; არაქართულენოვან სტუდენტებს არ აქვთ საინტეგრაციო გარემო, არ ხდება კომუნიკაცია ქართველ სტუდენტებთან, მათი სამოქალაქო ცნობიერება და სამოქალაქო ინტეგრაცია ნაკლებია, ისინი იზოლირებული არიან კონკრეტულ შენობაში, ყოველგვარი ინტერაქციის გარეშე.

3. მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

ანგარიშში განხილულია შესაბამისი კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის დებულებები სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, მაუწყებლობის შესახებ კანონი და ქცევის კოდექსი. ამავე დროს, გაანალიზებულია ის ღონისძიებები, რაც განხორციელდა საქართველოს ხელისუფლების მიერ. ანგარიშში მთავარი აქცენტები გაკეთებულია იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი რადიო და ბეჭდვითი მედია ეროვნული უმცირესობებისათვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობასა და ეროვნული უმცირესობების თემების გაშუქების შეფასებაზე.

სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში კვლავაც მიუწვდომელია ქართული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია და ისინი ძირითადად მეზობელი ქვეყნების საინფორმაციო საშუალებებით სარგებლობენ, რაც ეროვნულ უმცირესობებში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას იწვევს. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ მრავალი ფაქტორი: სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნა, მედიასაშუალებების არასაკმარისი დაფარვის არეალი, გადაცემების ხარისხი და სხვა ტექნიკური ხარვეზები. ასევე, საყურადღებოა, რომ უმცირესობების თემების გაშუქებისას ხშირი იყო დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი და ქსენოფობიური ტერმინოლოგიის გამოყენება. გაშუქების თვალსაზრისით მედია უმცირესობებს უმეტესად ყურადღებას მაშინ უთმობდა, როდესაც კონფლიქტი ან კრიმინალი ხდებოდა, იმართებოდა რელიგიური ან ეთნიკური დღესასწაული, რომელსაც სახელმწიფოს ლიდერები ესწრებოდნენ. მედიასაშუალებებიდან ქსენოფობიური და შეურაცხმყოფელი განცხადებებით უფრო ბეჭდვითი მედია გამოირჩეოდა, რომელიც აგრძელებდა ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში სტერეოტიპების გავრცელებას და კანონდამრღვევზე ან ექვმიტანილზე საუბრისას მათ ეთნიკურ წარმომავლობას უსვამდა ხაზს.

კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნული მაუწყებლობის ხელმისაწვდომობა ბოლომდე უზრუნველყოფილი არ არის, თუმცა ამ საკითხის მოგვარება 2015 წლიდან იქნება შესაძლებელი, როდესაც სატელევიზიო მაუწყებლობა ციფრულ სისტემაზე გადავა. ეროვნული უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესშივე სახელმწიფო ცდილობდა, გაეუმჯობესებინა სამაუწყებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობა, მაგრამ, ამ მცდელობების მიუხედავად, აღნიშნული გადაცემების რეიტინგი ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში დაბალი იყო, რაც ამ მიზნის მისაღწევად სხვა ტიპისა და მასშტაბის ღონისძიებების დაგეგმვას მოითხოვს.

4. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა

ანგარიშში ასახულია ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური ინტეგრაციის და სამოქალაქო მონაწილეობის თვალსაზრისით რელევანტური ადგილობრივი და საერთაშორისო საკანონმდებლო და სამართლებრივი ნორმები (საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, ევროსაბჭოს და გაერო-ს დოკუმენტები, ასევე ეუთო-ს თემატური რეკომენდაციები). ამასთან, კვლევა ფოკუსირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ეროვნული უმცირესობებისათვის თანაბარი საარჩევნო უფლებების

უზრუნველყოფა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გაუმჯობესება და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო-კონვენციის ცხოვრებაში გატარება.

ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის დოკუმენტის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: დოკუმენტის ერთ-ერთ მთავარ კონცეპტუალურ ხარვეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის და პოლიტიკური მონაწილეობის ნაწილში სრულყოფილად არ არის გააზრებული ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური ჩართულობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საკითხი. მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, თუ კონკრეტულად რა სახის ღონისძიებები უნდა გატარებულიყო ამ მიზნის მისაღწევად. ასევე პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ეროვნული კონცეფცია უშუალოდ არ ეფუძნება იმ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს, რომლებიც სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენს ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ახალი ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნას ის კონკრეტული შემოთავაზებული ღონისძიებები, რომლებიც ასახულია შესაბამის საერთაშორისო კონვენციებსა და დეკლარაციებში, კერძოდ ეს დოკუმენტებია: ევროსაბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია, გაერო-ს დეკლარაცია ეროვნული ან ეთნიკური და ლინგვისტური უმცირესობებისადმი მიკუთვნებულ პირთა უფლებების შესახებ, ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ლუნდის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ და ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ლუბლიანას სახელმძღვანელო პრინციპები ეთნიკურად მრავალფეროვანი საზოგადოებების ინტეგრაციის შესახებ.

ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიმართულებებიდან ყველაზე მეტი და ხელშესახები ცვლილება განხორციელდა ეროვნულ უმცირესობათა თანაბარი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფისა და საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმირების თვალსაზრისით. ამავე დროს, კვლავინდებურად დაბალია ეროვნული უმცირესობების მხრიდან არჩევნებში გაცნობიერებული და ინფორმირებულობის შედეგად არჩევანის გაკეთების დონე, რაც უკავშირდება რეგიონებში დაბალ პოლიტიკურ კულტურას.

ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების კუთხით გატარებული ღონისძიებები, არსებული შედეგების გათვალისწინებით, კვლავინდებურად დაბალ დონეზეა. გასული წლების მანძილზე გატარებული სახელმწიფო პროგრამები და აქტივობები არათანმიმდევრობით გამოირჩეოდა, რისი მაგალითიცაა ეროვნულ უმცირესობათა პროფესიული კადრების და საჯარო მოხელეთა გადამზადების პროგრამა. ეროვნული კონცეფციის მიხედვით აღნიშნული მიმართულება ერთ-ერთი საკვანძოა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობის ამაღლების თვალსაზრისით, თუმცა შესაბამისი აქტივობები ადეკვატური არ იყო, კერძოდ, ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლამ, რომელიც უფლებამოსილი იყო, მოემზადებინა ეროვნულ უმცირესობათა რეგიონებიდან საჯარო სექტორში დასაქმებული კადრები, რეალურად დაკარგა თავისი ძირითადი ფუნქცია და შეითავსა ენების ცენტრის ფუნქცია. ასევე, ეროვნულ უმცირესობათა პროფესიული გადამზადების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ არსებული პროფესიული კოლეჯები გურჯაანსა (კაჭრეთი) და ახალციხეში არ არიან ფოკუსირებული ეროვნულ უმცირესობათა თემებზე და მათი პროგრამები ზოგადი სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკაში არ მოიაზრება.

აღნიშნული პრობლემის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში გაძლიერდეს ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლის და, ზოგადად, ეროვნულ უმცირესობათა თემებიდან ადმინისტრაციული კადრების მომზადების მიმართულება. მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს შესაბამისი სასწავლო პროგრამა და განისაზღვროს ეროვნულ უმცირესობათა თემებში საჯარო ადმინისტრირების ზუსტი პრიორიტეტები. ეროვნულ უმცირესობათა თემების პროფესიული

განვითარების კუთხით კი მნიშვნელოვანია, რომ არსებული საშუალებები და პროფესიული კოლეჯების პროგრამები მოერგოს ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის ზოგად პოლიტიკას და პროგრამებს.

ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა სახელმწიფო სტრუქტურებში – როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ (განსაკუთრებით ქვემო ქართლის შემთხვევაში) დონეებზე უმცირესობათა წარმომადგენლობა. ამავე დროს, პრობლემას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების დროს მკვეთრი დამოკიდებულება ცენტრალურ სახელისუფლებო სტრუქტურებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მოწყობის დროს მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული ეროვნულ უმცირესობათა და შესაბამისი რეგიონების სპეციფიკა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ ახალი სამოქმედო გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის და დეცენტრალიზაციის საკითხების მოწყობის ის საერთაშორისო ნორმები და რეკომენდაციები, რომლებიც უმცირესობათა სპეციფიკის შესაბამისად წარმოდგენილია ეუთო-ს ლუნდის რეკომენდაციებსა და ლუბლიანას სახელმძღვანელო პრინციპებში.

პოლიტიკური კულტურის ამაღლების თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნას ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული პროგრამები და სხვადასხვა ტრენინგები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთათვის.

როგორც ეროვნულ უმცირესობათა თემებში, ისე ქართულენოვან მოსახლეობაში დაბალია ცნობიერების დონე ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, განსაკუთრებით უმცირესობათა ან რეგიონულ ენათა ევროპული ქარტიის შესახებ. აღნიშნული პრობლემადან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში ზუსტად გაიწეროს ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ინფორმირებულობის გაზრდას აღნიშნული ხელშეკრულებების შესახებ.

ეროვნულ კონცეფციაში ასახული არ არის მარგინალიზებული ეთნიკური ჯგუფების და მცირერიცხოვანი ეთნოსების საჭიროებები და მათი პრობლემატიკა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში გაიწეროს ღონისძიებები მარგინალური ჯგუფებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის (პირადობის და დაბადების მოწმობები) გაცემის, ბავშვებისათვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაადვილების და ზრდასრულთათვის მიმდინარე სოციალურ პროექტებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

5. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია

ანგარიშში დაწვრილებით არის განხილული სოციალური და რეგიონული ინტეგრაციის თვალსაზრისით განხორციელებული სახელმწიფო პროგრამები და პროექტები, კერძოდ, სოციალური დაცვისა და მობილობის, რეგიონული ინფრასტრუქტურის და აგრობიზნესის განვითარების პროექტები, ასევე გაანალიზებულია მოსახლეობის დამოკიდებულება ამ მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგად აღნიშნული მიმართულებების მიხედვით შემდეგი სურათი გამოიკვეთა:

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციაში სოციალური და რეგიონული ინტეგრაციის მიმართულებით სამი ამოცანის მიღწევა იქნა დასახული, თუმცა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის სხვადასხვა წლების სამოქმედო გეგმებში ოთხი სხვადასხვა ამოცანის მიღწევაა დასახული. ამ მხრივ კი იკვეთება გარკვეული არათანმიმდევრულობა და ამოცანებთან შეუსაბამო ღონისძიებები.

1. ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში

სამოქმედო გეგმის პირველ ამოცანასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით სახელმწიფომ მასშტაბური ნაბიჯები გადადგა. აღნიშნული პროექტების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიზნები იყო: საერთაშორისო და შიდა ვაჭრობის ზრდის, ბიზნესის განვითარების, აგრობიზნესისა და ფერმერული მეურნეობების განვითარების, ინვესტიციებისათვის კარგი პირობების შექმნის, უმუშევრობის დონის შემცირების, ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული სხვა ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისა და რეგიონის ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში დასახული მიზნების სრულად მიღწევა უახლოეს წლებში ვერ მოხდა, მსგავსი პროექტების განხორციელება უდავოდ პოზიტიური ტენდენციაც იყო და ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების იზოლაციის დაძლევისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მათი შემდგომი ინტეგრაციის დაჩქარების კუთხით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯიც.

2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიული გადამზადება და მათი დასაქმების ხელშეწყობა

2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მიმდინარე პროექტებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისთვისაც უნდა შეეწყო ხელი. თუმცა, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროექტები, ეფექტურობის თვალსაზრისით უკეთესი მიდგომის შემუშავებას მოითხოვს. ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივების კრიტიკული დამოკიდებულება ინფრასტრუქტურულ პროექტებში დასაქმებისადმი საფუძვლიანი იყო, მაგრამ დასაქმების საკითხი პირდაპირ კავშირში იყო პროფესიულ მომზადებასთან და კვალიფიკაციასთან. აღნიშნული მიმართულებით არსებული ხარვეზები კი იყო მიზეზი იმისა, რომ მიმდინარე პროექტებში ადგილობრივებს მცირე რაოდენობით ასაქმებდნენ. სახელმწიფოს მხრიდან პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით გადადგმული ნაბიჯები პოზიტიური მოვლენა იყო, მაგრამ მსგავსი პროექტების მოკრძალებული მასშტაბი და სწავლების პროცესში არსებული ხარვეზები ეროვნული უმცირესობების დასაქმებას ხელს არ უწყობდა.

3. ეროვნული უმცირესობების სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა

2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მთავრობამ ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით არაერთი პროექტი განახორციელა. ეროვნული უმცირესობების შემთხვევაში სახელმწიფო სერვისების მიწოდების თვალსაზრისით პრობლემას სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ქმნიდა. შესაძლოა, მსგავსი პრობლემა ქართულენოვან მოსახლეობასაც ჰქონდა, მაგრამ ეროვნული უმცირესობების შემთხვევაში ინფორმაციის ნაკლებობას ქართული ენის არცოდნაც უწყობდა ხელს. სამოქმედო გეგმის განხორციელების ბოლო წლებში მთავრობამ არაერთი ღონისძიება განახორციელა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის მიწოდების კუთხით, თუმცა ამ მხრივ ეფექტურობის მისაღწევად სახელმწიფოს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში უფრო ინტენსიური საინფორმაციო კამპანიის ჩატარება სჭირდება. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება, ეროვნულმა უმცირესობებმა მეტი ინფორმაცია მიიღონ და მეტად ისარგებლონ სახელმწიფო სერვისებით.

4. სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა

2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში ამ მიზნის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯები მოკრძალებული და ნაკლებად სისტემური იყო. ქვეყანაში არსებული გამოწვევების ფონზე სამოქალაქო განათლების საკითხი აქტუალურია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ეროვნულ უმცირესობებს ეხება. ამიტომაც ამ მხრივ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ უფრო სისტემური მიდგომა შეიმუშავოს და არსებული დიდი რესურსი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გამოიყენოს, რაც ეროვნული უმცირესობების შემთხვევაში მათ სამოქალაქო ინტეგრაციასაც შეუწყობს ხელს. ამავე დროს, სისტემური მიდგომის შემუშავების კუთხით, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს, აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებები შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ახალ სამოქმედო გეგმაში სხვა კომპონენტის ფარგლებში განხორციელდეს.

6. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება

ძირითადი საკანონმდებლო ბაზა რომელიც არეგულირებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას, შემოიფარგლება საქართველოს კონსტიტუციით, კანონით კულტურის შესახებ და კანონით ზოგადი განათლების შესახებ. ნაშრომში დაწვრილებით არის აღწერილი და გაანალიზებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეროვნულ უმცირესობათა კულტურის ხელშეწყობის პროგრამა, კერძოდ, მიმოხილულია ეროვნულ უმცირესობათა მუზეუმების მდგომარეობა, ბიბლიოთეკები, სამუსიკო სკოლები და, ზოგადად, ეროვნულ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით გადადგმული ღონისძიებები.

ანალიზის შედეგად შემდეგი სურათი გამოიკვეთა: მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი მზადდებოდა სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით, კონცეფციის სამოქმედო გეგმის კულტურის და თვითმყოფადობის შენარჩუნების თავში არ აისახა ეროვნული უმცირესობების უკვე არსებული კულტურული დაწესებულებები, კერძოდ, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში არსებული კულტურული დაწესებულებები. ისინი სამოქმედო გეგმის მიღმა აღმოჩნდნენ, რამაც კიდევ უფრო გააუარესა მათი როგორც სამართლებრივი, ისე მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა. ამასთანავე, აღსანიშნავია ზოგი ორგანიზაციის არაინფორმირებულობა მათი ორგანიზაციის შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებში, რომ არაფერი ვთქვათ დისპერსიულად განსახლებულ საქართველოს ეროვნულ უმცირესობებზე. ისინი საერთოდ თამაშარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რაც აუცილებლად გამოსასწორებელია შემდგომი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის მიხედვით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები არასაკმარისი აღმოჩნდა ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ ეროვნული უმცირესობების კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ცოდნის გაღრმავებასა და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებად წარმოჩენაზე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული *“ეროვნული უმცირესობების კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“*, რომლის წლიური ბიუჯეტი ასი ათასი ლარით განისაზღვრებოდა, ძირითადი სახსრები ბეჭდვითი მედიის დაფინანსებას, ხოლო დარჩენილი თანხა სიმბოლურ აქტივობებს ხმარდებოდა. აღნიშნული დაფინანსება კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ძალიან მწირ თანხებს წარმოადგენდა. ცხადია, ეს თანხა არც ბეჭდვით მედიას ჰყოფნიდა და იგი დამატებით ფინანსდებოდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის სახსრებით, შესაბამისად, მომავალი

სამოქმედო გეგმის დროს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და ეროვნული უმცირესობების კულტურის ხელშეწყობა ცალ-ცალკე უნდა განიხილებოდეს.

კულტურის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები არ იყოფა ქართულ და სხვა, ეროვნულ უმცირესობათა დაწესებულებებად და მათ ერთნაირი სამართლებრივი იურიდიული სტატუსი გააჩნიათ. თეატრები, მუზეუმები, კულტურის ცენტრები, ბიბლიოთეკები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით იყოფა ცენტრალური ხელისუფლების (კულტურის სამინისტროს) და ადგილობრივი ხელისუფლებების მმართველობის დაქვემდებარებაში და რეგულირდება სხვადასხვა კანონმდებლობით. ზოგიერთ დაწესებულებას იურიდიული სტატუსი საერთოდ არ გააჩნია.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით ექვემდებარება სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი და სსიპ თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი. აღსანიშნავია, რომ ისინი დაფინანსებას იღებენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საბიუჯეტო ქვეკოდით და მათთვის გამოყოფილი თანხა ძირითადად სახელფასო ფონდის დაფარვას ემსახურება. სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისა და სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობები ავარიულია და საჭიროებს გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს. თეატრის დასი წლებია, ვერ სარგებლობს საკუთარი თეატრების დარბაზებით და იძულებულნი არიან, იქირაონ სხვა თეატრების დარბაზები, ამის გამო სამსახიობო დასი ორიენტირებულია გასტროლებზე როგორც საქართველოს რეგიონებში, ისე საზღვარგარეთ. რაც შეეხება სსიპ თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, იგი გარემონტებულია ფონდ “ქართუს” მიერ და საამისოდ სახელმწიფოს არანაირი რესურსი არ გაუღია. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა მხოლოდ სახელფასო ფონდს ხმარდება. საქველმოქმედო ჯგუფ “ქართუს” მიერ იფარებოდა კომუნალური გადასახადები და თანამშრომლებისათვის სახელფასო დანამატი. სამწუხაროდ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ვერ თუ არც შუამდგომლობს და ეხმარება მათ დამატებითი დაფინანსების მოძიებაში. ამავე მდგომარეობაშია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი მუზეუმებიც, ყველა მუზეუმის შენობა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოძველებულია და არ შეესაბამება თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტებს. 2013 წელს დასრულდა სსიპ მირზა ფათალ ახუნდოვის სახელობის საქართველოს აზერბაიჯანული მუზეუმის და კულტურის ცენტრის რემონტი და აღჭურვა, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის (სოკარ) მიერ განხორციელდა. სამწუხაროდ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი დაფინანსება აქაც სიმბოლურ სახელფასო ფონდს ხმარდება. მუზეუმი დამატებით დაფინანსებას აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიისგან (სოკარ) იღებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს საბიბლიოთეკო მართვის სისტემა დაიშალა. 1997 წელს მიღებული “საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ” და “საქართველოს კანონი ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ” საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციას და მართვის ახალი სისტემის ჩამოყალიბებას ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად ავალებდა კულტურის სამინისტროს. მათ ერთობლივად უნდა განეხორციელებინათ ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარება, საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების შესრულების უზრუნველყოფა, საბიბლიოთეკო კადრების მომზადება-გადამზადების პოლიტიკის განსაზღვრა, საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო სტანდარტების დაცვის კონტროლი, საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებული შეგროვება და ანალიზი. სამწუხაროდ, კანონი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. დღეს ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკა არ არსებობს და ყველა აქტივობა ამ მიმართულებით სპონტანურია. რეგიონებში ბიბლიოთეკებზე მეურვეობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაეკისრა. მათივე ბიუჯეტიდან ფინანსდება ადგილობრივი ბიბლიოთეკები. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ბიბლიოთეკები დღეს გამოიყენება არა მხოლოდ წიგნთსაცავის ფუნქციით, არამედ ისინი

ტოლერანტობის, ინტერკულტურულ-საგანმანათლებლო და საინტეგრაციო ძლიერ ინსტრუმენტს წარმოადგენს, სამწუხაროდ, საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა ყველაფერ ამის მიღმა რჩება. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ მომავალი კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს არსებული გამოცდილება და ახალი დოკუმენტის შემუშავებაში ჩართოს კულტურის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები.